

სამთავრობო კრიზისი ისრაელში

A3



კაცი, რომელმაც რომის პაპს ესროლა, თავისუფალია

A4



კულტურული შოკის მზადებაში

B4

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 13 იანვარი, 2006 წელი. №5 (1157)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### ხელისუფლების მხრიდან დისკრედიტაცია თუ შიდა ორგანიზაციული განხეთქილება

არასამთავრობო ორგანიზაციები თანადგომას უცხადებენ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას" და აღნიშნავენ, რომ ხელისუფლებამ ამჯერად არასამთავრობო სექტორის დევნა დაიწყო, დისკრიმინაციისათვის კი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ორგანიზაცია შეარჩია.

A2

## ამბები

### რისთვის ატარებენ სამინისტროები კონკურსებს?

გახსოვთ, ალბათ, ორი თვის წინ, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავის მინისტრთა კაბინეტს ხალხთან კომუნიკაცია დაუწუნა და ამ მხრივ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ვლადიმერ ჭიპაშვილი გამოყო. სააკაშვილის თქმით, ჯანდაცვის მინისტრი სატელეფონო ზარებს არასდროს პასუხობდა.

A3

## სამართალი

### შალვა რამიშვილი სასამართლო პროცესზე დღეს კარცერიდან მივა

შალვა რამიშვილი გუშინწინ, გვიან ღამით თბილისის N1 საპყრობილის კარცერში გადაიყვანეს. რამიშვილის კარცერში გადაყვანას ადასტურებს მისი ადვოკატიც, თუმცა მიზეზს ვერ ასახელებს.

A4

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 13/01 | 14 /01 |
|---|---|---|
| თბილისი | 6 | 6 |
| ტყიბული | 8 | 7 |
| სოხუმი | 8 | 6 |
| დმანისი | -1 | -3 |
| გორი | 5 | 4 |
| ონი | 3 | 2 |
| ზუგდიდი | 10 | 7 |
| ახმეტა | 6 | 6 |
| გაგრა | 8 | 5 |
| სამტრედია | 10 | 8 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7981 |
| ევრო | 2.1824 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.1765 |
| რუბლი | 0.0633 |

ამბები A 2
ამბები A 3
სამართალი A 4
რეკლამა A 5
სპორტი A 6
რევიუ A 7
რეკლამა A 8

# "ქათმის გრიპის" პანიკა

## და ადგილობრივი წარმოება

თინა შავაძე

ქათმის გრიპის გამო ატეხილმა პანიკამ ქათმისა და კვერცხის მწარმოებელ ადგილობრივ კომპანიებს გაკოტრების საშიშროება შეუქმნა. მწარმოებელთა განცხადებით, ახალი წლის დღეების შემდეგ პროდუქციის რეალიზაცია, ფაქტობრივად, გაჩერდა. იმ შემთხვევაში, თუ ქათმების დახოცვა აუცილებელი გახდა, ადგილობრივი კომპანიების ფინანსურ ზარალს მატერიალურიც დაემატება, რადგანაც, დღემდე, ადგილობრივი სადაზღვევო კომპანიები მეფრინველეობის დარგის დაზღვევაზე უარს აცხადებენ. ფაქტობრივად, ქვეყანაში მეფრინველეობის დარგის განადგურებაა მოსალოდნელი. ეს საფრთხე რეალურად მართლაც არსებობს, თუ ვივარაუდებთ, რომ სამი თვის შემდეგ საქართველოს გავლით ფრინველების გადაფრენას უნდა ველოდოთ.

გაგრძელება A2 გვერდზე



ფრინველის დახოცვის ადგილას, ლაბორატორიული კვლევის შედეგამდე ტარდება დეზინფექცია.

# კონსტიტუციური ცვლილებები ორიგინალურ ხასიათს იძენს

გიორგი თევდორაშვილი
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

კონსტიტუციური სამართლის თეორიაში სხვას ვერაფერს ვუწოდებთ, თუ არა ჭეშმარიტად უპრეცედენტოს, საქართველოს პარლამენტის წევრის ინიციატივას პრემიერ-მინისტრისთვის დეპუტატის მანდატის შეთავსების შესახებ. ქართული კონსტიტუციური კანონმდებლობა ბევრი თავისებურებით ხასიათდება, მაგრამ ეს უკანასკნელი წინადადება მართლაც ორიგინალურობით გამოირჩევა.

კონსტიტუციური სამართლის თეორიაში, სხვადასხვა ინსტიტუტების, უპირველეს ყოვლისა კი მმართველობის და ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმების, შეფასება ტერმინით "კლასიკური", სამეცნიერო თვალსაზრისით, დიდი ხანია არაკორექტულად მიიჩნევა; რადგან აღიარებულია, რომ მმართველობის და ტერიტორიული მოწყობის ფორმების შერჩევისას ყველა ქვეყანა მნიშვნელოვანი ინდივიდუალურობით ხასიათდება, რასაც ქართული სინამდვილეც ადასტურებს; რომ არაფერი ვთქვათ საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებაზე, სადაც აბსოლუტურად იდენტურ ფორმებს იშვიათად თუ ალმოვაჩენთ. ასეთ შემთხვევებში სახელმწიფოთა არჩევანზე მოქმედებს როგორც ისტორიული, ასევე პოლიტიკური, ეკონომიკური, გეოგრაფიული და სხვა მრავალი ფაქტორი. თუმცა, სისტემატიზებულ ტიპოლოგიას კონსტიტუციურ სამართალში თავისი მნიშვნელობა ნამდვილად არ დაუკარგავს. არსებობს მთელი რიგი ნიშან-თვისებებისა, რომლებიც მმართველობის ფორმების დოქტრინალურ კლასიფიკატორში საპარლამენტო რესპუბლიკას განასხვავებს საპრეზიდენტო და ნახევრად საპრეზიდენტო (შერეული) მმართველობის მოდელებისგან, ხოლო ამა თუ იმ სახელმწიფოში კონსტიტუციურად დამკვიდრებულ მოდელს, მმართველობის ზემოთ ჩამოთვლილ ფორმათაგან შესაბამის ტიპს მიაკუთვნებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მღელვარება მონღოლეთში

*მონღოლეთში მძაფრი პოლიტიკური კრიზისია. მას შემდეგ, რაც ორი დღის წინ მთავრობის შემადგენლობა ქვეყნის უდიდესი პარტიის წარმომადგენლებმა დატოვეს, გუშინ ულან-ბატორში ქუჩის აქციები დაიწყო. 1500-მდე დემონსტრანტი ქალაქის ცენტრში ხანმოკლე მიტინგის შემდეგ უდიდესი პოლიტიკური ძალის, მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის შტაბ-ბინაში შეიჭრა და დაარბია იგი. მომიტინგეთა თქმით, ყოფილ კომუნისტებს უფლება არ ჰქონდათ, დემოკრატიული მთავრობა დაეშალათ.*

ხუთშაბათს ულან-ბატორის ცენტრალურ მოედანზე დაახლოებით 1500 ადამიანი შეიკრიბა და წინა დღეს მთავრობის შემადგენლობიდან ათი მინისტრის წასვლის მიზეზის ახსნა მოითხოვა.

გაგრძელება A3 გვერდზე



ყოფილი კომუნისტების მიერ მთავრობის დატოვებას სახალხო მღელვარება მოჰყვა.

# კახეთი მობილიზებულია

*კახეთის სამხარეო ადმინისტრაციამ და ვეტდეპარტამენტის ეპიდემიოლოგიურმა სამსახურმა რეგიონში ფრინველის გრიპის თავიდან ასაცილებლად განსაკუთრებული ზომების გატარება დაიწყო. ამის მიზეზი ის ორი მკვდარი გარეული იხვი გახდა, რომელიც დეპარტამენტის თანამშრომლებმა დასახლებულ პუნქტებში აღმოაჩინეს. ამ დროისთვის ფრინველებს ლაბორატორიული გამოკვლევები უტარდებათ.*

ზვიად რუაძე
კახეთიდან

კახეთში ქათმის გრიპის შესახებ ინფორმაცია უკვე პანიკის სახეს იღებს, რის გამოც სოფლის მოსახლეობამ შინაური ფრინველების დახოცვა დაიწყო. ბოლო ორი დღის განმავლობაში აქ ვეტერინარული დეპარტამენტის რაიონულმა განყოფილებებმა დასახლებულ ტერიტორიებში ორი მკვდარი გარეული იხვი აღმოაჩინა. მართალია, აღნიშნულ ტერიტორიას დეზინფიცირება გაუკეთდა, მაგრამ ჯერჯერობით გაურკვეველია, ფრინველები მართლაც იყვნენ თუ არა დაავადებულნი.

**"საქართველოში სამი რეგიონია, სადაც ვირუსის გავრცელების საშიშროებაა და კახეთიც სწორედ ერთ-ერთი იმათგანია, სადაც გარეული ფრინველების გადაფრენა ხდება. სწორედ ამის გამო განსაკუთრებულად ვართ მობილიზებული, რათა არ მოხდეს ამ ვირუსის გავრცელება რეგიონში და თავიდან ავიცილოთ ეს დაავადება,"** - აცხადებს პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის მხარეში პეტრე ცისკარიშვილი.

გურჯაანის რაიონში სამობილიზაციო ცენტრი გაიხსნა, რომლის სწრაფი რეაგირების მობილური ჯგუფები 24 საათის განმავლობაში იმუშავებენ. **"გურჯაანში თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ლაბორატორიაა. რაც შეეხება იმ გარეულ ფრინველებს, რომელიც ჩვენი დეპარტამენტის რაიონულმა ორგანიზაციებმა აღმოაჩინეს, იმედია, რომ აქ საგანგაშო არაფერი იქნება. ამას მალე ლაბორატორიული კვლევა გვიჩვენებს,"** - აცხადებს ვეტდეპარტამენტის ეპიდემიოლოგიური სამსახურის უფროსი შალვა პეტრიაშვილი.

როგორც კახეთის გუბერნატორმა პეტრე ცისკარიშვილმა აღნიშნა, ამ დროისთვის აზერბაიჯანთან დამაკავშირებელ სასაზღვრო რაიონებში სპეციალური ხსნარებით ყველა იმ მანქანის დეზინფიცირება ხდება, რომლებიც საქართველოში გადმოდიან.

# ყაზახები საქართველოში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აშენებას აპირებენ

საქართველოში ყაზახური ინვესტიციების მოცულობა ერთ მილიარდ დოლარამდე გაიზრდება. ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა ასტანაში, ყაზახეთის საგარეო საქმეთა მინისტრ კასიმ ჟომარტ ტოკაევთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. ბეჟუაშვილის თქმით, ყაზახეთს საქართველოში, დაახლოებით, 300 მილიონი დოლარის პირდაპირი ინვესტიცია აქვს ჩადებული.

**"თუ ყაზახეთი ინვესტირების დინამიკას შეინარჩუნებს, უახლოეს მომავალში ინვესტიციების მოცულობა მილიარდ დოლარს მიაღწევს,"** - აცხადებს ბეჟუაშვილი.

ბეჟუაშვილის ინფორმაციით, ყაზახ კოლეგასთან შეხვედრისას ევროპული ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებიც განიხილეს.

როგორც ასტანაში გამართულ პრესკონფერენციაზე ბანკ "ტურან ალემის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ მუხტარ აბლიაზოვმა განაცხადა, საქართველოში ყაზახური ინვესტიციებით ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის საკითხი ერთ თვეში გადაწყდება. მისი თქმით, ერთ თვეში მომზადდება ბიზნეს-გეგმა, რომლის თანახმადაც, საქართველოში ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა აშენდება. უნდა შეიქმნას ერთობლივი ყაზახურ-ქართული კონსორციუმი.

მუხტარ აბლიაზოვის თქმით, პროექტის ღირებულება 350 მილიონი დოლარია. ქარხნის აშენებას 3 წელი დასჭირდება. იქ წარმოებული ნავთობპროდუქტების რეალიზაცია საქართველოში მოხდება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პატიმრებმა შიმშილობა შეწყვიტეს

*საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, თითქმის 20 დღის წინ დაწყებული საპროტესტო აქცია დასრულდა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მიმართვის შემდეგ პატიმრებმა შიმშილობა შეწყვიტეს.*

როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს პატიმართა თანამეგობრობის" ხელმძღვანელმა, ადვოკატმა ლალი აფციაურმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, უწმინდესმა და უნეტარესმა პატიმრებს პროტესტის ამ ფორმაზე უარის თქმისკენ ორი დღის წინათ მოუწოდა. ლალი აფციაურის თქმით, მოშიმშილეებმა პატრიარქის მიმართვა უპირატესად მიიჩნიეს და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და, უშუალოდ, უწმინდესის მიმართ ღრმა პატივისცემა გამოხატეს.

**"მისი უწმინდესობის მიმართვის შესაბამისად და ქრისტესმიერი მორჩილებით ვწყვეტთ სოციალური და, საერთოდ, ადამიანის უფლებათა დარღვევების წინააღმდეგ მიმართულ აქციას, რომელიც შიმშილობაში გამოიხატებოდა,"** - ნათქვამია პატიმართა წერილში.

შიმშილობა შეწყვიტეს ბათუმის N3 საპყრობილეშიც, სადაც 558 პატიმარია და მათი 60 პროცენტი შიმშილობდა. აღნიშნულ საპყრობილეში არ შიმშილობდნენ მხოლოდ აბაშიძის ხელისუფლების წარმომადგენლები. აჭარაში სახალხო დამცველის წარმომადგენელის გიორგი ჩარკვიანის ინფორმაციით, პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. თუმცა, როგორც თავისუფლებააღკვეთილთა ადვოკატები ირწმუნებიან, ციხეებში პატიმართა ერთი ნაწილი 16 დღის განმავლობაში შიმშილობდა, რის შედეგად მათი ჯანმრთელობა სერიოზულად შეირყა. ლალი აფციაური კი აცხადებს, რომ შიმშილობის შეწყვეტის შემდეგ განსაკუთრებით მძიმე შედეგებია მოსალოდნელი, რადგან პატიმრებისთვის საკვების არასწორად მიღება, შესაძლოა, ფატალური შედეგით დასრულდეს.

გაგრძელება A4 გვერდზე

## რუსული ფირმა სამხრეთ ოსეთში ახალ სატელევიზიო ანტენას ამონტაჟებს

სეპარატისტულ "სამხრეთ ოსეთში" თებერვალში ახალი ცენტრალური გადამცემი სადგური ამოქმედდება. ცხინვალის ხელისუფლების კავშირგაბმულობის გაერთიანებამ მოსკოვში ხელშეკრულება დადო ცნობილ ორგანიზაციასთან "ტელეკომპროექტ-5", რომელსაც ამჟამად სეპარატისტულ რესპუბლიკაში სათანადო მოწყობილობა შეაქვს. ოსი მემონტაჟეები ქუსრეთის ერთ-ერთ სიმაღლეზე ანტენის მონტაჟს, მოედნის სამშენებლო და ელექტროგაყვანილობის სამუშაოებს ასრულებენ. სატელევიზიო ანტენისთვის ახალ მოწყობილობას "სამხრეთ ოსეთში" იანვრის ბოლოს შეიტანენ, სამონტაჟო სამუშაოები კი თებერვალში დასრულდება. ცხინვალის ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ ახალი გადამცემი სადგური საშუალებას იძლევა, მაუწყებლობა ცხინვალის რეგიონის მთელ ტერიტორიაზე განახორციელოს. ამასთან, ოსი ტელემაყურებლებისთვის ახალი, დამატებითი რუსული ტელეარხები ჩაირთვება; კერძოდ: "ტევეცე", "კულტურა" და სპორტული არხი. **მედიანიუსი**

## "ქათმის გრიპის" პანიკა

პირველი გვერდიდან

თუმცა, ასეთი საფრთხის შესახებ მთავრობაში ჯერჯერობით არ საუბრობენ. მთავრობის წევრებიდან, რატომღაც, განსაკუთრებულ სიმშვიდეს სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი ინარჩუნებს. ამ ეტაპზე გაურკვეველია, მთავრობა მოსალოდნელი კრიზისის დაძლევას რა გზებით აპირებს და გატარებული ღონისძიებებით ქვეყანაში მეფრინველეობის დარგის გადარჩენას მოახერხებს თუ არა.

საქართველოში ქათმის ხორცისა და კვერცხის მწარმოებელი კომპანიები ბაზრის მოთხოვნას სრულად ვერ აკმაყოფილებენ. ამ სექტორში ქართული კომპანიები, ძირითადად, ხუთი წლის წინ ამოქმედდა. არასახარბიელო ბიზნესგარემოს მიუხედავად, ადგილობრივმა კომპანიებმა ბაზარზე დამკვიდრება და კონკურენტუნარიანი ქართული პროდუქტის გამოშვება შეძლეს. დღეს მომხმარებელთა უმეტესობა არჩევანს "მუხრანის", "კოდის", "პატარძეულის" მიერ წარმოებულ ქათამსა და კვერცხზე აკეთებს.

ამ დღეებში ქათმის გრიპის გავრცელების საფრთხის გამო, ქათმისა და კვერცხის მწარმოებელი კომპანიები, განსაკუთრებული რეჟიმით, ე.წ დახურული სივრცის პრინციპით მუშაობენ. ქართულ ბაზარზე ქათმისა და კვერცხის გაყიდვა შეზღუდული არ არის. ამის მიუხედავად, საწარმოები, განსაკუთრებით - მცირე საწარმოები, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. შპს "პატარძეული", რომელიც კვერცხს აწარმოებს, საქართველოს ბაზრის მოთხოვნის 20 პროცენტს აკმაყოფილებს და 70-75 ათას კვერცხს ყიდის დღეში. კომპანია "პატარძეულის" გენერალური დირექტორი და მეწილე ოთარ მუჩიაშვილი ამბობს, რომ პანიკის შემდეგ კვერცხის რეალიზაცია თითქმის 100 პროცენტით შემცირდა. **"სადაზღვევო კომპანიებს ფრინველის დასაზღვევად დიდი ხნის წინ მივმართე, მაგრამ მათგან უარი მივიღე. ასეთივე არასახარბიელო მდგომარეობაში არიან დანარჩენი მეწარმეებიც. ფრინველის დახოცვა თუ გარდაუვალი გახდა, აუნაზღაურებელი ზარალი გველოდება. დაზღვევის შემთხვევაში, ერთი ფრინველი საშუალოდ 3-4 ლარით აგვინაზღაურდებოდა და ეს გახდებოდა საწინდარი იმისა, რომ საწარმო მთლიანად არ გაჩერდებოდა,"** - ამბობს ოთარ მუჩიაშვილი.

კომპანია "პატარძეული" 1999 წლიდან მოქმედებს. დღეს საწარმოს 100 ათასი კვერცხმდებელი ქათამი ჰყავს. საწარმოში 67 ადამიანია დასაქმებული. მოქმედი კანონმდებლობით, კვერცხი დღგ-სგან გათავისუფლებულია. თუმცა, დანარჩენი გადასახადების სახით კომპანია ბიუჯეტში ყოველთვიურად 5-6 ათას ლარს იხდის.

საქართველოში სოფლის მეურნეობის დარგების (მათ შორის, მეფრინველეობა) დაზღვევა ნებაყოფლობითია. ეს ნიშნავს იმას, რომ გარიგება ორ კერძო პირს შორის ხდება და მათ შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ბუნებრივია, ის არ ხორციელდება. როგორც ირკვევა, მოთხოვნის მიუხედავად, მაღალი რისკის გამო, ადგილობრივი სადაზღვევო კომპანიების ბიზნესინტერესებისთვის ფრინველის დაზღვევა მიმზიდველი წინადადება არ აღმოჩნდა.

"ალდაგის" შესყიდვების სამსახურის უფროსი ლევან ჯიშკარიანი ადასტურებს, რომ ქათმის ხორცისა და კვერცხის მწარმოებელი კომპანიებისგან ამ სახის დაზღვევაზე იყო მოთხოვნა, მაგრამ გარიგება "ალდაგის" უცხოელი პარტნიორების უარის გამო არ შედგა. დანარჩენი სადაზღვევო კომპანიებიც, ამ საკითხზე საუბრისას, მსგავსი სახის განცხადებას აკეთებენ.

ამის მიუხედავად, ირკვევა, რომ საქართველოში ფრინველების დაზღვევის, ხოლო შემდეგში ზარალის ანაზღაურების პრეცედენტი მაინც არსებობს. სადაზღვევო კომპანია "ჯი პი აი ჰოლდინგის" მარკეტინგის მენეჯერმა თინათინ სტამბოლიშვილმა "24 საათს" ასე უპასუხა: "ქათმის რამდენიმე ფერმა დაზღვეული გვქონდა დაახლოებით ერთი წლის წინ. დაზღვეულ რისკებში შედიოდა ქათმის ჭირი და სხვა სახის დაავადებები, აგრეთვე, სტიქიური უბედურებები. იყო ზარალის შემთხვევებიც, რომელიც ავანაზღაურეთ. ქათმის გრიპი არ იყო დაზღვეული, ვინაიდან ეს რისკი დაზღვევას არ ექვემდებარება (არ არსებობს ამ დაავადების ვაქცინა და უკონტროლოა). ყველა დასავლურ და განვითარებულ აზიურ ქვეყანაში ფრინველის ფერმა ყველანაირი რისკისგან (გარდა ქათმის გრიპისა) დაზღვეულია."

საერთოდ, რთულია სოფლის მეურნეობის რისკების დაზღვევა, მარტივად რომ ვთქვათ, შესაძენია ის რისკი, რომლის დაზღვევაც ალბათურია და ცნობილი არ არის, მაგალითად - წყალდიდობა, სეტყვა და სხვა. მეორე სირთულე ის არის, რომ რისკის შეფასებისთვის სათანადო სტატისტიკური მონაცემები საქართველოში არ არსებობს. რაც მთავარია, სოფლის მეურნეობის სექტორში არსებული კომპანიების და ფერმერების ძალიან მცირე რაოდენობას სურს დაზღვევის პაკეტით სარგებლობა, რაც საერთო ჯამში ერთ დიდ მთლიან ყულაბას არ ქმნის. ძირითადად, ამ მიზეზების გამო, სოფლის მეურნეობის დარგი სადაზღვევო კომპანიებისთვის წამგებიანი საქმეა.

საქართველო აგრარული ქვეყანაა. სწორედ ამის გამო სპეციალისტები დღემდე კამათობენ, სოფლის მეურნეობის დარგების დაზღვევა ქვეყანაში უნდა იყოს თუ არა სავალდებულო. მთავრობამ ლიბერალური ეკონომიკური განვითარების კურსი აირჩია და, ბუნებრივია, ეს მიდგომა გამოირიცხა. ექსპერტი დევი ხეჩინაშვილი არ ემხრობა სოფლის მეურნეობის სავალდებულო დაზღვევის შემოღებას, თუმცა ამ ეტაპზე დასაშვებად მიიჩნევს იმ გზის გავლას, რომელიც ევროპის ბევრმა ქვეყანამ აირჩია. დასაწყისში მოქმედებდა სავალდებულო დაზღვევა, მოგვიანებით კი, ფერმერული მეურნეობები თანდათან კოოპერაციული დაზღვევის სისტემაზე გადავიდა. ამჟამად ევროპაში, ძირითადად, ე.წ. თანადაზღვევის სისტემა მოქმედებს.

დღეს ხელისუფლებისა და ბიზნესის ურთიერთობაზე ბევრს საუბრობენ. ხელისუფლება უსაფრთხო და ხელსაყრელ ბიზნესგარემოს ქმნის და ამისთვის არსებულ ბერკეტებს იყენებს. ერთი მხრივ, აყალიბებს სათანადო საკანონმდებლო ბაზას, ხოლო მეორე მხრივ, საზედამხედველო სამსახურებს ადმინისტრაციული ღონისძიებების განსახორციელებლად და სექტორში მიზანმიმართული პოლიტიკის შესამუშავებლად იყენებს. დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილე ეკა წერეთელი ამბობს: "რადგანაც ქვეყანაში სოფლის მეურნეობის დაზღვევა სავალდებულო არ არის და ის კერძო გარიგების საგანს წარმოადგენს, სახელმწიფო ჩარევა გამორიცხულია. დღეს, პრაქტიკულად, სოფლის მეურნეობის დარგებში მოქმედი კომპანიებისთვის დაზღვევის მომსახურება ხელმისაწვდომი არ არის. გასათვალისწინებელია ის სისტემა, რომელიც ევროპის ბევრ ქვეყანაში (მათ შორის თურქეთიცაა) წარმატებით დაინერგა და ამჟამად მოქმედებს ე.წ. სადაზღვევო პული, რომელიც სოფლის მეურნეობის რისკს აზღვევს."

ამ მიმართულებით, საქართველოს მთავრობაში მუშაობა ჯერ არ დაწყებულა. პირველ ეტაპზე მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებები უნდა შევიდეს. სამომავლო სამოქმედო გეგმის არარსებობის გარეშეც ნათლად ჩანს, რომ მთავრობა მიმდინარე ღონისძიებების განხორციელებაშიც კი არათანმიმდევრულია. მაშინ, როცა მეზობელი ქვეყნების ხელისუფლება საკუთარ მოსახლეობაში ქათმის გრიპის ირგვლივ დაუსრულებელ პანიკას არ ქმნის; თურქეთში ფერმერები დაზღვეული ქათმების სპონტანურად დახოცვაზე უარს აცხადებენ (რაც საქართველო-თურქეთის საზღვარზე, სარფში მოხდა); რუსეთში მედია სიმშვიდეს ინარჩუნებს; რუსულ ტელეარხებზე აჩვენებენ იმ კადრებს, თუ როგორ მშვიდად ყიდულობს ხალხი ქათმის ხორცს; რაც მთავარია, არც ერთ ქვეყანაში არ გაკეთებულა განაცხადი, რომ ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილი 2 მილიონი ლარი ჯანდაცვის ობიექტების მომზადებას მოხმარდება - მსგავსი ნაბიჯის გადადგმას მხოლოდ საქართველოს მთავრობა აპირებს.

## "ქათმის გრიპის" წინააღმდეგ

ქუთაისში გუშინ "ქათმის გრიპთან" ბრძოლის რეგიონული შტაბი გაიხსნა. შტაბი, სადაც ადგილობრივებთან ერთად თბილისიდან ჩასული 5 სპეციალისტი იმუშავებს, აჭარის რეგიონის გარდა, მთელ დასავლეთ საქართველოზეა გათვლილი.

სამუშაო ჯგუფი სადეზინფექციო საშუალებებით, აირწინაღებითა და საჭირო მედიკამენტებით არის აღჭურვილი. შტაბში ცხელი ხაზი უკვე ამოქმედდა.

ფრინველის "გრიპის ვირუსის" გავრცელების პრევენციის მიზნით, სპეციალური ჯგუფი შეიქმნა, აგრეთვე, ზუგდიდში. ათკაციანი ჯგუფი შესაბამის ღონისძიებებს გაატარებს. უკვე შედგენილია კონკრეტული გეგმა, რომლის თანახმად, ზუგდიდის რაიონის სოფლებში შეიქმნება სპეციალური მობილური ჯგუფები, დაიბეჭდება ბუკლეტები, რომლებიც მოსახლეობაში დარიგდება. ჯგუფის შემადგენლობაში არიან რაიონის გამგეობის წარმომადგენლები, ასევე ვეტერინარული დეპარტამენტის თანამშრომლები და ჯანდაცვის მუშაკები.

*ინტერპრესნიუსი*

## ფრინველის ხორცით ვაჭრობა აიკრძალა

12 იანვარიდან გალის ბაზარზე ცოცხალი ფრინველისა და ფრინველის ხორცის გაყიდვა აიკრძალა. ასეთი გადაწყვეტილება სოხუმის სეპარატისტულმა მთავრობამ მიიღო. სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც სოხუმის ვიცე-პრემიერი ლეონიდ ლაკერბაია ხელმძღვანელობს, გასვლითი სხდომა გალში გამართა. ადგილობრივი აფხაზური ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად, კომისიამ საქართველოდან ფრინველის პროდუქტის შეტანის აკრძალვისთვის შესაბამისი ღონისძიებების გეგმა შეადგინა. გალის ბაზარზე ფრინველის პროდუქციით ვაჭრობის აკრძალვის გარდა, გალის რაიონიდან აფხაზეთის სხვა რაიონებში ამ პროდუქციის გატანაც აიკრძალა.

*მედიანიუსი*

## ხელისუფლების მხრიდან დისკრედიტაცია თუ შიდა ორგანიზაციული განხეთქილება



არასამთავრობო ორგანიზაციები თანადგომას უცხადებენ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას" და აღნიშნავენ, რომ ხელისუფლებამ ამჯერად არასამთავრობო სექტორის დევნა დაიწყო, დისკრიმინაციისათვის კი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ორგანიზაცია შეარჩია. სასტუმრო "თორში" შეკრებილმა 26 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ერთობლივი განცხადება შეიმუშავეს, სადაც გმობენ აღმასრულებელი ხელისუფლების უხეშ ჩარევას "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" საქმიანობაში.

**"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" შევიწროებით ხელისუფლებამ სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ მორიგი მასირებული შეტევა წამოიწყო,"** - აღნიშნა ვახტანგ ხმალაძემ.

"თორში" შეკრებილთა განცხადებით, მთავრობის მაღალჩინოსნები, რომლებიც თავის დროზე "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წევრები იყვნენ, ასოციაციის ამჟამინდელ ხელმძღვანელობას არასამთავრობო სექტორის ფუნქციიდან გადახვევასა და პოლიტიკურ მიკერძოებაში "ურცხვად" ადანაშაულებენ.

არასამთავრობოების განცხადებას გუშინვე გამოეხმაურა ასოციაციის მეორე, დაპირისპირებული მხარე. "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" და საპარლამენტო უმრავლესობის წევრი პაატა ლეჟავა მიმდინარე პროცესებთან ხელისუფლების რაიმე სახის კავშირს გამორიცხავს.

**"ეს ასოციაციის შიდა პრობლემაა. დიდი მადლობა, რომ არასამთავრობოებმა საკუთარი გულისტკივილი გამოხატეს, მაგრამ ამ საკითხს ასოცოციაციის წევრები სხვების ჩარევის გარეშე მოვაგვარებთ. ნორმალური ადამიანი ამ პროცესებს ხელისუფლების ზეწოლას არ დაუკავშირებს,"** - განაცხადა ლეჟავამ.

რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სასტუმრო "თორში" გაკეთებულ განცხადებას, მასში ნათქვამია, რომ **"ხელისუფლებამ სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ მორიგი მასირებული შეტევა წამოიწყო. ამჯერად შეტევის ობიექტი გახდა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი არასამთავრობო ორგანიზაცია - "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია"**. არასამთავრობო ორგანიზაციათა აზრით, ამ შეტევის მიზეზი ორგანიზაციის მიერ ბოლო პერიოდში გაკეთებული განცხადებები გახდა, რომლებშიც ხელისუფლების მიერ მიღებული ანტიდემოკრატიული კანონები და გადაწყვეტილებები არგუმენტირებულად იყო გაკრიტიკებული. **"ხელისუფლების მოთმინების ფიალა აღავსო პოლიტიკური ნიშნით დევნილი ე. წ. "ამბოხებული მოსამართლეების" მხარდაჭერაში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აქტიურობამ,** - ნათქვამია განცხადებაში, - **ხელისუფლების მაღალჩინოსნები, რომლებიც ერთ დროს ამ ორგანიზაციის წევრები ყოფილან, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას არასამთავრობო სექტორის ფუნქციიდან გადახვევასა და პოლიტიკურ მიკერძოებაში ურცხვად ადანაშაულებენ. ამ კამპანიას საჯაროდ აწარმოებენ ამჟამინდელი მინისტრები: ირაკლი ოქრუაშვილი და გიორგი პაპუაშვილი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი, გენერალური პროკურორის მოადგილე ნონა წოწორია, შს მინისტრის ყოფილი მოადგილე და იმერეთის ყოფილი გუბერნატორი გია გეწაძე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი პაატა ლეჟავა და სხვები. მასობრიობის იმიჯის შესაძენად ხელისუფლება ცდილობს ორგანიზაციის ზოგიერთი რიგითი წევრის გამოყენებასაც"**.

განცხადებაში, ასევე, ნათქვამია, რომ: **"ამ ბინძური კამპანიის ინიციატორი მაღალჩინოსნები სწორედ ის ხალხია, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციებში ყოფნის დროს არათუ მონაწილეობდნენ პოლიტიკურ პროცესებში, არამედ აქტიური როლი შეასრულეს რევოლუციაში, ხელისუფლების დამხობასა და ძალაუფლების ხელში აღებაში. როგორც ჩანს, მაშინ მისაღები იყო არასამთავრობო ორგანიზაციების "პოლიტიზაცია", ხოლო როდესაც ისინი მინისტრები, პროკურორები, გუბერნატორები და დეპუტატები გახდნენ, ეს დაუშვებელი გახდა; მით უმეტეს, რომ ის პრობლემები, რომელთა გამოც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მაღალჩინოსანთა რისხვა დაიმსახურა, სამართლიანობის, კანონიერებისა და ადამიანის უფლებების დაცვას უკავშირდება და პოლიტიკასთან შეხება მხოლოდ იმდენად აქვს, რამდენადაც ყველა პატიოსან მოქალაქეს. იმის ნაცვლად, რომ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან ხელისუფლებაში წასულ მაღალჩინოსნებს თავისი საქმიანობით დაეცვათ დემოკრატიული ფასეულობები, დღეს სწორედ ისინი გვევლინებიან ამ ფასეულობების დამრღვევებად"**.

დაბოლოს, **"მაღალჩინოსანთა მიერ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წინააღმდეგ აგორებული კამპანია კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ხელისუფლება ვერ ეგუება მიუკერძოებელი პოზიციების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობას. მისთვის მხოლოდ ისეთი სამოქალაქო საზოგადოებაა მისაღები, რომელიც მხოლოდ მის "დიად წარმატებებსა" და "ბრძნულ გადაწყვეტილებებს" უკმევს გუნდრუკს. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წინააღმდეგ ხელისუფლების გალაშქრება პირდაპირ არის მიმართული არასამთავრობო ორგანიზაციების, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და მთლიანად სამოქალაქო საზოგადოების დისკრედიტაციისკენ,"** - ვკითხულობთ განცხადებაში, რომელსაც ხელს არასამთავრობო ორგანიზაციათა წევრები აწერენ.

## უცნობი თავისუფლება

**ალექსანდრე ელისაშვილი:** ახლახან საზოგადოებრივი რადიოს გენერალურ პროდიუსერად დაინიშნეთ, ეს საახალწლო საჩუქარი იყო თუ ტვირთი?

**თინათინ იზორია:** ზოგიერთისთვის თანამდებობა შეიძლება საჩუქარი იყო, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ საკმაოდ მძიმე ტვირთია.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** რის გამოსწორებას აპირებთ? მოახერხებთ თუ არა თქვენ და თქვენი კოლექტივი, ჩამოიცილოთ სახელისუფლებო რადიოს იმიჯი?

**თინათინ იზორია:** საზოგადოებრივი რადიო სახელისუფლებო არ უნდა იყოს... სხვა საკითხია, ეს ასე არის თუ არა... სანამ მოვიდოდი აქ, მეც ასეთი შთაბეჭდილება მქონდა.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** რა დაგხვდათ?

**თინათინ იზორია:** ოდნავ ქაოსი, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ცენზურა არის. შეიძლება, ნაკლებად გვისმენენ და ზეწოლა ამიტომაც არ არის. ყოველ შემთხვევაში, დამერწმუნეთ, რომ არანაირი ზეწოლა არ არის. რაც შეეხება გადაცემებს, საინფორმაციო გამოშვებებს, ჩვენ ახალ ფორმატზე გადავედით. ყოველ საათში გადის 5-10 წუთიანი გამოშვებები, ხოლო 7 საათზე დღის თემა კეთდება, ანალიტიკური გამოშვებაა. ყველანაირად ვცდილობთ, არ დავარღვიოთ ეთიკის ნორმები, ორივე მხარე მაქსიმალურად იყოს გაშუქებული. რადგან საზოგადოებრივი რადიო ჰქვია და ჩვენ ვალდებულნი ვართ, ყველა მხარე იყოს წარმოჩენილი, რათა ხალხი გვენდოს.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** ყოველთვის ნაკლები ყურადღება ექცეოდა ხოლმე რადიოს. მახსოვს, რამდენიმე წლის წინათ, ზაზა შენგელია რომ მოვიდა ხელმძღვანელად, ერთ-ერთ შეხვედრაზე ტელევიზიაზე რომ საუბრობდა, ბოლოს გაახსენდა რადიო. კი თქვა, არ დამვიწყებია, როგორც გემრიელი ლუკმა, ისე შემოვიტოვეო, მაგრამ შენგელია ისე წავიდა, რადიოსთვის არ მიუხედავთ, იგივე ტექნიკა დარჩა. ახლა თუ ხდება ტექნიკური გადაიარაღება?

**თინათინ იზორია:** სანამ ტექნიკაზე გადავიდოდეთ, მანამდე ვიტყვი, რომ ჩვენთან უფრო პროგრესული ნაბიჯები გადაიდგა, ვიდრე ტელევიზიაში, რადგან რადიო პოლიტიკის განმსაზღვრელი ყველაზე იაფი საშუალებაა. ამ მხრივ, ჩვენმა ხელმძღვანელობამ თქვა, რომ რადიოში მოხდება რეფორმა, რაც სამაუწყებლო მხარესაც შეეხება და ტექნიკასაც. საკმაოდ სერიოზულ ტექნიკას შეიძენენ, საოფისე ტექნიკასა და გადამცემებს. ამ წელიწადში საქართველოს დავფარავთ, მომავალ წელს კი სტრატეგიული მიზნები გვაქვს, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიმართულებით. ახლა ჩვენი შესაძლებლობებით გალსა და ოჩამჩირეს ვფარავთ. რაც შეეხება პროგრამულ ნაწილს, საზოგადოებრივ რადიოს საკუთარი ტრადიცია აქვს, ამ ტრადიციის უგულებელყოფა არ შეიძლება. ის გადაცემები, რომლებიც საზოგადოებამ გაითავისა, დარჩება, ოღონდ, გარკვეული სახეცვლილებით. საჭიროა, დროს ფეხი ავუწყოთ და ახალი გადაცემებიც დაიწყება. იანვრიდან 7 ახალი გადაცემა იქნება, ახალი ავტორებიც გვყავს, თებერვლიდან კი კიდევ ახალი გადაცემები იქნება.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** ახალი ხელმძღვანელის მოსვლას ყოველთვის შიში ახლავს, თანამშრომლებს სამსახურიდან გაშვება აშინებთ ხოლმე, ეს ახალი ხილი არ არის ამ რადიოში. როგორ აისახა თქვენი მისვლა თანამშრომელთა რაოდენობაზე?

**თინათინ ოზირია:** თანამშრომელთა რაოდენობაზე ჩემი მისვლა არ ასახულა და იმედი მაქვს, რომ არ აისახება. პირიქით, რამდენიმე თანამშრომელი მივიღეთ და კიდევ მივიღებთ. თუმცა, გამორიცხული არაფერია, გადაისინჯება ყველაფერი. რაც ძველმოდურია, ის გაუმჯობესდება, თუმცა ეს შეიძლება, არსებულ რესურსებზე დაყრდნობით მოხდეს.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** ერთი დიდი საუნჯეა რადიოში დაუნჯებული, ერს დიდი სიმდიდრე აქვს აუდიო ჩანაწერების სახით. 6 მილიონი ფირია შენახული რადიოში, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ კარგად არის შენახული. თანამშრომლები კი დაჰკანკალებდნენ თავს, მაგრამ მხოლოდ ეს საკმარისი არ იყო, უამრავი ფირი განადგურდა. რას უპირებთ ახლა, არის თუ არა ერთ-ერთი პრიორიტეტი ოქროს ფონდის მოვლა თინათინ იზორიასთვის?

**თინათინ იზორია:** მართლაც სავალალო მდგომარეობაა ოქროს ფონდში, უნიკალური ჩანაწერები განადგურების პირას არის მისული. ერთ-ერთი პრიორიტეტი არის ამ ხმების გადარჩენა. ამისთვის თანხები არის უკვე ჩადებული, არსებულ ფირებს მინიდისკებზე ვიწერთ. პირობას გაძლევთ, რომ შეძლებისდაგვარად მოვუვლით. საზოგადოებრივი რადიო ამიერიდან ყოველთვის საზოგადოების გვერდში იქნება.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** შემდეგი სტუმარი გახლავთ ინგა ალავიძე, გაზეთ "24 საათის" კორესპონდენტი. ინგა, ფრინველის გრიპის არ გეშინიათ?

**ინგა ალავიძე:** არ მეშინია. უნდა მეშინოდეს? ისე, ჭიპაშვილმა ისეთი განცხადებები გააკეთა, რომ უნდა მეშინოდეს, მაგრამ მაინც არ მეშინია.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** ძალიანაც კარგი. თქვენ აშუქებთ ხოლმე სასამართლო პროცესებს, გუშინ ვლადიმერ არუთინიანის სასამართლო პროცესი იყო. თქვენი აზრით, რამდენად ლოგიკური იყო ის გადაწყვეტილება, რომელიც მოსამართლემ გამოიტანა?

**ინგა ალავიძე:** იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, როგორი სკანდალითაც გაიხსნა ეს საქმე, ალბათ, ლოგიკური იყო. ყოველ შემთხვევაში, მე ველოდი, რომ არუთინიანს მძიმე განაჩენს გამოუტანდნენ. თუმცა, ვფიქრობ, რომ გამოძიება სრულყოფილად არ ჩატარებულა. ძალიან ბევრი კითხვის ნიშანია ამ გამოძიებასთან დაკავშირებით, თუნდაც, ხელყუმბარასთან და პოლიციელის მკვლელობასთან დაკავშირებით, რომელიც მოულოდნელი სპეცოპერაციის დროს გარდაიცვალა ვაშლიჯვარში.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** ამის თაობაზე აცხადებდა არუთინიანის ადვოკატიც. თქვენც ასეთი შთაბეჭდილება დაგრჩათ, რომ გარკვეული ბურუსით არის მოცული შსს-ს თანამშრომლის მკვლელობა?

**ინგა ალავიძე:** ასეთი შთაბეჭდილება კი არ მრჩება, დარწმუნებული ვარ ამაში, რადგან სპეცოპერაცია აბსოლუტურად დაუგეგმავად ჩატარდა. სპეცოპერაცია მას შემდეგ ჩატარდა, რაც პოლიციელი ქვლივიძე გარდაიცვალა. სხვათა შორის, იმავე დღესვე, გვიან ღამით, შს მინისტრმაც განაცხადა, რომ ეს იყო შემთხვევითი სპეცოპერაცია. ძალიან ბევრი საინტერესო დეტალია. თავდაპირველად ნათქვამი იყო, რომ არუთინიანმა ხელყუმბარა გახსნა და ხელყუმბარის ნამსხვრევის შედეგად გარდაიცვალა ქვლივიძე. შემდგომ თქვეს, რომ ავტომატის სროლის შედეგად გარდაიცვალა. ადვოკატს აქვს სერიოზული მტკიცებულებები. ის აცხადებს, რომ იარაღზე, რომელიც გამოძიებამ შემთხვევის ადგილიდან ამოიღო, არ არის ანაბეჭდები. ეს ძალიან მნიშვნელოვანი რამეა.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** მოკლედ, მთლად რიგზე ვერ არის საქმე. თავად არუთინიანი როგორ იქცეოდა სასამართლო პროცესზე?

**ინგა ალავიძე:** ჩვეულებრივად. ალბათ, არუთინიანისთვისაც არ იყო მოულოდნელი, რომ სამუდამო განაჩენს გამოუტანდნენ.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** რაც შეეხება პოლიციელის მკვლელობას, არუთინიანმა თქვა რამე?

**ინგა ალავიძე:** ვფიქრობ, ამ საქმეს ძალიან სერიოზული გამოძიება სჭირდება, ჟურნალისტები ამით უნდა დავინტერესდეთ და დეტალურად გამოვიკვლიოთ. არის ძალიან ბევრი საინტერესო დეტალი, რასაც გამოძიება სჭირდება და რომელსაც გამოძიებამ პასუხი ვერ გასცა.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** თქვენ თუ გაქვთ ინფორმაცია, რომ შალვა რამიშვილი კარცერში გადაუყვანიათ?

**ინგა ალავიძე:** კი, მაქვს. გუშინწინ, გვიან ღამით გადაიყვანეს კარცერში. მასთან მოულოდნელად შევიდა ადამიანის უფლებათა ყოფილი დამცველი გოგა ონიანი, რომელიც ახლა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეა. გაიჩხრიკა რამიშვილის საკანი. ჩემი ინფორმაციით, იქ აღმოაჩინეს მობილური ტელეფონი და ამის გამო გადაიყვანეს კარცერში. თუმცა, ამ მიზეზით არანაირად არ უნდა გადაეყვანათ.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** ანუ, ეს დარღვევაა?

**ინგა ალავიძე:** ნამდვილად დარღვევაა. არსებობს უფრო მსუბუქი სადამსჯელო ღონისძიებები. შალვას არავისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია, არ შეკამათებია.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** თუ არ ვცდები, ხვალ არის რამიშვილისა და კოხრეიძის პროცესი. იმის გამო, რომ კარცერშია ჩაყვანილი 5 დღით, ნიშნავს თუ არა ეს, რომ იგი პროცესს არ დაესწრება.

**ინგა ალვიძე:** ვერ გეტყვით. ალბათ, უნდა დაესწროს რამიშვილი პროცესს.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ კინოთეატრ "ამირანში" სასწრაფო სამედიცინო დახმარება "03"-ის თანამშრომლების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელობამ 03-ის მუშაობის ექვსთვიანი პერიოდი დადებითად შეაფასა და 10 საუკეთესო თანამშრომელი 300-ლარიანი ფულადი პრემიით დაასაჩუქრა.

"სასწრაფო სამედიცინო დახმარების თანამშრომლების დაჯილდოებამ ყოველწლიური ხასიათი უნდა მიიღოს. ეს ადამიანები ნამდვილად იმსახურებენ ჯილდოს. მომავალ წელს უფრო ფართომასშტაბიან ღონისძიებას გავუწევთ ორგანიზებას," - განაცხადა სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის დირექტორის მოადგილემ ვახტანგ სურგულაძემ.

*მედიანიუსი*

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პირველ თებერვალს სამუშაო ვიზიტით გერმანიაში გაემგზავრება. წინასწარი ინფორმაციით, სააკაშვილი მონაწილეობას მიიღებს მიუნხენში დაგეგმილ კონფერენციაში, რომელიც საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებს მიეძღვნება. ოფიციალური შეხვედრების ნუსხა ზუსტდება. ვიზიტი 5 თებერვლამდე გაგრძელდება.

*ინტერპრესნიუსი*

■ ■ ■

**თბილისი.** საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცხელ ხაზს 2005 წლის განმავლობაში 487 მოქალაქე დაუკავშირდა. როგორც იუსტიციის სამინისტროში განაცხადეს, მოქალაქეები, ძირითადად, განმარტებებსა და ინფორმაციებს ითხოვდნენ. თუმცა, ამავდროულად, იყო საჩივრებიც. მოქალაქეთა შეკითხვები, ძირითადად, შეხებოდა უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის პროცედურას, კოოპერატიული ბინების პრივატიზაციას, ინდივიდუალური ბინათმშენებლობებისა და უკანონოდ მიტაცებული მიწების რეგისტრაციის საკითხს, ტექბიუროში რეგისტრირებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში ხელახალი რეგისტრაციის აუცილებლობას და ა.შ.

ცხელ ხაზზე საჩივრები შევიდა თბილისის, რუსთავის, ქუთაისისა და მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის თანამშრომლების წინააღმდეგ, რასაც შიდა კონტროლისა და აუდიტის სამსახურის მხრიდან შესაბამისი რეაგირება მოჰყვა.

ცხელი ხაზი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა კონტროლისა და აუდიტის სამსახურის ტელეფონზე - 91 13 55, სააგენტოს თავმჯდომარის დავით ეგიაშვილის დავალებით, 2005 წლის თებერვლიდან ამოქმედდა.

ცხელი ხაზის ნომერი სააგენტოს ყველა ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურშია გამოკრული.

*ინტერპრესნიუსი*

■ ■ ■

**მცხეთა.** მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სამხარეო ადმინისტრაცია ქათმის გრიპის გავრცელების თავიდან ასაცილებლად ყველა ზომას მიმართავს.

როგორც მცხეთა-მთიანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილემ შადიმან შამანაძემ განაცხადა, განსაკუთრებულად კონტროლდება არაგვის ხეობა და თბილისის გარშემო მდებარე საგუბრები, რადგან იქ დიდი რაოდენობით მოიყარა თავი გარეულმა ფრინველმა.

"არაგვის ხეობაში და თბილისის გარშემო მდებარე საგუბრებში დიდი რაოდენობით ბატმა და იხვმა მოიყარა თავი და, აქედან გამომდინარე, ეს ტერიტორიები მკაცრ კონტროლზეა აყვანილი. სწორედ ეს არის დაავადების შესაძლო კერა, რადგან შედარებით მაღალმთიან რაიონებში ქათმის გრიპის გავრცელების ნაკლები საშიშროებაა. მოსახლეობა გაფრთხილებულია, რომ შინაური ფრინველი არ გამოუშვან გარეთ და ნადირობისგან თავი შეიკავონ. ჯერჯერობით ჩვენს რეგიონში ფრინველის სიკვდილის ფაქტი არ დაფიქსირებულა," - განაცხადა შამანაძემ.

პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილის თქმით, რეგიონში საგანგებო შტაბი ფუნქციონირებს, რომელიც მუშაობის გაძლიერებულ რეჟიმზეა გადაყვანილი. მცხეთა-მთიანეთის საავადმყოფოებში უკვე შეიტანეს ხელოვნური სუნთქვის აპარატურა.

*მედიანიუსი*

■ ■ ■

**გერმანია.** საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი გუშინ გერმანიაში გაემგზავრა. მინისტრი მონაწილეობას მიიღებს "ევროპის მწვანე კვირეულში", ასევე, დაგეგმილია საქართველოს სამეურნეო პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, რომელიც 12 იანვარს დაიწყება და 22 იანვრამდე გაგრძელდება.

*ინტერპრესნიუსი*

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# სამთავრობო კრიზისი ისრაელში

## მინისტრები პოსტების დატოვებას არ ჩქარობენ

ისრაელის კოალიციური მთავრობის ოთხი მინისტრი, რომლებიც "ლიკუდის" პარტიის წევრები არიან, უარს აცხადებენ პარტიის ლიდერის, ბენიამინ ნეთანიაჰუს მოთხოვნის შესრულებაზე. ნეთანიაჰუმ მინისტრებს გადადგომა მოსთხოვა, მაგრამ თავად მაღალჩინოსნები კვირამდე კაბინეტის დატოვებას არ აპირებენ. ისრაელის შრომის პარტიის ლიდერმა გადადგომის შესახებ განცხადების დაწერა პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს ეჰუდ ოლმერტს, სოფლის მეურნეობის მინისტრს იზრაელ კაცს, საგარეო საქმეთა მინისტრს სილვან შალომს, განათლების მინისტრს ლიმორ ლივნატესა და ჯანდაცვის მინისტრს დან ნავეჰას მოსთხოვა.

როგორც ისრაელის ოფიციალური წყაროები აცხადებენ, ზემოაღნიშნული ღონისძიებები ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე იყო დაგეგმილი, რასაც ხელი პრემიერ-მინისტრის, არიელ შარონის ავადმყოფობამ შეუშალა. როგორც "ბი-ბი-სი" იუწყება, ისრაელის პრესა ძლიერ დააბნია მინისტრების ასეთმა ქმედებამ, მაგრამ მოგვიანებით მათ ეს ყველაფერი მიმართვის არასასიამოვნო ტონს გადააბრალეს.

**"ვფიქრობ, რამდენიმე დღით ადრე თუ გვიან წასვლა მინისტრთა კაბინეტიდან ბევრს ვერაფერს შეცვლის "ლიკუდში" არსებული განხეთქილების თვალსაზრისით,"** - განაცხადა რადიოინტერვიუში ამავე პარტიის წარმომადგენელმა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა იზრაელ კაცმა.

"ლიკუდის" ხელმძღვანელობის განცხადებაში აღნიშნულია, რომ პარტია ვერ შეძლებს მონაწილეობის მიღებას მარტში დაგეგმილ არჩევნებში როგორც ალტერნატიული პარტია, თუ ამ დროისთვის ჯერ კიდევ იქნება ხელისუფლებაში.

"ლიკუდის" წარმომადგენლები მთავრობაში უმცირესობაში აღმოჩნდნენ მას შემდეგ, რაც არიელ შარონმა დატოვა პარტია და ჩამოაყალიბა ახალი ცენტრისტული მოძრაობა სახელწოდებით "ქადიმა".

საინტერესოა, როგორ აფასებენ მარტში დაგეგმილ არჩევნებში ახალი მოძრაობის გამარჯვების შანსებს, თუკი იმ დროისათვის მას სხვა ლიდერი ეყოლება. როგორც საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგები მოწმობს, არჩევნებში გამარჯვებას "ქადიმა" მაინც მოიპოვებს, თუნდაც არიელ შარონის გარეშე.



*ბენიამინ ნეთანიაჰუს მოთხოვნების შესრულებას მინისტრები არ ჩქარობენ.*

ისრაელის პრემიერ-მინისტრის ჯანმრთელობის მდგომარეობას კი გაუმჯობესება არ ეტყობა. კიდევ ერთი ტომოგრაფიის შემდეგ, ექიმები აცხადებენ, რომ შარონის მდგომარეობა კვლავ კრიტიკულ მდგომარეობაში რჩება. იერუსალიმში არსებულ კლინიკაში "ჰადასი" 77 წლის პოლიტიკოსი დამამშვიდებელი პრეპარატების მეშვეობით ხელოვნურ კომაში იმყოფება. ასეა თუ ისე, გამოჯანმრთელებისთვის არიელ შარონს, მისი პირადი ექიმის მტკიცებით, ნებისმიერ შემთხვევაში დასჭირდება რამდენიმე თვე, რაც თავისთავად გულისხმობს პოლიტიკიდან მის წასვლას.

ისრაელის ხელისუფლება კი ექიმების საბოლოო დასკვნას ელის. იმ შემთხვევაში, თუ დასკვნაში აღნიშნული იქნება არიელ შარონის სამუდამო ინვალიდობის დიდი ალბათობა, სასწრაფოდ მოიწვევენ სამთავრობო სხდომას, სადაც პრემიერის დროებით შემცვლელს აირჩევენ მანამდე, ვიდრე 28 მარტის არჩევნებში არ გაირკვევა გამარჯვებული პარტიის სახელი და პრემიერ-მინისტრობის სავარაუდო კანდიდატის ვინაობა.

# მღელვარება მონღოლეთში

პირველი გვერდიდან

ხანმოკლე მიტინგის შემდეგ მღელვარე ბრბო გადამდგარი პოლიტიკური ძალის, მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალურ ოფისში შეიჭრა, იმ იმედით, რომ იქ პარტიის რომელიმე ლიდერს ნახავდა, თუმცა, პარტიის შტაბ-ბინა ცარიელი აღმოჩნდა.

დემონსტრანტებმა პარტიის ოფისში რამდენიმე საათი დაჰყვეს. როგორც საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებიან, ერთადერთი მოთხოვნით, თუ რატომ დაშალა სახალხო რევოლუციურმა პარტიამ მთავრობა. თუმცა, გუშინ ეს კითხვა პასუხგაუცემელი დარჩა. ოფისისთვის საკმაო ზიანის მიყენების შემდეგ, ბრბომ პარტიის შენობა დატოვა. აღსანიშნავია, რომ ქალაქის ცენტრში მობილიზებულმა 300-მდე სამართალდამცველმა არ ან ვერ შეუშალა ხელი მასობრივ დარბევას.

მონღოლეთის სახალხო რევოლუციურმა პარტიამ მთავრობის შემადგენლობა ოთხშაბათს დატოვა - როგორც ამბობენ, იმ მიზეზით, რომ მთავრობის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა თავს ვერართმევს კორუფციასთან და სიღარიბესთან ბრძოლას. ყოფილი კომუნისტები ამტკიცებენ, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ქვეყანაში ეკონომიკური ვითარება კიდევ უფრო გაუარესდა. "მოქმედი მთავრობა ვერ ახერხებს მონღოლური საზოგადების წინაშე მდგარი პრობლემების - სიღარიბის, უმუშევრობისა და კორუფციის აღმოფხვრას," - განაცხადა სახალხო რევოლუციური პარტიის თავმჯდომარემ მიეგომბო ენხოლდმა სახელმწიფო ტელევიზიით გამოსვლისას.

ყოფილი კომუნისტების მმართველი კოალიციიდან გამოსვლა საფრთხეს უქმნის როგორც აღმასრულებელი, ასევე საკნონმდებლო ხელისუფლების ფუნქციონირებას. ოთხი პარტიის შემადგენლობით 2004 წლის აგვისტოში ჩამოყალიბებულ კოალიციას, თავიდანვე გამოეყო ერთი პარტია. თუმცა, მაშინ პარლამენტში კოალიციას მაინც დარჩა მანდატების უმრავლესობა ხელისუფლების შესანარჩუნებლად. ყოფილი კომუნისტების წასვლით კი, საპარლამენტო უმრავლესობა, ფაქტობრივად, აღარ იარსებებს.

კოალიცია "სამშობლო-დემოკრატიას" პრემიერ-მინისტრი, წარსულში ცნობილი ჟურნალისტი და დისიდენტი ცახიალგანინ ელბეგდორჯი ხელმძღვანელობს. ბუნებრივია, მისი ხელმძღვანელობით დემოკრატიული ძალების ალიანსი ყოფილ კომუნისტებთან (შეგახსენებთ, ისინი ქვეყანას 1990 წლამდე ერთპიროვნულად მართავდნენ) მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო. კომუნისტებმა პირველივე ხელსაყრელი მომენტი გამოიყენეს და ახლა საკუთარი მთავრობის შექმნას შეეცდებიან.

თუმცა, თუ გუშინდელ მოვლენებს გავითვალისწინებთ, "წითლებს" საკმაოდ უნდა გაუჭირდეთ ხელისუფლებაში ერთპიროვნულად მოსვლა. პირველ რიგში, საზოგადოებრივი განწყობის გათვალისწინებით. გარდა ამისა, 76-წევრიან სახელმწიფო ჰურალში (მონღოლეთის პარლამენტი) ყოფილ კომუნისტებს უმრავლესობის მისაღწევად ერთი ხმა აკლიათ.

# რუსეთი ირანის "ბირთვული დოსიეს" უშიშროების საბჭოში განხილვის წინააღმდეგი არ იქნება

რუსეთმა აშშ-ს მისცა გარანტია, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოში ირანული "ბირთვული დოსიეს" განხილვის წინააღმდეგი არ იქნება. როგორც გაზეთი "ვაშინგტონ პოსტი" წერს, ამ ვალდებულებამ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვსა და აშშ-ს სახელმწიფო მდივან კონდოლიზა რაისს შორის ოთხშაბათს გამართული სატელეფონო საუბრის დროს გაიჟღერა.

სატელეფონო საუბრის კომენტირებისას, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჟურნალისტებს აცნობა, რომ ორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ უწყებათა მეთაურებმა იმედგაცრუება გამოხატეს თეირანის გადაწყვეტილებით, განაახლოს ურანის გამდიდრების სფეროში კვლევითი სამუშაოები. განცხადებაში არაფერი იყო ნათქვამი ირანული "ბირთვული დოსიეს" გაერო-ს უშიშროების საბჭოში გადაცემასთან დაკავშირებით ვაშინგტონის მხარდაჭერაზე. თუმცა, ლავროვმა აღნიშნა, რომ რუსეთი თეირანის ბირთვულ კვლევებზე მორატორიუმის შენარჩუნებისთვის იღვწის.

ირანული ბირთვული პროგრამის ირგვლივ შექმნილი კრიზისის განხილვის მიზნით დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრები ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (მაგატე-ს) საგანგებო სხდომის მოწვევას მოითხოვენ. ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის დიპლომატიური უწყების მეთაურმა ჯეკ სტრომ ბერლინში გამგზავრების წინ განაცხადა, სადაც ის დღეს თავის ფრანგ და გერმანელ კოლეგებს უნდა შეხვდეს.

სტროს თქმით, არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ მაგატე-ს სხდომის შემდეგ "ირანული დოსიე" განსახილველად გაერო-ს უშიშროების საბჭოს გადაეცეს.

*ინტერპრესნიუსი*

## ორი სიტყვით

**რუსეთი.** მოსკოვის ცენტრში მდებარე სინაგოგაზე თავდასხმისას რვა ადამიანი დაშავდა. ექიმების თქმით, დაშავებულთაგან ორი მძიმე მდგომარეობაშია, დანარჩენი ექვსის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. გუშინ საღამოს სინაგოგის შენობაში 20 წლის ალექსანდრ კობცევი შეიჭრა და იქ მყოფთ დანით ჭრილობები მიაყენა. დაჭრილთა შორის სამი უცხოელია - აშშ-ს, ისრაელის და ტაჯიკეთის მოქალაქეები. თავდასხმის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ადამიანის უფლებათა დამცველები და საზოგადო მოღვაწეები ხელისუფლებას მოუწოდებენ, გაამკაცრონ ბრძოლა რუსეთში ქსენოფობიის წინააღმდეგ. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თურქეთი.** თურქეთის ჯანდაცვის სამინისტროს საკოორდინაციო კომიტეტის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ქვეყანაში "ფრინველის გრიპით" დაავადებულთა რიცხვი 18 ადამიანამდე გაიზარდა.

სისხლის ანალიზის შედეგად H5H1 ვირუსი ქვეყნის აღმოსავლეთში მდებარე სიირთისა და შანლიურვის პროვინციების მცხოვრებლებს გამოუვლინდათ.

სულ, თურქეთის ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, სისხლის ანალიზები იმ 187 ადამიანს ჩაუტარდა, რომლებმაც თავად მიმართეს ექიმებს. ამჟამად, "ფრინველის გრიპის" სიმპტომებით თურქეთის საავადმყოფოში სამკურნალოდ დაახლოებით, 100 ადამიანი იმყოფება. აქედან 33 ქალაქ ვანის კლინიკაშია მოთავსებული.

თურქეთის ჯანდაცვის სამინისტროსა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განცხადებებით, თურქეთში ჯერჯერობით "ფრინველის გრიპის" ვირუსის ადამიანიდან ადამიანზე გადაცემის შემთხვევა არ დაფიქსირებულა. იანვრის დასაწყისში ამ დაავადებამ ქვეყანაში სამი მოზარდის სიცოცხლე იმსხვერპლა.




გამოხმაურება

# კონსტიტუციური ცვლილებები ორიგინალურ ხასიათს იძენს

პირველი გვერდიდან

ამ ბოლო დღეებში გაჟღერებული ინიციატივა სწორედ ზემოაღნიშნულ ტიპოლოგიასთან მიმართებაშია ორიგინალური, თორემ, პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის და მასთან ერთად მინისტრთა კაბინეტის სრული შემადგენლობის პარლამენტის წევრთაგან ფორმირება ჩვეული პრაქტიკაა საპარლამენტო მმართველობის ქვეყნებში (როგორც საპარლამენტო რესპუბლიკებისთვის, ასევე საპარლამენტო მონარქიებისთვის), რაც სხვა ნიშნებთან ერთობლიობაში განასხვავებს მმართველობის ამ ფორმას საპრეზიდენტო რესპუბლიკისგან. ნახევრადსაპრეზიდენტო ანუ შერეული მმართველობის პირობებში მთავრობის ფორმირება განსხვავებული გზებით ხდება (როგორც წესი - არასაპარლამენტო გზით), თუმცა ყველა შემთხვევაში გადამწყვეტია სახელმწიფოს მეთაურის - პრეზიდენტის როლი.

მმართველობის ფორმების მიხედვით მთავრობის ფორმირების წესის დიფერენციაცია გამოწვეულია თითეული მოდელის პირობებში ხელისუფლების დანაწილების სქემების თავისებურებებით. თუ საპრეზიდენტო რესპუბლიკაში თავად პრეზიდენტი მეთაურობს აღმასრულებელ ხელისუფლებას და პასუხისმგებელია მის განხორციელებაზე, საპარლამენტო რესპუბლიკებში მისი ფუნქციები მთავრობასთან მიმართებაში ნომინალურია და წამყვან ფიგურას საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური პარტიის ლიდერი - პრემიერ-მინისტრი წარმოადგენს. სხვაგვარია პრეზიდენტის ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნება შერეული მმართველობის პირობებში, როდესაც სახეზეა აღმასრულებელი ხელისუფლების ბიცეფალურობა - მისი განაწილება, ერთი მხრივ, პრეზიდენტსა და, მეორე მხრივ, კოლეგიალურ ორგანოს - მთავრობას შორის.

ეჭვგარეშეა, რომ ნახევრად-საპრეზიდენტო მმართველობის პირობებში (განსაკუთრებით მისი ქართული ნაირსახეობის გათვალისწინებით) პრემიერ-მინისტრის "საპარლამენტო წარმომავლობა" გავლენას მოახდენს საკანონმდებლო და აღმასრულებელ (მათ შორის საპრეზიდენტო) შტოებს შორის ბალანსზე და გამოიწვევს მმართველობის საპარლამენტო და საპრეზიდენტო ფორმებისთვის დამახასიათებელი ნიშნების გაუმართლებელ სინთეზს, რისი ანალოგიც ტრადიციული, განვითარებული დემოკრატიული ინსტიტუტების მქონე ქვეყნებში არ მოიპოვება.

ვფიქრობთ, გადაჭარბებულ შეფასებად არ ჩაგვეთვლება, თუ აღვნიშნავთ, რომ საკანონმდებლო ორგანოში ამგვარი იდეის ინიცირება დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის განვითარების საქმეში კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგულირების მნიშვნელობის არასათანადო შეფასების შედეგიცაა, რაც დაუძლეველ მახასიათებლად იქცა პოსტსაბჭოთა სივრცისათვის. თუმცა, თუ მსგავსი მოსაზრების გაჟღერება ხელს შეუწყობს საქართველოში საპარლამენტო რესპუბლიკის მმართველობის ფორმის დამკვიდრების თაობაზე დისკუსიის სტიმულირებას, მას გამართლება, ცხადია, ექნება, ვინაიდან ქვეყნის მომავლისთვის უდავოდ საინტერესო და ეფექტურია ამ თემაზე დისკუსიის ინიცირება. ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მმართველობის საპარლამენტო მოდელის დამკვიდრება შესაძლებელია დამოკრატიის განვითარების მაღალი ხარისხის პირობებში, როდესაც სახეზეა განვითარებული პარტიული სისტემა და საზოგადოებაში მაღალია პოლიტიკური კულტურის დონე.

ჩვენ მიერ მოკლედ გაანალიზებული ინიციატივის ირგვლივ შედარებით კონკრეტული მოსაზრებების გამოთქმა შესაძლებელი იქნებოდა შესაბამისი კონსტიტუციური კანონის პროექტის არსებობის შემთხვევაში. იმედია, თუ პროექტის დონეზე მონახაზის შემუშავებამდე მივიდა საქმე, საკითხი სიღრმისეულად, დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილების ჭრილში იქნება განხილული. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდია ალბათობა იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციურმა კანონმდებლობამ სრულიად ორიგინალური ადგილი დაიმკვიდროს მმართველობის ფორმების დღემდე არსებულ ტიპოლოგიაში.

# ყაზახები საქართველოში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აშენებას აპირებენ

პირველი გვერდიდან

შეგახსენებთ, რომ ბანკი "ტურან ალემი" საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესშიც მონაწილეობს. 2006 წლის 15 მარტიდან დაიწყება სასტუმრო "ივერიის" რესტავრაცია. ასევე მიღწეულია შეთანხმება აჭარის ტერიტორიაზე 19 სასტუმროს რეკონსტრუქციაზე. საქართველოში უძრავი ქონების სექტორში "ტურან ალემმა" 150 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა. აჭარაში ინვესტიციების რაოდენობა 200 მილიონ დოლარს შეადგენს.

საინტერესოა, რომ ყაზახეთში, ნურსულთან ნაზარბაევის ინაუგურაციის ცერემონიალში მონაწილეობის ფორმატით გათვალისწინებულ შეხვედრაზე აზერბაიჯანისა და ყაზახეთის პრემიერ-მინისტრებმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან ყაზახეთის მიერთების საკითხი განიხილეს. ყაზახეთის პრემიერმა დანიალ ახმეტოვამ თავის აზერბაიჯანელ კოლეგას არტურ რასიზადეს განუცხადა, რომ ყველა ტექნიკური საკითხი, პრაქტიკულად, მოგვარებულია და ახლო მომავალში ყაზახური მხარე ამ ხელშეკრულებას ხელს მოაწერს. გარდა ამისა, აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრმა ყაზახეთს ყაზახური გაზის ევროპაში ტრანზიტისთვის აზერბაიჯანის ტერიტორია შესთავაზა. აზერბაიჯანულმა მხარემ შეიმუშავა ახალი პროექტი, რომელიც კასპიის ზღვაზე წყალქვეშა გაზსადენის გაყვანას ითვალისწინებს. აღნიშნული პროექტით ყაზახეთის პრემიერ-მინისტრიც დაინტერესდა.

*მედიანიუსი*

# რისთვის ატარებენ სამინისტროები კონკურსებს?

*გახსოვთ, ალბათ, ორი თვის წინ, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავის მინისტრთა კაბინეტს ხალხთან კომუნიკაცია დაუწუნა და ამ მხრივ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ვლადიმერ ჭიპაშვილი გამოყო. სააკაშვილის თქმით, ჯანდაცვის მინისტრი სატელეფონო ზარებს არასდროს პასუხობდა.*

თამარ დვალი

პრეზიდენტის შენიშვნის შემდეგ, ხალხთან ურთიერთობის გაღრმავების ნაცვლად, ჯანდაცვის მინისტრმა მოქალაქეთა მისაღები საერთოდ გააუქმა. როგორც უკვე ყოფილი თანამშრომლები აცხადებენ, მოქალაქეთა მისაღებს მთელი წლის განმავლობაში ათასობით ადამიანი აკითხავდა... რაც შეეხება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, რომელიც ასევე ხალხთან ურთიერთობის ერთ-ერთი საშუალება იყო, ამ განყოფილებიდან თანამშრომლები რამდენიმე დღის წინ, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დაითხოვეს. აღსანიშნავია, რომ გათავისუფლებულ თანამშრომლებს ჩაბარებული ჰქონდათ გამოცდები, რომელიც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გასული წლის მარტში დაიწყო და ხუთი თვის განმავლობაში გაგრძელდა.

ინგა ჯაბანაშვილი ჯანდაცვის სამინისტროში სამუშაოდ გამოცდების წარმატებულად ჩაბარების შემდეგ მოხვდა. იგი გასული წლის ზაფხულში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მთავარ სპეციალისტად დაინიშნა. **"მაშინ, როდესაც გამოცდები ჩავაბარე, რეორგანიზაციაზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა. 4 იანვარს სამსახურში ჩვეულებრივად გამოვცხადდი და მოულოდნელად შევიტყვე, რომ დებულება 31 დეკემბერს დაუმტკიცებიათ. ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, სამსახურიდან გამიშვეს. ჯანდაცვის სამინისტროში მხოლოდ ორი ადამიანი - ნინო მოროშკინა და ვახტანგ მეგრელიშვილი წყვეტს ყველაფერს,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ინგა ჯაბანაშვილმა. მისივე განმარტებით, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში ექვსი შტატიანი თანამშრომელი მუშაობდა, რომელთაგან გამოცდები ყველას ჰქონდა ჩაბარებული. **"მას შემდეგ, რაც შტატიანი თანამშრომლები გაგვათავისუფლეს, ჩვენს ნაცვლად ის ადამიანები მოიყვანეს, რომლებიც გამოცდებზე ჩაიჭრნენ. გამოდის, რომ მრავალეტაპიანი გამოცდები ხუთთვიანი მუშაობის გამო ჩაგვაბარებინეს,"** - აღნიშნა ჯაბანაშვილმა.

როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ ნინო მოროშკინამ "24 საათთან" საუბრისას აღნიშნა, მათ უარი თქვეს სამსახურებზე და არა მათ ფუნქციებზე. **"ჩვენ არ გაგვიუქმებია მოქალაქეთა მისაღები, უბრალოდ, სამმართველო გავაუქმეთ. იგივე ფუნქციებს ამიერიდან კანცელარია შეითავსებს. კანცელარიას ასევე დაევალება მოქალაქეთა მარტივ წერილებზე პასუხის გაცემაც. რაც შეეხება პრესცენტრს, ამ შემთხვევაშიც მხოლოდ სამსახური გაუქმდა და არა ფუნქციები. ამ საქმეს მინისტრის მრჩეველი ნინო ქოჩორაშვილი შეითავსებს,"** - განაცხადა ნინო მოროშკინამ.

ჩვენს კითხვაზე, რამდენად შეძლებს ერთი ადამიანი პრესასთან ურთიერთობას, მაშინ, როდესაც რამდენიმე დღის განმავლობაში ჩვენმა რედაქციამ ნინო ქოჩორაშვილთან დაკავშირება ვერაფრით მოახერხა, მოროშკინამ ასეთი პასუხი გაგვცა: **"გეთანხმებით, მარტო ერთ ადამიანს მედიასთან ურთიერთობა გაუჭირდება, თუმცა ვაპირებთ, ადმინისტრაციული დეპარტამენტიდან ვინმეს დავავალოთ ქოჩორაშვილისთვის საქმის შემსუბუქება."**

მოროშკინა არც იმ ვერსიას უარყოფს, რომლის მიხედვითაც, შესაძლოა, ჯანდაცვის სამინისტრომ ტენდერი გამოაცხადოს და საქმის შესრულება გამარჯვებულ PR-კომპანიას დაავალოს.

როგორც გაირკვა, ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსი ტყუილად გამოუცხადებია. მართალია, მათ გამოცდის შედეგად კვალიფიციური კადრები შეარჩიეს, თუმცა 2006 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ აღმოჩნდა, რომ სამინისტროს საშტატო განრიგი მხოლოდ 205 ერთეულით განისაზღვრა. **"მართალია, თანამშრომლები კონკურსის შედეგად შევარჩიეთ, თუმცა გაირკვა, რომ ამდენი საშტატო ერთეულის დაფინანსებას ვერ შევძლებდით. 2006 წლის ბიუჯეტის თანახმად, მხოლოდ 205 საშტატო ერთეული დაგვიმტკიცდა,"** - განაცხადა მოროშკინამ.

*მოკლედ*

### აშშ-ს საელჩო არუთინიანისთვის გამოტანილი განაჩენით კმაყოფილია

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში სასამართლოს მიერ ვლადიმერ არუთინიანის მიმართ გამოტანილი განაჩენით კმაყოფილია.

აშშ-ს საელჩო მიესალმება იმ ფაქტს, რომ სასამართლომ 2005 წლის 10 მაისს პრეზიდენტ ბუშის გამოსვლის დროს ხელყუმბარის სროლის ფაქტზე ვლადიმერ არუთინიანი დამნაშავედ ცნო.

**"პროცესი სამართლიანად და მიუკერძოებლად ჩატარდა. ამერიკის შეერთებული შტატები მადლიერების გრძნობით აღნიშნავს, რომ დაცული იყო კანონის უზენაესობა და კმაყოფილებას გამოთქვამს გამოტანილი განაჩენის გამო,"** - ნათქვამია საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

როგორც საელჩოში აცხადებენ, ეს კონკრეტული საქმე სამართალდამცავი ორგანოების საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითია.

**"ძალზე შთამბეჭდავია ამერიკელ და ქართველ გამომძიებლებსა და პროკურორებს შორის ინფორმაციის გაცვლის ხარისხი და გამოვლენილი პროფესიონალიზმი. აშშ მადლობას უხდის ქართველ კოლეგებს მათ მიერ გამოჩენილი სიმამაცისა და თავდადებისთვის და კიდევ ერთხელ პატივს მიაგებს კაპიტან ზურაბ ქვლივიძის ხსოვნას, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე სამართლის აღსრულებას შესწირა,"** - ნათქვამია განცხადებაში.

*ინტერპრესნიუსი*

### ნარკომანიით დაავადებული პრობაციონერები ჩანაცვლების მეთოდით იმკურნალებენ

იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტისა და ნარკოლოგიური ინსტიტუტის წარმომადგენლთა შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, ინსტიტუტის ბაზაზე ნარკომანიით დაავადებული პრობაციონერები იმკურნალებენ.

ამ შეთანხმების დეტალებზე პრობაციის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ალეკო არაყიშვილმა და ნარკოლოგიური ინსტიტუტის ხელმძღვანელმა გელა ლეჟავამ ისაუბრეს. პირველ ეტაპზე პრეპარატ მეტადონის ჩანაცვლებითი მეთოდით, ნებაყოფლობით იმკურნალებს ნარკოტიკებზე დამოკიდებული სამი პრობაციონერი, მათ შორის - პირობით ადრე გათავისუფლებული ქალბატონი.

პრობაციონერთა თქმით, მკურნალობის პროგრამაში მონაწილეობის შეთავაზებით მათ ნორმალური ცხოვრების შანსი მიეცათ.

იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის თბილისის ბიუროში აღრიცხვაზე ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებისათვის პირობით მსჯავრდებული 72 პირი იმყოფება. მიმდინარეობს მოლაპარაკება მკურნალობის პროგრამაში სხვა პრობაციონერთა ჩართვის თაობაზე.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### ზაირა ეხვაია 5 ათასი დოლარის სანაცვლოდ გაათავისუფლეს

გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ზაირა ეხვაია, რომელიც გამტაცებლებმა, ფულის გამოძალვის მიზნით, 9 იანვარს გაიტაცეს, გათავისუფლებულია.

წინასწარი ინფორმაციით, მისმა ახლობლებმა გამოსასყიდი თანხის სახით 5 ათასი დოლარი გადაიხადეს, რის შემდეგაც ზაირა ეხვაია ოჯახს დაუბრუნდა.

სოფელ ნაბაკევის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გატაცების მიზეზად დასახელებულია გერმანიიდან ჩამოყვანილი მანქანის გაყიდვის შემდეგ მის ოჯახში სავარაუდოდ შენახული თანხა.

თავდაპირველად გამტაცებლები გამოსასყიდ თანხას - 50 ათასი დოლარს ითხოვდნენ, თუმცა მოლაპარაკებების შედეგად ბოროტმოქმედები 5 ათას დოლარს დასჯერდნენ.

როგორც ცნობილია, 65 წლის ზაირა ეხვაია რამდენიმე შეიარაღებულმა კრიმინალმა დროგით გაიტაცა და აფხაზების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადაიყვანა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### 10-დღიანი პატიმრობა მოსამართლის მძევლად აყვანისთვის

გუშინ ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ადმინისტრაციული სასჯელი შეუფარდა იმ პირებს, რომლებსაც ამავე სასამართლოს მოსამართლის ნუგზარ სარიას მძევლად აყვანა და მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება ბრალდებათ.

ინციდენტი სასამართლოში გუშინწინ, მას შემდეგ მოხდა, რაც მოსამართლემ ზუგდიდის N4 საპყრობილის თანამშრომლის ვალტერ ფიფიას მკვლელობასთან დაკავშირებული პროცესის გადადების გადაწყვეტილება მიიღო. ამან დაზარალებული მხარის უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი შეიჭრნენ მოსამართლის კაბინეტში, მძევლად აიყვანეს იგი და უარს აცხადებდნენ მის გათავისუფლებაზე, ვიდრე არ მოხდებოდა ეჭვმიტანილის ბადრაგირება ზუგდიდის N4 საპყრობილიდან.

სასამართლომ გუშინ 10-დღიანი პატიმრობა შეუფარდა ვალტერ ფიფიას დედას, მეუღლეს და ორ ნათესავს, რომლებიც მოსამართლის მძევლად აყვანასა და ცემაში აქტიურად მონაწილეობდნენ.

როგორც გუშინდელ სასამართლო პროცესზე მოსამართლემ განაცხადა, მსგავსი დანაშაული შეფასების გარეშე არ უნდა დარჩეს. მისივე თქმით, სასამართლომ გაითვალისწინა ვალტერ ფიფიას დედის ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა და მას მინიმალური სასჯელი შეუფარდა.

ზუგდიდის N4 საპყრობილეს თანამშრომელი ვალტერ ფიფია 2005 წლის 7 თებერვალს ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში ყაჩაღური თავდასხმის დროს მოკლეს.

*ინტერპრესნიუსი*

### საბაჟო დეპარტამენტის ორი თანამშრომელი დააკავეს

ფინანსურმა პოლიციამ საბაჟო დეპარტამენტის ორი თანამშრომელი დააკავა - ალეკო ჯორბენაძე და ასლან ლომაძე. მათთან ერთად წინასწარი დაკავების იზოლატორის საკანში შპს "ორბიტას" გენერალური დირექტორი ზურაბ ფუტკარაძეც იმყოფება.

ფინანსური პოლიციის პრესსამსახურის განცხადებით, მებაჟეებს სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, შპს "ორბიტას" გენერალურ დირექტორს კი ქვეყანაში კონტრაბანდის შემოტანა ბრალდება.

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის ლევან ჩხაიძის განმარტებით, მებაჟეებმა 2004 წელს ფირმა "ორბიტას" მიერ შემოტანილ რძის ფხვნილზე ფასი ხელოვნულად შეამცირეს და დოკუმენტაციის გაყალბების შედეგად ბიუჯეტი 100 ათასი ლარით აზარალეს.

*მედიანიუსი*

### დაკავება პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით

სამართალდამცველებმა, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით, თბილისში, იოსებიძის ქუჩაზე 28 წლის ზაზა პაპასკირი დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ოპერაცია კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა ჩაატარეს. პაპასკირი, რომელიც საკუთარი ავტომანქანით გადაადგილდებოდა, პოლიციის თანამშრომლებს არ დაემორჩილა და მიმალვას შეეცადა, რის შედეგადაც მან იოსებიძის ქუჩაზე ავტოსატრანსპორტო შემთხვევა მოახდინა. ზაზა პაპასკირს პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა "მაკაროვის" სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი 1 მჭიდით და 8 საბრძოლო ვაზნით. აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება

*ინტერპრესნიუსი*


PSP ფარმაცევტული კომპანია „პე-ეს-პე"
იღებს განაცხადს [illegible] ქსელში ფარმაცევტის ვაკანსიაზე

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

განათლება:
- უმაღლესი ფარმაცევტული განათლება;

გამოცდილება:
- ფარმაცევტულ სფეროში (აფთიაქში) მუშაობის გამოცდილება;
- კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება (აუცილებელია).

აუცილებელია:
- ქართული ენის სრულყოფილად ცოდნა;
- რუსული ენის თავისუფლად ფლობა.

დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ შეავსოთ განაცხადი ჩვენს ოფისში შემდეგ მისამართზე: აღმაშენებლის გამზ. 148/III
(თან უნდა იქონიოთ ერთი ფოტოსურათი და განათლების დამადასტურებელი დიპლომისა და სერთიფიკატის ასლები)
ან გამოაგზავნოთ თქვენი მონაცემები ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: vacancy@psp.ge


# პატიმრებმა შიმშილობა შეწყვიტეს

*პირველი გვერდიდან*

რა შედეგები მოჰყვება შიმშილობის შეწყვეტას, წინასწარ ძნელი სავარაუდოა; ერთი კი ცხადია, გუშინ ღამით თბილისის მე-5 საპყრობილეში 43 წლის პატიმრის ვიტალი კუხაევის გარდაცვალება არასამთავრობო ორგანიზაციებმა სწორედ შიმშილობით ახსნეს. კუხაევი დედაქალაქში გასული წლის 17 დეკემბერს ბათუმის ციხიდან ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩასატარებლად გადაიყვანეს, თუმცა, როგორც მისი ადვოკატები აცხადებენ, მას სათანადო გამოკვლევა არ ჩატარებია.

როგორც აფციაური განმარტავს, ვიტალი კუხაევი სხვა პატიმრებთან ერთად შიმშილობდა, რამაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გააუარესა და იგი შიმშილის შედეგად დაუძლურდა. შიმშილობის გამო პატიმრის გარდაცვალების ფაქტს უარყოფს როგორც სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელობა, ასევე, სახალხო დამცველი სოზარ სუბარი. ომბუდსმენის ინფორმაციით, გარდაცვლილს ეპილეფსია ჰქონდა. საბოლოოდ კი მისი გარდაცვალების მიზეზი ინფარქტი გახდა.

არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს პატიმართა თანამეგობრობის" ხელმძღვანელმა ლალი აფციაურმა პატიმრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართა და მომხდარზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებასა და პარლამენტარებთან ერთად სახალხო დამცველის სოზარ სუბარსაც დააკისრა, რომელიც, მისი აზრით, გულგრილად მოეკიდა პატიმართა საპროტესტო აქციებს.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს პატიმართა თანამეგობრობის" წარმომადგენლებმა სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში დამონტაჟებულ ვიდეოკამერებზეც ისაუბრეს, რაც, მათი ინფორმაციით, უკანონობაა. **"თბილისის N7 საპყრობილეში ადვოკატებისა და პატიმრების შეხვედრის ოთახში ვიდეოკამერაა დაყენებული. ციხის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთა არგუმენტებით, ვიდეოკამერა დაყენებულია იმისთვის, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ადვოკატების მიერ არ მოხდეს აკრძალული ნივთების შეტანა. ამგვარი ფაქტების აღსაკვეთად ადვოკატები სპეციალურ საფუძვლიან შემოწმებას გადიან. ამიტომ, დამცველებისგან ციხეში აკრძალული ნივთების შეტანა აბსოლუტურად გამორიცხულია. ვიდეოკამერებით სამართალდამცველებს პირადი საუბრების მოსმენა სურთ, რაც კანონის ნორმების უხეში დარღვევაა,"** - განაცხადა ლალი აფციაურმა და პატიმართა და ადვოკატთა შეხვედრის ოთახში ვიდეოკამერის მოხსნა მოითხოვა.

*24 საათი*

# კაცი, რომელმაც რომის პაპს ესროლა, თავისუფალია

მეჰმეთ ალი აგჯა, რომელიც 1981 წელს თავს დაესხა რომის პაპს იოანე პავლე მეორეს, გუშინ თურქეთის ციხიდან გაათავისუფლეს.

24-წლიანი პატიმრობის შემდეგ მეჰმეთ ალი აგჯა თავისუფალია. როგორც "ფრანს პრესის" სააგენტო იუწყება, გუშინ დილით იგი 12-მა შეიარაღებულმა მცველმა ციხის კარამდე მიაცილა, საიდანაც პირდაპირ ჯარში გამწვევ პუნქტში გაემგზავრა. იქ არმიაში მისი გაწვევის საკითხი უნდა გადაწყდეს. საქმე ის გახლავთ, რომ მას სამხედრო სამსახური არ გაუვლია და ახლა სამედიცინო კომისიამ უნდა გადაწყვიტოს, ვარგისია თუ არა 48 წლის აგჯა კონსტიტუციური ვალის მოსახდელად.

საერთოდ კი, როგორც აგჯას ადვოკატი იტყობინება, მისი კლიენტი გათავისუფლების შემდეგ აპირებს იმუშაოს "დემოკრატიისთვის".

**"ის ამბობს, რომ სურს მთელ ქვეყანას მეგობრობისა და მშვიდობის ხელი გაუწოდოს და დემოკრატიისა და კულტურის გავრცელებისთვის იბრძოლოს,"** - ამბობს ადვოკატი მუსტაფა დემირბაგი.



როგორც ცნობილია, მეჰმეთ ალი აგჯამ, ულტრამემარჯვენეთა შეიარაღებული დაჯგუფების წევრმა, იოანე პავლე მეორეს რომში, წმინდა პეტრეს მოედანზე, გადახდილ ავტომანქანაში მჯდომს რამდენჯერმე ესროლა. მართალია, პაპი მძიმედ დაიჭრა, მაგრამ გადარჩა, თავდამსხმელი კი მაშინვე დააპატიმრეს. იოანე პავლე მეორეს გულისხმიერებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მან აგჯა ციხეში მოინახულა, კარგა ხანს ესაუბრა კიდეც და ჩადენილი აპატია.

პაპზე თავდასხმის მოტივები კი დღემდე უცნობი რჩება. თუმცა, დასავლურ პრესაში არაერთხელ გამოითქვა მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ ამ თავდასხმასთან კავშირი ჰქონდათ საბჭოთა სუკ-ს, ასევე - გდრ-ისა და ბულგარეთის სპეცსამსახურებს.

თავად აგჯა ყოველთვის ირწმუნებოდა, რომ მარტო მოქმედებდა და პაპზე თავდასხმისას თანამონაწილეები არ ჰყოლია, მაგრამ ოთხშაბათს, მის გათავისუფლებამდე ერთი დღით ადრე იტალიელმა მოსამართლემ ფერდინანდო იმპოსიმატომ, რომელიც პაპზე თავდასხმის საქმეს იძიებდა, განაცხადა, რომ აგჯას სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე ემუქრება, რადგანაც მან ძალზე ბევრი საიდუმლო იცის. იმპოსიმატო დარწმუნებულია ამ თავდასხმასთან ყოფილი საბჭოთა ბლოკის კავშირში და მიიჩნევს, რომ აგჯა, მისივე ინტერესებიდან გამომდინარე, უმჯობესია, ციხეში იჯდეს.

როგორც ცნობილია, 2000 წელს მეჰმეთ ალი აგჯა იტალიის პრეზიდენტმა შეიწყალა და თურქეთს გადასცა, სადაც მას ადრე ჩადენილი დანაშაულისთვის 7,5 წლით პატიმრობა მიუსაჯეს - კერძოდ, აგჯას ქვეყანაში ცნობილი ჟურნალისტის აბდი იპეჩკის მკვლელობასა და ორი ბანკის შეიარაღებულ ძარცვაში ედებოდა ბრალი.

2006 წლის იანვარში "სანიმუშო ქცევისთვის და სასჯელის ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით" თურქეთის სასამართლომ აგჯა პატიმრობიდან გაათავისუფლა.

*24 საათი*

*სასამართლო დარბაზიდან*

# შალვა რამიშვილი სასამართლო პროცესზე დღეს კარცერიდან მივა

ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებლების შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის საქმის სასამართლო განხილვა იწყება. დღეს თბილისის საქალაქო სასამართლოში განმწესრიგებელი სხდომა გაიმართება.

დაკავებულის ადვოკატის გოჩა სვანიძის განცხადებით, განმწესრიგებელი სხდომა დღეს, შუადღის პირველ საათზე გაიმართება და მას განსასჯელებიც დაესწრებიან. საქმეს მოსამართლე ნინო სანდოძე განიხილავს.

ადვოკატები რამიშვილისა და კოხრეიძის მიმართ შეფარდებული აღმკვეთი ღონისძიების გაუქმებისა და მტკიცებულებების გამოთხოვის შუამდგომლობებს დააყენებენ.

როგორც გოჩა სვანიძე აცხადებს, ვინაიდან რამიშვილსა და კოხრეიძეს წინასწარი პატიმრობის სამთვიანი ვადა 27 სექტემბერს ამოეწურათ და სასამართლოს მათთვის ვადის გაგრძელების საკითხზე არ უმსჯელია, ისინი უკანონო პატიმრებად ითვლებიან.

ადვოკატთა ბრალდებებს უარყოფენ თბილისის საქალაქო სასამართლოსა და გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები. სასამართლოს ინფორმაციით, პროკურატურამ საქმე საპროცესო ვადების დაცვით გადასცა, მოსამართლეს კი საქმის განხილვისთვის ერთწლიანი ვადა აქვს.

შალვა რამიშვილი გუშინწინ, გვიან ღამით თბილისის N1 საპყრობილის კარცერში გადაიყვანეს. რამიშვილის კარცერში გადაყვანას ადასტურებს მისი ადვოკატიც, თუმცა მიზეზს ვერ ასახელებს. დავით კოხრეიძის ძმის გოგა კოხრეიძის ინფორმაციით კი, სახალხო დამცველის ყოფილმა მოადგილემ, ამჟამად სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა შალვა რამიშვილის საკანი სპეცრაზმთან ერთად გაჩხრიკა. საკანში მათ მობილური ტელეფონი აღმოაჩინეს, რის გამოც, რამიშვილი კარცერში ჩაიყვანეს.

**"ოპერაცია შალვა რამიშვილის დაშინების მიზნით არის მოფიქრებული.**

**შალვას მობილური ტელეფონი წაართვეს და კარცერში გადაიყვანეს, რათა კარგად აჩვენონ, როგორია ციხის ჯურღმულები,"** - განაცხადა კოხრეიძემ.

სხვათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ მობილური ტელეფონი აკრძალული ნივთია, შალვა რამიშვილის კარცერში გადაყვანის მიზეზად იგი მაინც ვერ გამოდგება. კარცერში პატიმრის გადაყვანა უკიდურესი სადამსჯელო ღონისძიებაა და მას განსაკუთრებულ შემთხვევებში იყენებენ.

*24 საათი*

# თბილისის სააპელაციო სასამართლო მოლაშვილის საქმის განხილვას აგრძელებს

თბილისის სააპელაციო სასამართლო კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის საქმის განხილვას აგრძელებს. მოლაშვილის ადვოკატის სოსო ბარათაშვილის განცხადებით, პროცესზე ბრალდების მხარემ მტკიცებულებების წარმოდგენის, მოწმეთა და დაზარალებულთა დაკითხვის ეტაპი დაასრულა. გამოძიებას კონტროლის პალატის თავმჯდომარის წინააღმდეგ აღძრულ საქმეში 19 დაზარალებული ჰყავდა დასახელებული. მათი უმრავლესობა დაკითხულია. ამჯერად საქმის განხილვა განსასჯელის დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებების წარმოდგენის ეტაპზეა გადასული, რის შემდეგაც მხარეთა შორის კამათი გაიმართება.

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის ადვოკატებმა, არაობიექტურობის საფუძვლით, მოსამართლეთა კოლეგიის აცილების საკითხი დააყენეს. შუამდგომლობა, უსაფუძვლობის გამო, არ დაკმაყოფილდა.

საქმე ისაა, რომ მოსამართლეთა კოლეგიამ დაცვის მხარეს რამდენიმე ორგანიზაციის ("აზოტი", "ქიმბოჭკო", "თბილავიამშენი" და სხვა) წარმოამდგენელთა მოწმეებად გამოძახებაზე უარი განუცხადა. ადვოკატებმა შალვა შავგულიძემ და სოსო ბარათაშვილმა ჩათვალეს, რომ კოლეგია არათანაბარი ობიექტურობით ეკიდება მხარეთა მოთხოვნებს და მათი აცილება მოითხოვეს.

პროცესი, რომელიც გუშინ განახლდა, 16 იანვრისთვის გადაიდო და მას, სავარაუდოდ, განსასჯელიც დაესწრება.

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი 2004 წლის 23 აპრილს დააკავეს. მას ბრალად სახელმწიფოსა და იურიდიული პირებისთვის 3 მილიონი ლარის ოდენობის ზარალის მიყენება ედება. თბილისის საქალაქო სასამართლომ მოლაშვილს 7 სექტემბერს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. დაკავებულის ადვოკატების ინფორმაციით, პირველ ინსტანციაში საქმის განხილვა საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით წარიმართა, რის გამოც, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა გაუქმდეს.

საქართველოს სააპელაციო სასამართლოს პარალელურად, მოლაშვილის საქმეს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოც განიხილავს, რომელიც მისი პატიმრობის კანონიერების საკითხს არკვევს.

*ინტერპრესნიუსი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**..............................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..............................

**საკონტაქტო ტელეფონი** ..............................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპის" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "ნაძალადევი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", ([illegible] მეტროს სადგური "[illegible]");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. [illegible] 45 "[illegible]" შესასვლელი [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: [illegible] თბილისი, წერეთლის გამზ.72 იურიდიული ოფისი "გაპი".

# საახალწლო ანაბარი

წლიური

# 11,75%

დოლარი / ევრო




# + საჩუქრად



- საპროცენტო სარგებლის წინასწარი, ყოველთვიური ან ვადის ბოლოს გატანის შესაძლებლობა;
- საპროცენტო სარგებლის მიღება მიმდინარე ანგარიშიდან ან პლასტიკური ბარათის მეშვეობით;
- მოთხოვნისთანავე შესაძლებელია სესხის აღება ანაბარზე დასარიცხ პროცენტს + 4% წლიური განაკვეთით;
- მოთხოვნისთანავე შესაძლებელია ოვერდრაფტის დაშვება კლიენტის მიმდინარე ან საბარათო ანგარიშზე.

**BR ბანკი რესპუბლიკა** 29 45 99

ცენტრალური ფილიალი
თბილისი, გრ.აბაშიძის ქ. 2
ტელ: (995 32) 294598, 294599; ფაქსი: (995 32) 227566

დელისის ფილიალი
თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი 47ა
ტელ: (995 32) 312161, 312181; ფაქსი: (995 32) 312161

სამტრედიის ფილიალი
სამტრედია, რაზმაძის ქ. 2
ტელ: (8 211) 21353, 21157, 21938, 569855, 560740
ფაქსი: (8 211) 560740

სადგურის ფილიალი
თბილისი, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია
ტელ: (995 32) 911117, 911118, 237043; ფაქსი: (995 32) 911117, 911118

გლდანის ფილიალი
თბილისი, ხიზანიშვილის ქ.20
ტელ: (995 32) 590770, 590880; ფაქსი:(995 32) 590660

ზუგდიდის ფილიალი
ზუგდიდი, ზვ.გამსახურდიას გამზ. 34
ტელ: (8 215) 5 00 08, 5 08 08

ბათუმის ფილიალი
ბათუმი, ქუთაისის ქ. 6
ტელ: (8 222) 32810, 32811; ფაქსი: (8 222) 32812

ინფოთეკა

## ჟოზე მოურინიოს სახე

ლონდონის "ჩელსის" მთავარი მწვრთნელის ჟოზე მოურინიოს სახე ადვილი შესაძლებელია ფართო ეკრანზე აღმოჩნდეს. ინგლისური პრესის ცნობით, "არისტოკრატთა" მთავარი მწვრთნელის შესახებ ახლო მომავალში მხატვრულ ფილმს გადაიღებენ. მთავარი როლის შესრულებას ჰოლივუდის ვარსკვლავს ჯორჯ კლუნის უწინასწარმეტყველებენ.

მოურინიოს იმიჯი, მისი გემოვნება და ცნობილი პალტო არმანისგან თითქმის სამუზეუმო ექსპონატად იქცა. პორტუგალიელი სპეციალისტი ფეხბურთის სამყაროში ლამის ხატად გადააქციეს. სწორედ ამან განაპირობა რეჟისორთა ინტერესი მისი პერსონის მიმართ - წერს კლუბის ოფიციალური საიტი.

გაზეთი "მირორი" იუწყება, რომ მოურინიომ უკვე განაცხადა თანხმობა ამ პროექტის რეალიზაციაზე და გამოთქვა სურვილი, რომ მისი როლი სწორედ კლუნიმ შეასრულოს.

"ვფიქრობ, პროდიუსერებმა სწორედ კლუნი უნდა მიიწვიონ. ის ფანტასტიკური მსახიობია, - განაცხადა მოურინიომ, - ჩემი მეუღლე კლუნის დიდი თაყვანისმცემელია და ძალიან გაუხარდება, თუ ჩემს პერსონას კლუნი განასახიერებს. მას მიაჩნია, რომ კლუნი ამ როლისთვის იდეალურია".

## "რეალი" პრობლემებს განიცდის

მადრიდის "რეალი" საკადრო პრობლემებს განიცდის. ძირითადად ეს შეტევის ხაზს ეხება. "სამეფო კლუბს" სამი ტრავმირებული ფორვარდი ჰყავს - ანტონიო კასანო, რომელმაც ბარძაყი დაიზიანა, რაული, რომელიც მუხლის ტრავმას იშუშებს და რონალდო, რომელსაც ჯვარედინი იოგები აქვს გაწყვეტილი. ამას გარდა, "რეალის" შემადგენლობას კვლავ გამოაკლდა ინგლისელი მცველი ჯონათან ვუდგეიტი. მასაც ჯვარედინი იოგების პრობლემები აწუხებს.

## მათეუსი ბრაზილიაში გადაბარგდა

ლოთარ მათეუსმა ცხრათვიანი კონტრაქტი გააფორმა ბრაზილიის "ატლეტიკო პარანაენსესთან". შეგახსენებთ, რომ 31 დეკემბერს მათეუსს კონტრაქტის ვადა ამოეწურა უნგრეთის ნაკრებთან და ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ უარი განაცხადა კონტრაქტის გაგრძელებაზე. "ატლეტიკოსთან" შეთანხმებას კი მათეუსმა გუშინ მოაწერა ხელი. კონტრაქტი 1 თებერვლიდან შედის ძალაში. ივნისში კი შეთანხმება დროებით შეწყდება, რათა მათეუსს მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატზე კომენტატორობის საშუალება მიეცეს.

მათეუსმა გერმანიის ნაკრებში 150 მატჩი ჩაატარა და ამით ეროვნული რეკორდი მოხსნა. 1990 წელს ის მსოფლიო ჩემპიონი გახდა. გერმანიისთვის წარმატებული 1996 წლის ევროპის ჩემპიონატი კი მათეუსმა ნაკრების იმჟამინდელ მთავარ მწვრთნელთან ბერტი ფოგტსთან და გუნდის კაპიტანთან იურგენ კლინსმანთან კონფლიქტის გამო გამოტოვა. 1990 წელს მათეუსი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს - მან "ოქროს ბურთი" მიიღო. 1991 წელს მათეუსი ფიფას ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

## კიმ კლიისტერსი ნადალის გზით

ბელგიელი კიმ კლიისტერსი ავსტრალიის ღია ჩემპიონატის დაწყებამდე სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. ჩოგბურთელის თქმით, ფეხი, რომელიც მან ვარჯიშისას დაიზიანა, იმდენად აწუხებს, რომ კიბეზე ძლივს დადის. თუმცა, სამედიცინო შემოწმებამდე ბელგიელი ჩოგბურთელი თავს იკავებს საბოლოო განცხადებისგან - ითამაშებს თუ არა ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე.

ფეხბურთი

# "ლივერპულის" მცველი

ჩემპიონთა თასის მფლობელი ინგლისის "ლივერპული" დანიურ "ბრონდბიუს" მოურიგდა და ალბიონზე წაიყვანა ამ გუნდისა და დანიის ნაკრების მცველი დანიელ აგერი. შეთანხმების საერთო თანხა 8,4 მილიონი ევროა.

21 წლის ცენტრალური მცველის აქტივში ეროვნულ ნაკრებში ნათამაშები 4 შეხვედრაა. ოთხშაბათს, როცა კლუბები სატრანსფერო თანხაზე მორიგდნენ, ფეხბურთელმა სამედიცინო შემოწმება გაიარა. აგერი "ივერპულს" ვერ დაეხმარება ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფში, რადგან ის შესარჩევ ეტაპზე "ბრონდბიუს" შემადგენლობაში იყო განაცხადში.

"უკვე დიდი ხანია, რაც ჩვენ დანიელით დავინტერესდით, - ამბობს "ლივერპულის" მთავარი მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი, - დიდი ხნის განმავლობაში ვაკვირდებოდით, მაგრამ მაშინ ტრავმა მიიღო. ჩვენ ყურადღებით დავაკვირდით დანიელის თამაშს ტრავმის შემდეგ პირველივე მატჩში. მან მინდორზე 25 წუთი გაატარა და მივხვდით, რომ ის ჩვენთვის საჭირო დონეზე თამაშობდა. დანიელს უაღრესად ჭკვიან მცველად ვთვლი. მას პოზიციის ძალიან



დანიელ აგერი (მარცხნივ) ამიერიდან "ლივერპულის" ღირსებას დაიცავს.

კარგი გრძნობა აქვს და თამაშსაც შესანიშნავად კითხულობს. რა თქმა უნდა, მან კიდევ უნდა მოუმატოს, მაგრამ ჯერ ახალგაზრდაა და ჩვენ აუცილებლად დავეხმარებით. უახლოეს მომავალში ის პირველი გუნდის სრულუფლებიანი წევრი გახდება".

აგერის დებიუტი "ბრონდბიუში" 2004-2005 წლების სეზონში შედგა, როცა მან 26 მატჩში დაიცვა კლუბის ღირსება, ხოლო "ბრონდბიუმ" ქვეყნის თასი და ჩემპიონატი მოიგო. მიმდინარე სეზონში აგერმა თავისი კლუბის ოთხივე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე. დანიელებმა ორი მატჩის ჯამში დაამარცხეს ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი თბილისის "დინამო" და დამარცხდნენ ამსტერდამის "აიაქსთან". სექტემბრის დასაწყისში აგერმა ვარჯიშზე ტრავმა მიიღო. მან მუხლი იტკინა და სამი თვით გამოეთიშა ფეხბურთს. დაბრუნების შემდეგ, 15 დეკემბერს, აგერმა უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე "პალერმოს" წინააღმდეგ ითამაშა გადამწყვეტ მატჩში, მაგრამ თავის გუნდს ჯგუფიდან გასვლაში მაინც ვერ დაეხმარა.

# ფერგიუსონი გლეიზერთა ოჯახით კმაყოფილია

*გლეიზერთა ოჯახის "მანჩესტერ იუნაიტედში" მოსვლამ რომ მანჩესტერელი გულშემატკივრები განარისხა, ბევრჯერ გვითქვამს, მაგრამ კლუბის მწვრთნელის ალექს ფერგიუსონისგან რომ ბევრი არაფერი გვსმენია? ჰოდა, ირკვევა, რომ "მანიუს" დამრიგებელი გუნდის მეპატრონის ამერიკელი მაგნატის მალკოლმ გლეიზერის პოლიტიკით მოხიბლულა და მისი მისამართით საქებარ სიტყვებსაც არ იშურებს.*

მანჩესტერელთა მწვრთნელი აცხადებს, რომ კმაყოფილია გლეიზერთა ოჯახის კლუბში მოსვლით. უფრო სწორად, გლეიზერთა "მანიუზე" ზეგავლენამ გუნდზე აშკარად დადებითად იმოქმედაო.

მოგეხსენებათ, ამერიკელი მაგნატი მალკოლმ გლეიზერი "მანჩესტერ იუნაიტედს" ივნისიდან აკონტროლებს. ფერგის კი მიაჩნია, რომ ამერიკელის მოსვლამ კლუბს კარგი მეპატრონე შესძინა.

"ახალ მეპატრონეებს კლუბის კარგ მფლობელებად მივიჩნევ, - აცხადებს ფერგიუსონი, - მათ არასდროს დაურღვევიათ საკუთარი პირობა და ყოველთვის გვერდში გვიდგანან. კლუბისთვის პატრის ევრასა და ნემანიუ ვიდიჩის (მცველები არიან) შეძენით მათ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს გუნდისადმი ერთგულება".

საგულისხმოა, რომ შოტლანდიელმა სპეციალისტმა ფართო საზოგადოების წინაშე "მანიუს" მომავლის მშენებლობაში გლეიზერთა როლზე საკუთარი კომენტარი პირველად გააკეთა ივლისში "მანჩესტერ იუნაიტედის" ბაზაზე, მაშინ, როდესაც ფერგიუსონი და გლეიზერი პირველად შეხვდნენ ერთმანეთს.

რაც შეეხება "წითელი ეშმაკუნების" გულშემატკივრებს, მათ არაერთხელ დაუფიქსირებიათ საკუთარი უკმაყოფილება გლეიზერების მიერ მათი სათაყვანებელი კლუბის შეძენის გამო. ბევრმა მათგანმა პროტესტის ნიშნად ახალი კლუბი "ეფ-სი იუნაიტედიც" ჩამოაყალიბა. სხვათა შორის, "ეფ-სი იუნაიტედი" ამჟამად ჩრდილო-დასავლეთ ინგლისის საგრაფოს რეგიონულ ლიგაში ასპარეზობს.

ფრანგი ევრა და სერბი ვიდიჩი მანჩესტერელებმა შესაბამისად "მონაკოსა" და მოსკოვის "სპარტაკისგან" მთლიანობაში 12,5 მილიონ ფუნტ სტერლინგად (22 მილიონი დოლარი) შეიძინეს. დეკემბერში, როდესაც "მანჩესტერ იუნაიტედმა" ჩემპიონთა ლიგის შემდგომ ეტაპზე გასვლა ვერ მოახერხა და უეფას თასზე ასპარეზობის პატივიც არ დარჩა, "იუნაიტედის" გულშემატკივრებს გაუჩნდათ იმის შიში, რომ კლუბის ახალი მეპატრონეები ფერგიუსონს შემადგენლობის გასაძლიერებლად ფულს არ მისცემდნენ.

ამჟამად "მანიუ" 13 ქულით ჩამორჩება პრემიერლიგის ლიდერს ლონდონის "ჩელსის", ხოლო "ბლექბერნთან" ერთად ლიგის თასის ფინალში გასასვლელად იბრძვის (ნახევარფინალის პირველი მატჩი 1:1 დასრულდა).

სათხილამურო სპორტი

# "60 წუთთან" აღიარებული ბახუსი

გიგა გურასაშვილი

*ტორინოს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე აშშ-ის სამთომოთხილამურეთა ნაკრების უმთავრესი იმედი ბოდე მილერი სკანდალში გაეხვა. მილერს, რომელიც უძლიერესი ამერიკელი მოთხილამურის სტატუსით სარგებლობს, ჩინოვნიკებთან აქვს საქმე. CBS-ის ტელეარხის პროგრამა "60 წუთის" ეთერში მილერმა ენას კბილი ვერ დააჭირა და ყურადღების ცენტრშიც აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ "60 წუთთან" სტუმრად მყოფმა აღიარა, შეჯიბრებებზე ნაბახუსევი გავდიოდიო.*

და მაინც, რა თქვა 28 წლის ამერიკელმა მოთხილამურემ? თქვა, რომ წვეულებებზე წასვლას ხანდახან თავისი შედეგი მოაქვს. ერთი სიტყვით, მიანიშნა, რომ სტარტის წინ რამდენჯერმე ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

ნიუჰემფშირელი მოთხილამურე, რომელიც ფაქტობრივად ოთხივე დისციპლინაში ერთნაირი წარმატებით ასპარეზობს და შარშან დაშვებასა და სუპერგიგანტში მსოფლიო ჩემპიონატის "ოქროები" მოიგო, ამბობს, რომ ასეთ მდგომარეობაში ტრასაზე დაშვება შეიძლება სახიფათო იყოს.

"ეს იგივეა, ნასვამ მდგომარეობაში საჭეს მიუჯდე. სხვაობა მხოლოდ ისაა, რომ აქ მოძრაობის წესები არ არსებობს".



რა თქმა უნდა, მილერის აღიარებას უმალ შესაბამისი რეაქცია მოჰყვა. სამთოსათხილამურო სპორტისა და სნოუბორდის ამერიკის ასოციაციის მეთაურმა ბილ მეროლტმა მილერის სიტყვებს "მიუღებელი, საშიში და სპორტსმენისთვის შეუფერებელი" უწოდა: "სპორტსმენის მიერ ალკოჰოლის გამოყენება უპასუხისმგებლობაა და სახიფათო სიგნალია მოთხილამურეებისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის".

ამბავმა სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამდეც (ფის) მიაღწია. რეაგირებას არც მათი მხრიდან დაუგვიანია. ოღონდ ჯერ აშშ-ის ნაკრების ხელმძღვანელობას მიმართეს, გაარკვიეთ, რა ხდება თქვენს სფეროში და მერე ჩვენც საქმის კურსში ჩაგვაყენეთო. ამერიკელებსაც ბევრი აღარ უფიქრიათ და გადაწყვიტეს, შექმნილი ვითარების შესასწავლად ფედერაციის ხელმძღვანელი ბილ მეროლტი მივლინებით გაეშვათ ევროპაში, სადაც მსოფლიო თასის ეტაპებია გახურებული.

ბოდეს რამდენიმე დღეში შევხვდები და საკითხთან დაკავშირებით პირადად გავესაუბრები. იმედია, ჩვენი საუბარი დადებით შედეგს გამოიღებს. დარწმუნებული ვარ, ხვდება იმას, რაც თქვა", - ევროპაში გამგზავრების წინ განაცხადა მეროლტმა.

რაც შეეხება თავად მილერს, მისი განმარტებით, ინტერვიუში სიტყვები კონტექსტიდან ჰქონდათ ამოღებული. კერძოდ, ამერიკელმა მოთხილამურემ ხაზი გაუსვა იმას, რომ ნაბახუსევზე ერთადერთხელ დაეშვა ტრასაზე - მსოფლიო თასის აბსოლუტურ ჩათვლაში გამარჯვებიდან მომდევნო დღეს.

სხვათა შორის, შარშან მოგებული მსოფლიო თასით ბოდე მილერი გახდა მეორე ამერიკელი მოთხილამურე, რომელმაც ასეთ წარმატებას მიაღწია. პირველი მსგავსი წარმატება კი ფილ მარეს სახელს უკავშირდება, რომელმაც შესაბამისი ჯილდო 1982 წელს მოიპოვა.

მილერი გამოუცნობი ადამიანის იმიჯითაც სარგებლობს. მისთვის არც სპორტის ჩინოვნიკებთან კონფლიქტებია უცხო. ერთხელ იმაშიც შეეპარა ეჭვი, რამდენად მიზანშეწონილია იმ სამედიცინო პრეპარატების აკრძალვა, რომლებიც პირდაპირ კავშირშია სპორტული შედეგების გაუმჯობესებასთანო. ეგ კი არა, საკუთარ ავტობიოგრაფიულ წიგნში სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანი იმასაც აღიარებს, რომ ოდესღაც ნარკოტიკებს ეძალებოდა.

ინფოთეკა

## ლიმაც ყატარშია

მოსკოვის "ლოკომოტივის" ბრაზილიელი ნახევარმცველი ფრანსისკუ ლიმა უახლოეს ექვს თვეს ყატარში გაატარებს. ანუ იმ დრომდე, ვიდრე ფეხბურთელს რუსებთან კონტრაქტის ვადა არ ამოეწურება. ლიმა იქაური "ლოკომოტივის" ღირსებას დაიცავს, რომელიც ამჟამად ქვეყნის ჩემპიონატს ლიდერობს.

## "შეფილდმა" საფეხბურთო კლუბი შეიძინა

ინგლისის "შეფილდ იუნაიტედი" პირველი უცხოური კლუბია, რომელმაც ჩინეთის საფეხბურთო გუნდი შეიძინა, - აცხადებს სააგენტო "სინხუა". "შეფილდ იუნაიტედმა" შეისყიდა ჩინეთის მეორე დივიზიონის კლუბ "ჩენდუ ფაივ ბულის" აქციათა პაკეტის 90 პროცენტი. ინგლისის მეორე დივიზიონის ბინადარმა "შეფილდ იუნაიტედმა" ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთ პროვინცია სიჩუანის ბინადარი კლუბის შეძენის სურვილი დეკემბერში გაამჟღავნა. აღსანიშნავია, რომ ჩინეთის ამ პროვინციაში 100 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. ადრე "ჩენდუ ფაივ ბული" სახელმწიფო კომპანიას ეკუთვნოდა, მაგრამ ხელისუფლებამ გადაწყვიტა სახელმწიფო აქტივები საფეხბურთო სექტორიდან გამოეტანა. "შეფილდი" აპირებს ჩინური კლუბის დუბლშემადგენლობაში ორი მწვრთნელი მიავლინოს.

## შარაპოვა მაინც ითამაშებს

მარია შარაპოვა მარჯვენა იდაყვის ტკივილის მიუხედავად მაინც აპირებს ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე თამაშს. თავად ჩოგბურთელის თქმით, ასეთ მდგომარეობაში ის საკუთარ თავში 100 პროცენტით არ არის დარწმუნებული. აღსანიშნავია, რომ ექიმებთან კონსულტაციის შემდეგ დადგინდა - გასულ სეზონში შარაპოვას ტრავმის მიზეზი ამოვარდნილი ბარძაყი იყო და არა მკერდის კუნთები, როგორც ადრე ვარაუდობდნენ.

## ბიორნდალენი რუპოლდინგში არ ასპარეზობს

ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი და 2005 წლის მსოფლიო თასის მფლობელი ნორვეგიელი ბიატლონისტი ოლე-ეინარ ბიორნდალენი გამოტოვებს მსოფლიო თასის ეტაპს, რომელიც 15 იანვრამდე გერმანიის ქალაქ რუპოლდინგში იმართება. ამჟამად ნორვეგიელი საბოლოოდ იშუშებს სურდოს, რომელიც დეკემბრის ბოლოს შეეყარა და ინდივიდუალური პროგრამით იტალიაში ემზადება. ბიორნდალენი ვარაუდობს სტარტზე იტალიის ანტერსელვეში გამოვიდეს 19-დან 22 იანვრამდე. შეგახსენებთ, რომ ბიორნდალენი მსოფლიო თასის ეტაპებზე 11 დეკემბრიდან აღარ გამოდის და ამჟამად საერთო ჩათვლაში მე-7 ადგილზე იმყოფება.

## კვანი ოლიმპიადაზე ოცნებობს

ამას წინათ მიშელ კვანმა თხოვნით მიმართა აშშ-ის ფიგურული სრიალის ფედერაციას, რათა ის ტურინის ოლიმპიური თამაშებისთვის აშშ-ის ნაკრების შემადგენლობაში ჩაერიცხათ. ამ ნაბიჯის გადადგმა კვანს ფეხის ტრავმამ აიძულა, რის გამოც მან ვერ შეძლო ოლიმპიადის შესარჩევ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება. შეგახსენებთ, რომ შაბათს აშშ-ის ჩემპიონატზე უნდა გამოვლენილიყო იმ სპორტსმენთა ვინაობა, ვინც ტურინის ოლიმპიურ თამაშებში მიიღებდა მონაწილეობას. ეს პატივი ერგებოდათ გამარჯვებულს და ტურნირის კიდევ ორ მონაწილეს. კვანი იმედოვნებს, რომ ერთ-ერთ ადგილს სწორედ ის მიიღებს და ეს იმედი სულაც არ არის უშანსოდ. მით უფრო, თუ კვანის დამსახურებას გავითვალისწინებთ. მიშელი ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი და სამგზის ოლიმპიური თამაშების პრიზიორია.


## განცხადების დაზუსტება

შადრევნების აღდგენისა და ექსპლუატაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე ტენდერის ჩატარების შესახებ ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისიის მიერ 2006 წლის 12 იანვრის გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ განცხადებაში 6.1. მუხლის "ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია". ხოლო 6.3. მუხლის "ა" ქვეპუნქტი" შემდეგი რედაქციით: "ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება".

*მთაწმინდა-კრწანისის რაიონული გამგეობის სატენდერო კომისია*

## განცხადების დაზუსტება

მწვანე ნარგაობათა მოვლის სახელმწიფო შესყიდვაზე ტენდერის ჩატარების შესახებ ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისიის მიერ 2006 წლის 12 იანვრის გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ განცხადებაში 6.1. მუხლის "ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია". ხოლო 6.3. მუხლის "ა" ქვეპუნქტი" შემდეგი რედაქციით: "ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება".

*მთაწმინდა-კრწანისის რაიონული გამგეობის სატენდერო კომისია*



# ლაშა და ქათმის გრიპი

**ლაშა ბუღაძე**: "დიალოგების" დღევანდელი თემაა ქათმის გრიპი. ჩვენი სტუმარია დაავადებათა კონტროლის ეროვნული სამსახურის უფროსი პაატა იმნაძე. ბუნებრივია, რომ გაჩნდა შიში. ქათმის ხორცს ხალხი აღარ ჭამს, ე.ი. სრული განგაშია.

**პაატა იმნაძე**: მესმის მოსახლეობის, მაგრამ ჩვენთან ქათმის გრიპი არ არის და ეს პანიკა უსაფუძვლო გამოდის. ამიტომ წინასწარ რატომ უნდა ვთქვათ სიამოვნებაზე უარი?! ამას გარდა, დაავადების 156 შემთხვევიდან არც ერთს ქათმის ხორცის ჭამით არ მიუღია ეს ვირუსი. მომზადებული საკვები აღარ არის საშიში, რადგანაც 70 გრადუსზე ვირუსი კვდება. ჩქმერულად გაკეთებული ქათმის ხორციც კი აღარ არის საშიში, არამც თუ სხვა კერძები. დამუშავების დროს სიფრთხილეა საჭირო, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ეს ვირუსი საქართველოში საბედნიეროდ ჯერ არ შემოსულა.

**ლაშა ბუღაძე**: ასე რომ ქათმის ყიდვა შეიძლება, თუმცა ეს მაინც ადამიანის პირადი გადასაწყვეტია, მიირთმევს თუ არა ამ პროდუქტს. აღნიშნავენ, რომ ნაკლებად სავარაუდოა საქართველოში ამ გრიპის ტოტალური გავრცელება.

**პაატა იმნაძე**: ფრინველებში რა მოხდება, ამის თქმა ძალიან ძნელია, სამწუხაროდ გადამფრენ ფრინველებს ვერავინ აუკრძალავს ფრენას. მაგრამ ქალაქში ეჭვობენ, რომ მოსახლეობას ვუმალავთ ჭეშმარიტებას. ამის დამალვა არ არსებობს. ვინ უნდა დამალოს, როცა ჩვენი ვეტერინარები თითო-თითო ქათამზე დარბიან საქართველოს ყველა კუთხეში. წარმოუდგენელი ამბავია, რომ ათასი ქათამი დაავადდეს ერთ სოფელში და ეს დაიმალოს, ამას გარდა ისიც წარმოუდგენელია, რომ დამალვის სურვილი ვინმეს, რაღაც მიზნით გაუჩნდეს. სოფლის მეურნეობის სამსახურები, პირიქით, დაინტერესებულნი არიან, რომ თუ სადმე რაიმე ეჭვი გაჩნდება, უმალ გახდეს ეს ამბავი გახმაურებული.

**მსმენელი**: ეზოში რომ დაფრინავენ ბეღურები და მტრედები, რამდენად საშიშია მათთან სიახლოვე?

**პაატა იმნაძე**: პრინციპში ეს მათი ვირუსი არ არის. ბეღურები ნაკლებად საშიშია. მტრედებს იდეაში შეიძლება დაემართოთ, მაგრამ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში რისკი ამ ფრინველებისა არ ყოფილა. აქაც დიდი კონტაქტი ამ ფრინველებთან განსაკუთრებით სასურველი არ არის. ისე, ამის რისკი გარეუბნებსა და სოფლებში მეტია. მაგალითად იქ, სადაც ისვენებენ გარეული ფრინველები და შესაძლოა, კონტაქტში შევიდნენ შინაურ ფრინველებთან.

**მსმენელი**: სრულიად ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები მოდის. ყველას კარგად გვახსოვს, ის ინფორმაცია, რომელიც ჯანმრთელობის მინისტრმა გაგვიმხილა. დაახლოებით ასე ჟღერდა, რომ ყოველი მესამე მოკვდება და ა.შ. ხალხში პანიკა ნამდვილად არის. ამბობენ, რომ მედიკამენტი, რომელიც ქათმის გრიპს კურნავს, ტამი-ფლუ საქართველოში შემოსული არ არის, არადა ვიცი ადამიანები, ვისაც მათი მარაგი აქვთ უკვე, რას უნდა ნიშნავდეს ეს ფაქტი. იქნებ და ამ წამალთან დაკავშირებით გვესაუბროთ?

**პაატა იმნაძე**: უნდა აღინიშნოს, რომ ის რაც მინისტრმა განაცხადა, არ არის მის მიერ მოგონილი პროგნოზი, ეს არის ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის პროგნოზი. თუ ადამიანებში დაიწყო პანდემია, მაშინ მართალია, რომ შესაძლოა, სიკვდილიანობის შემთხვევამ მაღალ პროცენტებს მიაღწიოს. ამას ამბობენ მსოფლიო დონის ექსპერტები, სამწუხაროდ. ტამი-ფლუ ანტივირუსული პრეპარატია, რომელიც ვირუსის გავრცელებას აჩერებს. აქედან გამომდინარე, მას აქვს ეფექტი ვირუსული დააავადებების დროს, ჩვეულებრივი გრიპის დროსაც. მაგრამ მისი მიღება ექიმის რეკომენდაციის გარეშე მაინც არ შეიძლება. მას საკმაოდ მრავალი გვერდითი მოვლენები აქვს, ამიტომაც მისი ტყუილად მიღება არ არის სასურველი.

# მეგობრის უკანასკნელი სათხოვარი

გივი ალხაზიშვილი

თვითმკვლელობამდე დათო მჭედლურმა სამიოდე პირადი წერილი დატოვა, ერთ-ერთის ადრესატი მე ვარ.

არ შევუდგები იმის აღწერას, რა განვიცადე მაშინ, როცა მის უკანასკნელ წერილს ვკითხულობდი. ახლა კი მინდა, ფართო მკითხველს გავაცნო დათო მჭედლურის ჩემთვის დატოვებული ბარათი, რომლის გამოქვეყნებაზეც გარკვეული მიზეზის გამო ვიკავებდი თავს. ღირს კი საერთოდ პირადი წერილის გამოქვეყნება, იმ ტექსტის დაბეჭდვა, რომელშიც უხერხულ, საქებარ კონტექსტში ვარ მოხსენიებული, ამასთან, არის თუ არა ეთიკური ერთი ადრესატისთვის დატოვებული წერილი ყველას წავაკითხო?! ამ ფიქრში და "ჩვენი მწერლობის" აღდგენის მოლოდინში, სადაც იგი მუშაობდა განყოფილების გამგედ, ვიდრე გამომცემლობა "მერანის" მთავარი რედაქტორი გახდებოდა, საკმაო დრო გავიდა. თანაც, ჩემი ორჭოფობა - დამებეჭდა თუ არა ეს წერილი, თანდათანობით გააქარწყლა მრავალმა კითხვამ, საზოგადოებაში რომ გაჩნდა და მათი უპასუხოდ დატოვება შეუძლებლად ჩავთვალე. გადადებას აზრი აღარ ჰქონდა, გადავწყვიტე, დათოს "ანდერძი" გამომექვეყნებინა, თუნდაც იმიტომ, რომ ჩემი პასუხისმგებლობა მისი დანაბარების წინაშე, გაორმაგებულიყო. წიგნი ზურაბ ერისთავზე, რომლის გამოცემასაც დათო მთხოვს, მისი ტრაგიკული აღსასრულის მეორმოცე დღეს განხორციელდა. ახლა ჯერი იმ წიგნზეა ("თავისუფლების სახელით"), ასე საგულდაგულოდ რომ შეავსო, განავრცო და განასრულა.

იგი თავის ანდერძში არ საუბრობს პოეტურ კრებულზე, რომლის მომზადებასაც მალე შევუდგები და რჩეული ლექსების წიგნი "თანამედროვე ქართული პოეზიის ბიბლიოთეკის" სერიით გამოიცემა.

ლიტერატურის ისტორიისთვის მწერლის ყოველი სტრიქონი საინტერესოა, მით უმეტეს იმ წერილის შინაარსი, თვითმკვლელობის წინა დღეს რომ დაიწერა.

მიუტევებელია, როცა დავით მჭედლურის თვითმკვლელობის მოტივს პოლიტიკას, ან სულაც ფინანსურ სირთულეებს მიაწერს საზოგადოების გარკვეული ნაწილი.

იმედია, ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ მისი თვითმკვლელობის პოლიტიკური ანგაჟირება შეუძლებელი იქნება.

**ჩემო ძვირფასო ძმაო გივი!**

**ამ ბარათს ვწერ ფშავში, ჩემს პატარა სახლში, სადაც ამოვედი იარაღის წასაღებად, ეს ჩემი უკანასკნელი ღამეა მარადიული ღამის წინ და მშვიდად ვემზადები სიკვდილისთვის.**

**შენი უსაზღვროდ მადლიერი ვარ, რისი გამოთქმაც ვერა და ვერ მოვახერხე, ახლა კი უნდა გითხრა, რომ მადლობელი ვარ ყველაფრისთვის, რაც შენ ჩემთვის გააკეთე. შენ დიდი პოეტი და დიდი ვაჟკაცი ხარ, დიდი მეგობრობა და ძმობაც იცი.**

**მინდა გისურვო კვლავ და კვლავ უბერებელი ლექსები, დიდხანს სიცოცხლე, გამრავლებას ვუსურვებ შენს ოჯახს, შენს შვილიშვილებს.**

**ჩემი უბედური ცხოვრება არ შეიძლებოდა სხვანაირად დასრულებულიყო და ეს მე დიდი ხნის წინათ ვიცოდი. მაპატიე, რომ ამიერიდან შენს გვერდით ველარ ვიქნები.**

**გიტოვებ უკანასკნელ სათხოვარს:**

**ჩემი ბოლო წიგნი ზურაბ ერისთავზე, რომლის მომზადება ვერ მოვასწარი, იქნებ, როგორმე გამოსცე, ჩემი ოჯახიდან გადმოგცემენ ჩემს მიერ ჩასწორებულ ბოლო ვარიანტს, ლურჯი პასტით სწორებები ახალია და ისინი დისკეტაზე არ იქნება, ვთხოვ ქალბატონ მილიცას, რომ დისკეტიდან ამონაბეჭდი შეუდაროს ამ ვარიანტს და სწორებები გადაიტანოს დაკაბადონების დროს.**

**კომპიუტერზე ანაწყობის ერთი ეგზემპლარი და დისკეტები დევს ჩემს მაგიდაზე სამსახურში. დიდი მხატვრული გაფორმებისთვის ნუ შეწუხდები. მთავარია, გამოიცეს.**

**ძალიან მინდოდა, გამომეცა ჩემი წიგნი "თავისუფლების სახელით", შევსებული და შესწორებული. თუ მომავალში გამომცემლობა იარსებებს, ამ წიგნის გამოცემა ურიგო არ იქნება, მისი ხელნაწერი ჩემს ოჯახში ინახება.**

**გთხოვ, იზრუნო, რომ ჩემმა საცოდავმა ოჯახმა სამართლიანად მიიღოს ის, რაც ეკუთვნის, თანხა მიეცი მხოლოდ ქეთინოს, მასვე მიეცი ის თანხა, რომელიც ბანკის ვალის გადასახდელად დაგიტოვე, იმ განრიგით, როგორც მოვილაპარაკეთ.**

**თუ ჩვენი წილების ყიდვა-გაყიდვას კიდევ რაიმე ხელმოწერა დასჭირდა, ამის შესახებ მინდობილობა აქვს ჩემს შვილს ზურაბს.**

**მაპატიე, რომ ამდენი სათხოვარით გაწუხებ. ვიცი, რომ ყოველივე ამას შენ ჩემი თხოვნის გარეშეც გააკეთებ.**

**მშვიდობით და მშვიდობა!**

**შენ მისტიკას ნაზიარები პოეტი ხარ და აი, ახლა ოდნავ ღია კარიდან ერთი ჭრელი პატარა ჩიტი შემოფრინდა, კედელს დაეტაკა და უსულოდ დაეცა იატაკზე, ის თუ იყო ჩემი სული?!**

**დავით მჭედლური**

# განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის 21 ივნისის N 141 ბრძანებით დამტკიცებული დებულებისა "საქართველოს ეროვნული ბანკის ქონების აუქციონის ფორმით რეალიზაციის შესახებ" 2006 წლის 20 იანვარს საქართველოს ეროვნული ბანკის შენობაში (დადიანის ქ. 2) საკონფერენციო დარბაზში 12 საათზე ჩატარდება აუქციონი საქართველოს ეროვნული ბანკის ოზურგეთის ყოფილი ფილიალის შენობის გასხვისებასთან დაკავშირებით:

**მიწის ნაკვეთი:**

მიწის ნაკვეთი უზურფრუქტითაა დატვირთული, ანუ ობიექტის მფლობელს აქვს მიწის ნაკვეთის სარგებლობის სრული უფლება, გასხვისების ან განკარგვის უფლების გარეშე.

ნაკვეთის ფორმა: ნაკვეთს მთლიანობაში გააჩნია წახნაგოვანი ფორმა,

ნაკვეთის ფართი: მიწის ნაკვეთის საერთო ფართია 780 მ2 . აქედან 589მ2 განაშენიანებულია, ნაკვეთის რელიეფი: სწორია მცირე ქანობით,

სატრანსპორტო მიღწევადობა: მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ. ოზურგეთში ი. შემოქმედელის ქ. N3

კომუნალური და სხვა კვანძები: მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილია კანალიზაციის, ელ. მომარაგების, წყალმომარაგების და სატელეფონო ცენტრალური სისტემებით, აგრეთვე არსებობს გაზგაყვანილობა.

**შენობა:**

ობიექტი აშენებულია XX-ე საუკუნის 80-იან წლებში. შენობის წინ მოწყობილია მანქანების სადგომი დაახლოებით 20-30 ავტომანქანისთვის. 2002-2005 წლებში შენობას ჩაუტარდა მაღალი ხარისხის კაპიტალური რემონტი და მოსაპირკეთებელი სამუშაოები. შენობა 1 სართულიანია, გააჩნია სარდაფი, მოშენების ფართია 589მ2 საერთო ფართია 675,92მ2, საიჯარო ფართია 350მ2 , შენობაში მოწყობილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საკასო კვანძი, გაკეთებულია კაპიტალური გადახურვა, შემოყვანილია დამატებითი სამფაზიანი ელექტროკვება ქალაქის მომარაგების მთავარი წყაროდან, შენობა აგრეთვე აღჭურვილია გათბობის სისტემით და დიზელ გენერატორით. **შენობის საწყისი სააუქციონო ფასია 154 855 ლარი.**

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი "ბე-ს" მოცულობა შეადგენს საწყისი ფასის 10-%-ს რომელიც ჩარიცხულ/შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს ეროვნულ ბანკში (საიდენტიფიკაციო კოდი 203824148, ბანკის კოდი 220101107) ანგარიშის N 117904101. განაცხადი და "ბე"-ს შეტანის ქვითარი (აგრეთვე საჭიროა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა) წარედგინება სააუქციონო კომისიის მდივანს ბატონ გ. ნატროშვილს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა "მონაწილის ბილეთი".

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხდების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ სააუქციონო კომისიის მდივანს ბატონ გიორგი ნატროშვილს, (საკონტაქტო ტელეფონის ნომერი 44-21-42)

*საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია.*






სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ადიგენის რაიონის ჩორჩანის საკრებულოს წყალსადენის რეკონსტრუქცია.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ადიგენის რაიონის ჩორჩანის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **ჩორჩანის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო ადიგენის რაიონი, სოფელ ჩორჩანის გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი:ზაირა ტყემალაძე, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2006 წლის 18 იანვრიდან,** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) **10-დან 18 საათამდე.** საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3 000** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო ადიგენის რაიონი, სოფელ ჩორჩანის გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი:ზაირა ტყემალაძე, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2006 წლის 16 თებერვლის 13:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ადიგენის რაიონის ფხეროს საკრებულოს სარწყავი სისტემის რეკონსტრუქცია.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ადიგენის რაიონის ფხეროს თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **ფხეროს თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო ადიგენის რაიონი, სოფელ ფხეროს გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი:ბადრი ცქიფურიშვილი, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2006 წლის 18 იანვრიდან,** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) **10-დან 18 საათამდე.** საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 100** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო ადიგენის რაიონი, სოფელ ფხეროს გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი:ბადრი ცქიფურიშვილი, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2006 წლის 16 თებერვლის 17:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **17:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

# თბილისის აეროპორტი - რევოლუციური მშენებლობა რევოლუციური დარღვევებით

## როგორ არღვევს კანონს პროფესიით იურისტი გარემოს დაცვის მინისტრი

თინათინ მოსიაშვილი

როგორც ხელისუფლება გვპირდება, 2006 წლის ნოემბერში თბილისს საერთაშორისო სტანდარტების შესაფერისი აეროპორტი ექნება. წინასამშენებლო სამუშაოები დეკემბრის დასაწყისში დაიწყო. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული თურქული კომპანია "ტავ ურბანი" წარმართავს. ხელისუფლება ცდილობს რევოლუციური მშენებლობა რევოლუციური ტემპით წარმართოს: მთავრობის მითითებით, სასწრაფოდ გაიცა მშენებლობაზე ნებართვები. დაინტერესებულ საზოგადოებას ვინ ჩივის, სპეციალისტებიც ძლივს ასწრებენ წარდგენილი დოკუმენტაციის გაცნობას.

### ჭორ-მართალი, რომელზეც საუბრობენ...

მარინა ბალავაძე და გია ბეჟუაშვილი სტუდენტები არიან, ისინი აეროპორტის დასახლებაში ცხოვრობენ. რა თქმა უნდა, იციან, რომ ახალი აეროპორტის მშენებლობა იწყება, თუმცა, მეზობლების მსგავსად, სიახლეებისა და ცვლილებების შესახებ ძირითადად ჭორები სმენიათ.

აეროპორტის დასახლებაში ზოგი ამბობს, რომ მათ დასახლებას საერთოდ გააუქმებენ, მათ კი გადასახლებას უპირებენ და ეს ტერიტორიაც აეროპორტს უნდა მიუერთდეს, საუბრობენ იმაზეც, რომ მათი სახლების ადგილას სასტუმროების აშენებას გეგმავენ... თურმე უკვე იწყებენ მეჩეთის აშენებას... ზოგიერთები წუხილს გამოთქვამენ, რომ სამსახურის დატოვება მოუწევთ (მოსახლეობის დიდი ნაწილი აეროპორტშია დასაქმებული), იმასაც ამბობენ, რომ ვილაცები უკვე გაათავისუფლეს სამსახურიდან, რომ აეროპორტის ასაშენებლად თურქული კომპანია ძირითადად თურქებს ჩამოიყვანს, ან აქაურ თანამშრომლებს აიძულებენ თურქული ისწავლონ... რომ იმათ, ვინც უკვე აიყვანეს სამსახურში ძალიან ცოტას უხდიან...

ჭორებსა და მითქმა-მოთქმას ერთი რამ განაპირობებს - არც ხელისუფლებისა და არც "ტავ ურბანის" წარმომადგენლებს აქაურებისთვის არაფერი უკითხავთ, მათთვის არანაირი დოკუმენტი ან პროექტი არ წარუდგენიათ. "ერთადერთი რაც შემიძლია გითხრათ, ისაა, რომ თურქული კომპანიის წარმომადგენლებმა მოსახლეობაში შესავსებად დაარიგეს ანკეტები, რომლებიც აეროპორტში დასაქმების მსურველებს უნდა შეევსოთ. ანკეტა, ცხადია, ბევრმა შეავსო", - გვეუბნება მარინა ბალავაძე.

აეროპორტი კარგად აჩვენებს ქვეყნის სახეს და რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თბილისში საერთაშორისო აეროპორტის აშენებას. თუმცა აეროპორტი ობიექტია, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანთა უსაფრთხოებაზე, სიცოცხლეზე და გარემოზე. ის ფაქტი, რამდენად არის ამ შემთხვევაში დაცული ადამიანთა უსაფრთხოებისა და გარემოს დეგრადაციისაგან დაცვის უზრუნველყოფის მოთხოვნები, როგორც ჩანს, ქვეყნის ხელისუფლებას ნაკლებად აინტერესებს. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პირდაპირი მითითება ჰქონდა მიცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა უმოკლეს ვადაში გასცეს.





### განხილვები - საზოგადოების მონაწილეობით?!

"საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს მთავრობის დადგენილების მოთხოვნით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად წარმოდგენილია: ს/ს "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი"-ს მიერ I კატეგორიის საქმიანობაზე წარმოდგენილი გარემოსდაცვითი დამასაბუთებელი დოკუმენტაცია - გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია 2005 წლის 12 დეკემბრამდე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტში. მის: თბილისი, გულუას ქ. N6.

საჯარო განხილვა შედგება 2005 წლის 12 დეკემბერს, ორშაბათს 11:00 საათზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში", - ასეთი ინფორმაცია პარასკევს, 9 დეკემბერს გამოქვეყნდა პრესაში. იმ დღეს ძნელად თუ ვინმე მოახერხებდა სამინისტროში წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობას.

12 დეკემბერს დილით სამინისტროში გაიმართა განხილვა, რომელსაც "ტავ ურბან საქართველოს" ხელმძღვანელები, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ავტორები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

14 დეკემბერს ს/ს "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი"-ს ტერიტორიაზე აეროპორტის ახალი ტერმინალის მშენებლობის პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურშიც გაიმართა განხილვა. სამსახურიდან გვაცნობეს, რომ განხილვა მარტივი ადმინისტრაციული წესით გაიმართა, რაც საზოგადოებისთვის განხილვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას არ ითვალისწინებდა.

"ტავ ურბან საქართველოს" მთავარი მენეჯერის მოადგილის ნოდარ კურტანიძის განმარტებით, მას შემდეგ, რაც აგვისტოს ბოლოს ტენდერზე "ტავ ურბანმა" გაიმარჯვა, პროექტზე მუშაობასთან ერთად ეკოლოგიური საკითხების შესწავლაც დაიწყეს. ეს რთული და შრომატევადი სამუშაო მოიცავდა, როგორც არსებული გარემოს შესწავლას, ასევე ახალი პროექტის განხორციელების შემდგომ მოსალოდნელ ცვლილებების პროგნოზირებას.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მოსამზადებლად ჩატარდა ტენდერი, რომელშიც გაიმარჯვა "საქართველოს გარემოსდაცვითი ინჟინერინგის ასოციაციამ". ასოციაციის ხელმძღვანელ თენგიზ თენეიშვილის განმარტებით, 15-კაციან ჯგუფს უმოკლეს ვადაში მოუხდა მუშაობა და უსერიოზულესი გათვლების ჩატარება. შემდეგ ასევე უმოკლეს ვადაში გაიცა ნებართვაც.

"საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის ამაღლება არ უნდა განხორციელდეს გარემოზე უარყოფითი და შეუქცევადი ზემოქმედების ხარჯზე. სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების აგების დროსაც კი აუცილებელია გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება - უზრუნველყოფის გათვალისწინება. ადამიანთა ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების გარანტიას იძლევა საქართველოს კონსტიტუცია (მუხლი 27). ამ უფლების დაცვა გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით", - ნათქვამია აეროპორტის "გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში".

არასამთავრობო ორგანიზაციები ჯერ კიდევ სამინისტროში ჩატარებული განხილვისას გამოთქვამენ პროტესტს, რომ საქართველოს ხელისუფლება ისევ არღვევდა კანონმდებლობას, აჩქარებდა რა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებართვების გაცემის პროცედურას, რითაც საფრთხეს უქმნიდა მოქალაქეთა სიცოცხლეს.

გიორგი მაღრაძე, მწვანეთა მოძრაობის წარმომადგენელი, "შეხვედრის შესახებ ჩვენ პარასკევს გავრცელებული ინფორმაციიდან შევიტყვეთ. თავად დოკუმენტთან შენიშვნები ამჟამად არ გვაქვს და ვერ გვექნება ერთი მიზეზის გამო, რადგან დოკუმენტის გაცნობის საშუალება არ გვქონდა. ამჯერად ჩვენ პრეტენზიები გვაქვს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან, რადგან ინფორმაცია შეხვედრის შესახებ კანონის შესაბამისად არ ვრცელდება. არადა, ამ შემთხვევაში ჩვენ რაიმე ჯიხურს კი არ ვაშენებთ, შენდება მეტად სერიოზული ობიექტი და რევოლუციური ტემპით მშენებლობა ამ შემთხვევაში დაუშვებელია".

ქეთი გუჯარაიძე, "მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელი: "დოკუმენტების გაცნობა მხოლოდ ამ დილას შეგვეძლო, რაც რეალურად შეუძლებელი იყო. გზშ ანგარიშის ხელმისაწვდომობისა და ამ საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გავრცელება კი დარღვევით მოხდა. აბსოლუტურად გაუგებარია რომელი კანონით იხელმძღვანელა სამინისტრომ, როდესაც საზოგადოებას შენიშვნების წარდგენა ფაქტობრივად ერთ დღეში მოსთხოვა. საქართველოს კანონმდებლობა ნათლად ამბობს, რომ თუ ნებართვის გაცემა ხდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით, სამინისტრო ვალდებულია საზოგადოებას მისცეს ორი კვირის ვადა გზშ ანგარიშზე კომენტარების წარდგენისთვის, ხოლო ინფორმაცია განხილვის შესახებ სამინისტროს 7 დღით ადრე მაინც უნდა გაევრცელებინა. ამ განხილვას, როგორც ჩანს, საზოგადოების თვალის ასახვევად ატარებენ.

რაც შეეხება თავად წარმოდგენილ დოკუმენტს, რომლის დეტალური გაცნობაც, ცხადია, ვერ მოვასწარით, ერთი შეხედვითაც კი ცხადია, რომ ეს არც არის კანონმდებლობით მოთხოვნილი გზშ ანგარიში; თუმცა, როგორც ჩანს, ეს არ შეუშლის ხელს გარემოს დაცვის სამინისტროს უმოკლეს ვადაში გასცეს დადებითი დასკვნა და როგორც ყოველთვის, პრეზიდენტისა და მთავრობის დავალებების უსიტყვო შემსრულებლად მოგვევლინოს".

ეს ხდებოდა ორშაბათს, 12 დეკემბერს, ნებართვა კი, მთავრობის მითითებით, მეორე დღეს უნდა გაცემულიყო ...

### ნებართვა დაჩქარებული წესით გაიცა

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ნებართვების სამმართველოს უფროსის ნიკა ჭახნაკიას განმარტებით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში სამინისტროში წარმოდგენილი იყო 7 დეკემბერს და საქართველოს მთავრობის დავალებით ნებართვა უნდა გაცემულიყო არაუგვიანეს 13 დეკემბრისა.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრ გიორგი პაპუაშვილის განმარტებით კი, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიების და ნებართვების დეპარტამენტში შემოვიდა 01.12.05 წლის N1/12 განაცხადი ს/ს თბილისის საერთაშორისო აეროპორტზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გასაცემად. საკითხის სახელმწიფო მნიშვნელობიდან გამომდინარე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გადაწყვეტილებით, წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ დაჩქარებული წესით გაიარა ნებართვის გასაცემად განსაზღვრული პროცედურა. გაიცა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (N181 12.12.05წ) თანდართული შენიშვნებით, რომლებიც გათვალისწინებული იქნება მშენებლობის პროცესში და რომელზეც ს/ს თბილისის საერთაშორისო აეროპორტი პერიოდულად მოგვაწოდებს ინფორმაციას, რათა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ განახორციელოს კონტროლი დასკვნაში აღნიშნული გარემოსდაცვითი პირობების შესრულებაზე. რაც შეეხება, მშენებლობასა და უსაფრთხოების პრობლემებს, მასზე ნებართვა და შესაბამისად კონტროლი განსახორციელებელია ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ.

როგორც ვხედავთ, ერთგვარი შეუსაბამობაა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრისა და ამავე სამინისტროს ნებართვების გაცემაზე პასუხისმგებელი პირის განმარტებებს შორის.

"მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესის საჯაროობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მათ მიერ დასახელებულ თარიღებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ გააჩნია, ჩვენ მაინც დავინტერესდით და გადავამოწმეთ მათ მიერ მოწოდებული მონაცემები. აღმოჩნდა, რომ განაცხადი თბილისის საერთაშორისო აეროპორტზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გასაცემად, მართლაც, წარდგენილი იქნა ა.წ. 1 დეკემბერს, მაგრამ არა ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტში, არამედ სამინისტროს კანცელარიაში, ხოლო დეპარტამენტში განაცხადი რეგისტრირებულ იქნა ა.წ. 7 დეკემბერს, რასაც ნებართვების სამმართველოს უფროსი ნიკა ჭახნაკიაც ადასტურებს. შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული ნებართვის გაცემის ვადის ათვლაც 7 დეკემბრიდან და არა 1 დეკემბრიდან დაიწყო.

ყურადსაღებია ბატონი გიორგი პაპუაშვილის კიდევ ერთი განმარტება. კერძოდ, ის აღნიშნავს, რომ "საკითხის სახელმწიფო მნიშვნელობიდან გამომდინარე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გადაწყვეტილებით, წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ დაჩქარებული წესით გაიარა ნებართვის გასაცემად განსაზღვრული პროცედურა". საქმე ისაა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ნებართვის დაჩქარებული წესით გაცემის პროცედურას. კანონმდებლობა, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ითვალისწინებს ინვესტორის მხოლოდ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების ვალდებულებისგან გათავისუფლებას, რაც თბილისის საერთაშორისო აეროპორტის შემთხვევაში, არ განხორციელებულა. საფიქრებელია, რომ გარემოსდამცველი იურისტი მინისტრი, საქართველოს კანონმდებლობის თავისებური ინტერპრეტაციით, უბრალოდ ცდილობს რამენაირად გაამართლოს ამგვარ მასშტაბურ მშენებლობაზე ნებართვის ორ დღეში გაცემაზე მიღებული თავისი გადაწყვეტილება", - ამბობს "მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელი ქეთი გუჯარაიძე.

მისი ვარაუდი, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს უმოკლეს ვადაში გასცემდა დადებითი დასკვნას და როგორც ყოველთვის, პრეზიდენტისა და მთავრობის დავალებების უსიტყვო შემსრულებლად მოგვევლინებოდა, გამართლდა.



"ერთი შეხედვითაც ცხადი იყო, გარემოზე ზემოქმედების შეფასების წარდგენილი ანგარიში კანონმდებლობით მოთხოვნების შესაბამისად რომ არ იყო შედგენილი", - ამბობდნენ მაშინ კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის წარმომადგენლები, რომლებმაც შემდეგ დოკუმენტის შესწავლისას რიგი ნაკლოვანებები აღმოაჩინეს, კერძოდ:

"გაუგებარია, თუ რა სახის საქმიანობაზეა წარმოდგენილი გზშ ანგარიში, ახალი აეროპორტის მშენებლობაზე, ახალი ტერმინალის მშენებლობაზე, თუ არსებული აეროპორტის რეკონსტრუქციაზე. არსად არის მითითებული საქმიანობის ზუსტი დასახელება;

დოკუმენტში ნახსენებია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია წარმოადგენს აეროპორტის ექსპლუატაციის ფაზის გზშ ანგარიშს (გვერდი 80). გაუგებარია, რატომ მოამზადა პროექტის ინვესტორმა აეროპორტის ექსპლუატაციის გზშ ანგარიში, მაშინ როდესაც იგი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართავს მშენებლობის ნებართვის მისაღებად;

დოკუმენტში აგრეთვე ნახსენებია რომ "ნაშრომი წარმოდგენილია გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად", რაც არ შეესაბამება დღევანდელ რეალობას. ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა აღარ ცნობს გარემოსდაცვით ნებართვას, ეს, და დოკუმენტში დაფიქსირებული სხვა ბევრი შეუსაბამობები გვაძლევს იმის ვარაუდის საბაბს, რომ პროექტის შემსრულებლები არც კი იცნობენ შესაბამის გარემოსდაცვით კანონმდებლობას;

საერთოდ არ არის წარმოდგენილი ეკონომიკური დასაბუთების პროექტი;

ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიცაა ტექნოლოგიური ავარიების თავიდან აცილების მიზნით დაგეგმილი უსაფრთხოების ზომები, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები, ნავთობპროდუქტების დაღვრაზე რეაგირების ღონისძიებები ძალზე მოკლედ და ზერელედ არის წარმოდგენილი პროექტში, რაც მოითხოვს უფრო ვრცელ და სრულყოფილ აღწერას", - აღნიშნავს კავკასიის გარემოსდაცვითი ქსელის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი და დამკვირვებელი მაია ლორთქიფანიძე.

მისი განმარტებით, წარმოდგენილი დოკუმენტის უმეტეს ნაწილს წარმოადგენს "ატმოსფერული ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გამოფრქვევათა ნორმატივების პროექტი", ხოლო თავად გზშ ანგარიშს უკავია მცირე ნაწილი, რაც თავისთავად მეტყველებს დოკუმენტის არასრულფასოვნებაზე.

"გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული შენიშვნები და გაითვალისწინოთ ზემოთ აღნიშნულ საქმიანობაზე სამშენებლო ნებართვის გაცემის/არ გაცემის გადაწყვეტილების მიღებისას", - შენიშვნები კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელმა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გაუგზავნა, რადგან მშენებლობაზე ნებართვა სწორედ ამ სამინისტრომ უნდა გასცეს. წესით, მშენებლობა უახლოეს ხანში უნდა დაიწყოს, თუმცა ნებართვასთან დაკავშირებით ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ჯერჯერობით ვერაფერს ამბობენ.



### ტავურბანელები კი გვპირდებიან...

საინფორმაციო სააგენტოებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ სამშენებლო სამუშაოები თბილისის აეროპორტში დეკემბრის პირველი დღეებიდან დაიწყო. "ტავ ურბანის" წარმომადგენლებმა, რომელთაც აეროპორტში შევხვდით, ეს ინფორმაცია უარყვეს.

"აეროპორტში ჯერ მხოლოდ წინა მოსამზადებელი სამუშაოები დავიწყეთ, რომელსაც ნებართვა არ სჭირდება", - გვითხრა თბილისის საერთაშორისო აეროპორტის პროექტის მენეჯერმა თეომან ჩობანოღლუმ. მას გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხების გარდა იმ ჭორ-მართალზეც ვთხოვეთ კომენტარის გაკეთება, რაც აეროპორტის დასახლებაში მოვისმინეთ.

"ახლა გაგახსენდათ ეკოლოგიური პრობლემები, როცა ჩვენ ჩამოვედით? ვიბრაცია და ხმაური, რაც ყველაზე სერიოზულ პრობლემად ითვლება, ახლაც ხომ არის, დღესაც ხომ არსებობს გარემოსდაცვითი პრობლემები აეროპორტში, მით უმეტეს, რომ ის თითქმის 50 წელია არსებობს?", - დაინტერესდა ჩობანოღლუ. მისი განმარტებით, "ტავ ურბანი" თბილისში ოცდამეერთე საუკუნის შესაფერის აეროპორტს აშენებს, სადაც სათანადო ყურადღება მიექცევა ეკოლოგიურ პრობლემებსაც, გამოიყენება ახალი ტექნოლოგიები, რომლის მსგავსი ჯერ არ გამოყენებულა თბილისში (თუნდაც მაგ., ყინვის საწინააღმდეგო სითხე ასაფრენ ბილიკებზე).

ბუნებრივია, მასშტაბების ზრდასთან ერთად პრობლემებიც იზრდება, ცხადია, გაიზრდება, თუნდაც ვიბრაცია და ხმაური.

შეეწირება თუ არა აეროპორტს მიმდებარე დასახლებები? რამდენად იცნობს საზოგადოება მომავალი აეროპორტის პროექტს, პირველ ყოვლისა, აეროპორტის მიმდებარედ მცხოვრები მოქალაქეები?

"დასახლებულ უბნებს საფრთხე არ ემუქრება. პირიქით, მათთან ისეთი სოციალური პროექტების განხორციელება დავიწყეთ, როგორიცაა, მაგალითად, საბავშვო ბაღის მოვლა-პატრონობა.

რაც შეეხება საზოგადოების ინფორმირებას, კანონის თანახმად, პირველი, რაც გავაკეთეთ, დავამაგრეთ ბილბორდი - კომპანიის სახელწოდებით. ახალი წლიდან საზოგადოებასთან ურთიერთობის უფრო აქტიურად დავიწყებთ, ამ მიზნით შეიქმნება სპეციალური განყოფილება", - აცხადებენ ტავურბანელები.

რამდენად ემუქრებათ აეროპორტის დღევანდელ თანამშრომლებს გათავისუფლება? ჩობანოღლუს განმარტებით, დღეს აეროპორტში 430 კაცი მუშაობს.

"თანამშრომელთა სია ახლაც ხელთ მაქვს. რაღაც ნაწილს, ძირითადად საპენსიო ასაკის ადამიანებს მოუწევთ სამსახურის დატოვება, მაგალითად, ახლა მძღოლად მუშაობს ადამიანი, რომელიც 71 წლისაა, ის ხომ საფრთხეს უქმნის სხვის სიცოცხლეს.

ახალი აეროპორტის დასრულების შემდეგ თანამშრომელთა რიცხვი თითქმის გაორმაგდება და აქ, ცხადია, უმეტესად საქართველოს მოქალაქეები დასაქმდებიან. თუმცა ზოგიერთ ისეთი დარგის სპეციალისტს, რომელიც არ არსებობს საქართველოში, ალბათ თურქეთიდან ჩამოვიყვანთ", - ამბობს ჩობანოღლუ.

მისი თქმით, აეროპორტის ტერიტორიაზე მეჩეთის მშენებლობა დაგეგმილი არ არის, რაც შეეხება თურქული ენის კურსებს, მსგავსი კურსები მართლაც გაიხსნება მსურველთათვის, ისევე როგორც თურქი ეროვნების მოქალაქეებისთვის გაიხსნება ქართული ენის კურსები.

### რეზიუმეს მაგიერ

ინვესტორი, ცხადია, ნათელ ფერებში ხატავს მომავალს, მომავალი აეროპორტით თურქები უკვე თავს იწონებენ. ეს ყველაფერი ჯერ მომავლის საქმეა, თუმცა რამდენად გამართულ დოკუმენტებს წარადგენენ ისინი საქართველოს სამთავრობო უწყებებში, რამდენად იცავენ საქართველოს კანონმდებლობას, ამის გარკვევა ჩვენი სამთავრობო უწყებების საქმეა (ჩვენ ხომ სწორედ ამისთვის ვუხდით ფულს ჩვენს ჩინოვნიკებს).

ჩვენ გვჭირდება საერთაშორისო დონის აეროპორტი, ამას არავინ უარყოფს, მაგრამ ვინ აგებს პასუხს იმაზე, თუნდაც წლების შემდეგ რაიმე რომ მოხდეს? ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე თუ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი გიორგი პაპუაშვილი? ისინი იმ დროს შეიძლება არც ახლანდელ თანამდებობებზე და არც ქვეყანაში აღარ იმყოფებოდნენ....

Caucasus Environmental NGO Network CENN

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION
*საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი*
*INTERNATIONAL STUDENT ADVISING CENTER*

**ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"** სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამა კანონის უზენაესობის პროგრამა

## კონკურსი

**ახალგაზრდა ან/და რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის ორგანიზაციული განვითარების საკითხებზე ტრენინგ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად**

ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამა (CSMS), კანონის უზენაესობის პროგრამასთან ერთად აცხადებს კონკურსს ორგანიზაციული განვითარების საკითხებზე ტრენინგ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. ტრენინგში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ ახალგაზრდა ან/და რეგიონალურ არასამთვრობო ორგანიზაციებს.

კონკურსის მიზანია შეირჩეს 20 (ოცი) ახალგაზრდა (ერთი ან ორი წლის) ან/და რეგიონული არასამთავრობი ორგანიზაცია, რომელთა ლიდერებისთვისაც ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო" ორგანიზებას გაუკეთებს ტრენინგების სერიას ორგანიზაციულ მართვასთან და განვითარებასთან დაკავშირებულ შემდეგ თემებზე:

1. სტრატეგიული დაგეგმვა - 3 დღე
2. ორგანიზაციების გამგეობების განვითარება, ლიდერობა და მოტივაცია - 4 დღე
3. პროექტების მომზადება და დაგეგმვა - 5 დღე
4. მონიტორინგი და მისი განხორციელების ინსტუმენტები, წარმატებული მაგალითები - 2 დღე
5. საზოგადოებრივი ინტერესების ადვოკატირება, საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ხელისუფლების გამჭვირვალობის ხელშეწყობა - 2 დღე

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

1. ორგანიზაციის წესდება;
2. ორგანიზაციის წლიური ანგარიში;
3. ინფორმაცია მათ მიერ განხორციელებული პროექტებისა და საქმიანობის შესახებ;
4. ორგანიზაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
5. 2 რეკომენდაცია

**კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადები მიიღება 2005 წლის 19 დეკემბრიდან 2006 წლის 3 თებერვლის 17:00 საათამდე. მისამართი: ქ. თბილისი 0108, ჭოველიძის ქ. N10. ტელ: 25-04-63, 25-05-92 ფაქსი: 29-10-52, ელ ფოსტა: irakli@osgf.ge. საკონტაქტო პირი: ირაკლი ცერცვაძე, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამის კოორდინატორი.**

კონსულტაციები კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის ჩატარდება ყოველ პარასკევს 11:00 საათზე ფონდის ოფისში.

** საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" ოფისი არ იმუშავებს 2005 წლის 29 დეკემბრიდან 2006 წლის 6 იანვრის ჩათვლით.*

# შპს საქართველოს რკინიგზა აცხადებს ღია ტენდერს სამშენებლო -სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (ქ. თბილისი, 0112 თამარ მეფის გამზ. 15 ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757), აცხადებს ღია ტენდერს 1 ლოტად ლაშე-სადგური ხარაგაულის 2338 კმ გადასარბენზე მეორე ლიანდაგისა და ხიდის სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს (საქართველოს ან უცხო ქვეყნის იურიდიული ან/და ფიზიკური პირი).

ლოტი №1 - ლაშე-სადგური ხარაგაულის 2338 კმ გადასარბენზე მეორე ლიანდაგისა და ხიდის სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოები.

1) მიწოდების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად (არაუგვიანეს 2006 წლის 1 სექტემბერი)

დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში.

2) დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (პრეტენდენტებთან ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების მიზნით), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 2 და 3 თებერვლის 9[00] საათიდან 18[00] საათამდე , ორ ეგზემპლარად, შემდეგ მისამართზე: შპს "საქართველოს რკინიგზა", ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N15, მე-3 სართული, შშპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მოაცემების წარმომდგენი იურიდიული ან/და ფიზიკური პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით, აგრეთვე ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების შემდეგ მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან.

3) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 ცნობები:

4.1.1 იურიდიული პირისათვის;

ა) ცნობას სასამართლოდან, ან საგადასხადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ;

ე) ხელმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

4.1.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ რომ მის მიართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

ბ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას სასამართლოდან, ან საგადასხადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

4.1.3. როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ.
- ლიცენზია სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ
- ინფორმაცია სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო ძირითადი მანქანა -მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებების და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ.
- ინფორმაცია უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების შესახე, მათ შორის რკინიგზის ობიექტებზე შესრულებული სამუშაოების შესახებ
- ბოლო 5 წლის ფინანსური ანგარიშები (ბალანსები,აუდიტორიული დასკვნები და ა.შ.)
- ინფორმაცია საფინანსო რესურსების შესახებ.

პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდეგ, რეკვიზიტებზე ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757, მას გადეაეცემა სატენდერო დოკუმენტაცია, რომელშეც დაწვრილებით იქნება გადმოცემული ობიექტის მახასიათებლები ტექნიკური მაჩვენებლები და ნახაზები და ა.შ., ასევე ძირითადი მოთხოვნები პრეტენდენტების მიმართ.

სატენდერო წინადადებასა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის სახით სატენდერო წინადადების 1%-იანი საბანკო გარანტია.

დამატებითი ინფორმაცია შეიძლება მიიღოთ შპს "საქართველოს რკინიგზაში" ქ. თბილისი, 0112 თამარ მეფის გამზ. 15 მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში. საკონტაქტო ტელეფონები 563351, 893 24 32 24.

*სატენდერო კომისია.*

# ქ. თბილისის მერიის აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ

"საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ნ" ქვეპუნქტის, 27-ე მუხლისა და "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულების 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ქ. თბილისის მერიის აპარატის თანდართული დებულება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს "ქ. თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2005 წლის 12 აპრილის N12 ბრძანება.
3. ეს ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მერი გიორგი უგულავა

დამტკიცებულია ქ. თბილისის მერის 2006 წლის - ინავრის N-- ბრძანებით

**ქ. თბილისის მერიის აპარატის**

**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

**თავი I. ზოგადი დებულებანი**

**მუხლი 1.**

1. ქ. თბილისის მერიის აპარატი (შემდგომში - აპარატი) არის "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც ორგანიზაციულად უზრუნველყოფს ქ. თბილისის მთავრობის საქმიანობას.
2. აპარატი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონით, "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით, ამ დებულებითა და საქართველოს სხვა სამართლებრივი აქტებითა.
3. აპარატი ანგარიშვალდებულია ქ. თბილისის მერის წინაშე.
4. აპარატს აქვს ბლანკი, ბეჭედი და სხვა ოფიციალური რეკვიზიტები.
5. აპარატის დაფინანსება ხორციელდება ქ. თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე.

**თავი II. აპარატის ძირითადი ამოცანები და კომპეტენცია**

**მუხლი 2.**

აპარატის ძირითადი ამოცანებია:

ა) ქ. თბილისის მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული, სამართლებრივი, საინფორმაციო და მატერიალურ-ტექნიკური მომსახურება;

ბ) აპარატის საქმიანობის გამჭვირვალობის მიზნით საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

გ) ქ. თბილისის მერიასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის კოორდინაცია;

დ) ქ. თბილისის მერიისა და მთავრობის ხელმძღვანელობის სამართლებრივი აქტებისა და დავალებების შესრულების კოორდინაცია და კონტროლი;

ე) ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურებისა და ადმინისტრაციული ერთეულების მმართველობის ორგანოებისათვის სარეკომენდაციო და მეთოდური დახმარების გაწევა;

ვ) აპარატში ერთიანი საქმისწარმოების ორგანიზება;

ზ) საიდუმლო საქმისწარმოების განხორციელება, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის ინფორმაციასთან და დოკუმენტაციასთან დაკავშირებით საიდუმლოების რეჟიმის უზრუნველყოფა;

თ) მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

ი) საკადრო რესურსების მართვა;

კ) სამოქალაქო თავდაცვისა და სამობილიზაციო საქმიანობის კოორდინაცია;

ლ) ქ. თბილისის მერიისა, და მთავრობის საქმიანობის შესახებ ოფიციალური ინფორმაციის ოპერატიული გავრცელება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით;

მ) საგარეო ურთიერთობათა პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებათა შემუშავება და გატარება.

**მუხლი 3.**

1. აპარატის უფლებამოსილებებს განეკუთვნება:

ა) ქ. თბილისის მერის, პრემიერისა და პრემიერის მოადგილეების სახელზე შემოსული მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრების, მიმართვების, ოფიციალური კორესპონდენციის აღრიცხვა, რეგისტრაცია და დანიშნულებისამებრ განსახილველად გადაცემა;

ბ) ქ. თბილისის მთავრობის სხდომების, მერის, და მთავრობის ხელმძღვანელთა თათბირების ორგანიზაციული და დოკუმენტური უზრუნველყოფა;

გ) ქ. თბილისის მერის პრემიერის, მთავრობისა და აპარატის უფროსის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების რეესტრის წარმოება;

დ) კომპეტენციის ფარგლებში, მიმდინარე საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, წინადადებების მომზადება და მათი შესაბამისი თანამდებობის პირებისათვის განსახილველად წარდგენა;

ე) მონაწილეობის მიღება ქ. თბილისის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებაში;

ვ) არსებული ნორმატივებისა და გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში ქალაქ თბილისის მერიის, აპარატისა და მათი მოსამსახურეების საფინანსო მომსახურებით უზრუნველყოფა;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საკადრო რესურსების მართვის სისტემის ჩამოყალიბება, თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში საკადრო პოლიტიკის განსაზღვრა და შესაბამისი წინადადებების მომზადება და კადრების შერჩევა;

თ) დადგენილი წესით ურთიერთობის დამყარება სხვადასხვა ქალაქების ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან;

ი) ქ. თბილისის დაძმობილებულ ქალაქებთან სამართლებრივ-ეკონომიკური, კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობების განვითარება;

კ) პრესკონფერენციებისა და ბრიფინგების მომზადება, ქალაქ თბილისის მერიაში აკრედიტებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებთან კოლეგიალური ურთიერთთანამშრომლობა;

ლ) ქალაქში არსებული პრობლემატიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე სემინარების, კონფერენციებისა და სხვა სახის ღონისძიებათა ორგანიზება;

მ) ქალაქ თბილისის მერისა და მთავრობის ხელმძღვანელობის ცალკეულ დავალებათა შესრულების უზრუნველყოფა;

ნ) დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშების მომზადება და ყველა სათანადო ინფორმაციის დროულად წარდგენა ქ. თბილისის მერთან და პრემიერთან;

ო) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

**თავი III. აპარატის ხელმძღვანელობა**

**მუხლი 4.**

1. აპარატს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქ. თბილისის მერი.
2. აპარატის უფროსი იღებს გადაწყვეტილებებს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე.
3. აპარატის უფროსი:

ა) ქ. თბილისის მერს დასამტკიცებლად წარუდგენს აპარატის საშტატო ნუსხას;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს - განკარგულებას;

გ) აპარატის უფროსის მოადგილისა და აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების (განყოფილებების) ხელმძღვანელების მეშვეობით წყვეტს შესაბამისი, სტრუქტურული ქვედანაყოფების (განყოფილებების) საქმიანობის სფეროსათვის მიკუთვნებულ საკითხებს;

დ) ქ. თბილისის მერსა და მთავრობას წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს აპარატის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

ე) მოქმედებს აპარატის სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობებში;

ვ) ქ. თბილისის მერს დასამტკიცებლად წარუდგენს აპარატის უფროსის მოადგილის კანდიდატურას;

ზ) ქ. თბილისის მთავრობაში შეაქვს წინადადება აპარატის წლიური ხარჯების საკითხებზე და აუცილებლობის შემთხვევაში დამატებითი ხარჯების გამოყოფის თაობაზე;

თ) წინადადებით მიმართავს ქ. თბილისის მერს აპარატის საქმიანობის სფეროსათვის მიკუთვნებული ცალკეული საკითხის გადასაწყვეტად დროებითი სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ;

ი) იღებს გადაწყვეტილებებს და პასუხს აგებს აპარატისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე;

კ) პასუხისმგებელია აპარატის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერებასა და მიზანშეწონილობაზე;

ლ) მიღებული საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში ვალდებულია უზრუნველყოს აპარატის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და განვითარება, აპარატში დასაქმებულ მოსამსახურეთა სტიმულირება და სოცილური დაცვა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

4. აპარატის უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელსაც აპარატის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქ. თბილისის მერი;

3. აპარატის უფროსის მოადგილე:

ა) ასრულებს აპარატის უფროსის მოვალეობებს მისი არყოფნის პერიოდში;

ბ) ასრულებს აპარატის უფროსის ცალკეულ დავალებებს;

გ) წარმართავს საქმიანობას წინამდებარე დებულებითა და ქ. თბილისის მერის მიერ ფუნქციათა განაწილებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

**თავი IV. აპარატის სტრუქტურა**

**მუხლი 5.**

აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) იურიდიული განყოფილება;
ბ) საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილება;
გ) მედიასთან ურთიერთობის განყოფილება;
დ) საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება;
ე) საკადრო რესურსების განყოფილება;
ვ) საიდუმლო-სამობილიზაციო განყოფილება;
ზ) კონტროლის განყოფილება;
თ) საქმისწარმოების განყოფილება;
ი) კორესპონდენციის განყოფილება;
კ) აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილება;
ლ) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება;
მ) კომპიუტერული უზრუნველყოფის განყოფილება;
ნ) მოქალაქეთა მიღების განყოფილება;
ო) მერის სამდივნო;
პ) პრემიერის სამდივნო;
ჟ) ვიცე-პრემიერის სამდივნო;
რ) პრემიერის მოადგილის სამდივნო;

**მუხლი 6.**

1. აპარატის სტრუქტურული ერთეულების (განყოფილების) ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია აპარატის უფროსის წინაშე.

**თავი V. აპარატის ქონება**

**მუხლი 8.**

აპარატის ქონება შეადგენს ქ. თბილისის ადგილობრივ საკუთრებას. ამასთან, მის მფლობელობაში არსებული ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, აგრეთვე ფინანსური რესურსები აისახება მერიის ბალანსზე.

**თავი VI. აპარატის სიმბოლოები**

**მუხლი 9.**

1. აპარატს შეუძლია გამოიყენოს ქ. თბილისის ემბლემა, რომელიც დამტკიცებული და რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. ქ. თბილისის ემბლემა შეიძლება გამოყენებულ იქნეს აპარატის სავიზიტო ბარათებსა და სხვა ბეჭდვით გამოცემებზე.

**თავი VII. დასკვნითი დებულებანი**

**მუხლი 10.**

1. ამ დებულების გაუქმება ან მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. აპარატის რეორგანიზაცია ან მისი გაუქმება ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიფ GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ახალციხის რაიონის სოფელ საძელის წყალსადენის რეკონსტრუქცია.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ახალციხის რაიონის საძელის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **საძელის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო ახალციხის რაიონი, სოფელ საძელის გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი:პაიწარ მინასიანი, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2006 წლის 19 იანვრიდან,** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) **10-დან 18 საათამდე.** საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **5 500** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო ახალციხის რაიონი, სოფელ საძელის გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი:პაიწარ მინასიანი, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2006 წლის 17 თებერვლის 13:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ადიგენის რაიონის სოფელ ბოლაჯურის წყალსადენის რეკონსტრუქცია.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ადიგენის რაიონის ბოლაჯურის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **ბოლაჯურის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო ადიგენის რაიონი, სოფელ ბოლაჯურის გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი:ხარება ჩხიტუნიძე, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2006 წლის 18 იანვრიდან,** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) **10-დან 18 საათამდე.** საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3 500** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო ადიგენის რაიონი, სოფელ ბოლაჯურის გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი:ხარება ჩხიტუნიძე, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2006 წლის 16 თებერვლის 15:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ახალციხის რაიონის სოფელ წყრუთის სკოლის რემონტი.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ახალციხის რაიონის წყრუთის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **წყრუთის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო ახალციხის რაიონი, სოფელ წყრუთის გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი:ხაჩატურ ჩახოიანი, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2006 წლის 19 იანვრიდან,** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) **10-დან 18 საათამდე.** საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 500** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო ახალციხის რაიონი, სოფელ წყრუთის გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი:ხაჩატურ ჩახოიანი, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2006 წლის 17 თებერვლის 15:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N 15) აცხადებს ტენდერს სამგზავრო ვაგონების მოდერნიზაციის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე : ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის N3407003205, და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფია გამზ. N 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

| ლოტი | | მომსახურების დასახელება | განზომილება | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| ლოტი 1 | 1 | გერმანული წარმოების 47 K ტიპის ЦМВ კუპირებული ვაგონების კაპიტალური აღდგენითი რემონტი, კომბინირებული გათბობის სისტემებით * | ცალი | 9 |
| | 2 | გერმანული წარმოების 47 Д ტიპის ЦМВ [illegible] მოწყობისა და კონდიცირების სისტემებით აღჭურვილი კუპირებული ვაგონების კაპიტალური აღდგენითი რემონტი, კომბინირებული გათბობის სისტემებით * | ცალი | 1 |
| | 3 | პლაცკარტის ტიპის ვაგონის ЦМВО -ან მოდერნიზაცია [illegible] მოწყობისა და კონდიცირების სისტემებით აღჭურვილ საქალაქთაშორისო ვაგონად დასაჯდომი ადგილებით და კომბინირებული გათბობის სისტემებით | ცალი | 9 |
| | 4 | ЦМВ გერმანული წარმოების CK/k ტიპის ვაგონ-რესტორნის კაპიტალური აღდგენითი რემონტი [illegible] კონდიცირებითა და კომბინირებული გათბობის სისტემებით | ცალი | 1 |

* იგულისხმება "ტრანსფორმერის" ტიპის კუპირებულ ვაგონებად გადაკეთება 6 დასაჯდომი, 4 დასაწოლი და 2 დასაწოლი სამგზავრო ადგილების ერთდროული გამოყენების შესაძლებლობებით.

2. მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი.

3. მიწოდების სასურველი ვადები: შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 1 ივნისამდე.

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 2 და 3 თებერვალს 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, თამარ მეფია გამზ. N 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის :

1. სარეგისტრაციო დოკუმენტები და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან
2. ცნობა შესაბამისი ორგანოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, ასევე არ ხდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.
3. შესაბამისი სამუშაოს შესრულების ლიცენზია
4. მაგისტრალური სამგზავრო ვაგონების რემონტისა და ვარგისიანობის არანაკლებ 23 წლით გაგრძელების მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა.
5. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა.

ფიზიკური პირებისათვის :

1. ცნობა შესაბამისი ორგანოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება
2. შესაბამისი სამუშაოს შესრულების ლიცენზია
3. მაგისტრალური სამგზავრო ვაგონების რემონტისა და ვარგისიანობის არანაკლებ 23 წლით გაგრძელების მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა.
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა.

ვაგონების მოდერნიზაცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს :

მოდერნიზაციის დროს გამოყენებული უნდა იქნას სახელმძღვანელო კაპიტალური აღდგენითი სამუშაოების ჩატარების შესახებ N РК32 ВНИИЖТ/ПКБ ЦЛ 001095 04,09,1995 დამტკიცებული МПС РФ მიერ. ასევე ТУ У32 01116130.331-99 დამტკიცებული ДГТУЖТ მიერ 1999 წლის 23 დეკემბერს.

მაგისტრალური სამგზავრო ვაგონების ვარგისიანობის არანაკლებ 23 წლით გაგრძელება.

სამუშაოს შესრულების ხარისხი და საგარანტიო მომსახურება 2 წლის განმავლობაში (პირველ სადეპოო შეკეთებამდე)

შემსყიდველის პერსონალის გადამზადება მოდერნიზებული ვაგონების მომსახურებისათვის

ვაგონების კონდიცირების თანამედროვე სისტემებით აღჭურვა.

ვაგონის ძარის ანტიკოროზიული დამუშავება

ვაგონების ხანძარსაწინააღმდეგო სისიტემებით აღჭურვა (მოდერნიზებისას ძნელადაალებადი მასალების გამოყენება)

ახალი ტიპის ფანჯრების დამონტაჟება

ახალი მართვის პულტისა და ელექტრომოწყობილობების მონტაჟი

ვაგონების დასაჯდომი ადგილებისათვის გამძლე და ხარისხიანი მასალების გამოყენება.

6. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქარტველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში , ტელ 56 33 51, 893-24-32-24

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ცენტრი" ატარებს კომერციულ კონკურსს საზოგადოების ბალანსზე რიცხული გამოუყენებელი არასაცხოვრებელი ფართის იჯარის ფორმით გაცემაზე

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს რეზიდენტ, არარეზიდენტ პირებს.

ინფორმაცია საკონკურსო ობიექტების შესახებ:

მეიჯარე - შპს "საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ცენტრი"

მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 31

იჯარით გაიცემა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ცენტრი"-ს ბალანსზე რიცხული რუსთაველის გამზირის № 31-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართები:

1. ფართის ოდენობა - 41,5 კვმ; ფართის განთავსების ადგილი - V სართული; ფართის დანიშნულება - სამეწარმეო საქმიანობა; ქირის ოდენობა - საწყისი სარეკომენდაციო სასტარტო ფასი - 498 აშშ დოლარის ეკვივალენტი ყოველთვიურად დღგ-ს ჩათვლით; იჯარის ხანგრძლივობა - 5 წელი.

2. ფართის ოდენობა - 32,6 კვმ; ფართის განთავსების ადგილი - VI სართული; ფართის დანიშნულება - სამეწარმეო საქმიანობა; ქირის ოდენობა - საწყისი სარეკომენდაციო სასტარტო ფასი - 391,20 აშშ დოლარის ეკვივალენტი ყოველთვიურად დღგ-ს ჩათვლით; იჯარის ხანგრძლივობა - 5 წელი.

3. ფართის ოდენობა - 31 კვმ; ფართის განთავსების ადგილი - VI სართული; ფართის დანიშნულება - სამეწარმეო საქმიანობა; ქირის ოდენობა - საწყისი სარეკომენდაციო სასტარტო ფასი - 372 აშშ დოლარის ეკვივალენტი ყოველთვიურად დღგ-ს ჩათვლით; იჯარის ხანგრძლივობა - 5 წელი.

4. ფართის ოდენობა - 23,4 კვმ; ფართის განთავსების ადგილი - VI სართული; ფართის დანიშნულება - სამეწარმეო საქმიანობა; ქირის ოდენობა - საწყისი სარეკომენდაციო სასტარტო ფასი - 280,80 აშშ დოლარის ეკვივალენტი ყოველთვიურად დღგ-ს ჩათვლით; იჯარის ხანგრძლივობა - 5 წელი.

5. ფართის ოდენობა - 25 კვმ; ფართის განთავსების ადგილი - VI სართული; ფართის დანიშნულება - სამეწარმეო საქმიანობა; ქირის ოდენობა - საწყისი სარეკომენდაციო სასტარტო ფასი - 300 აშშ დოლარის ეკვივალენტი ყოველთვიურად დღგ-ს ჩათვლით; იჯარის ხანგრძლივობა - 5 წელი.

6. ფართის ოდენობა - 24 კვმ; ფართის განთავსების ადგილი - VI სართული; ფართის დანიშნულება - სამეწარმეო საქმიანობა; ქირის ოდენობა - საწყისი სარეკომენდაციო სასტარტო ფასი - 288 აშშ დოლარის ეკვივალენტი ყოველთვიურად დღგ-ს ჩათვლით; იჯარის ხანგრძლივობა - 5 წელი.

7. ფართის ოდენობა - 38,2 კვმ; ფართის განთავსების ადგილი - VI სართული; ფართის დანიშნულება - სამეწარმეო საქმიანობა; ქირის ოდენობა - საწყისი სარეკომენდაციო სასტარტო ფასი - 458,40 აშშ დოლარის ეკვივალენტი ყოველთვიურად დღგ-ს ჩათვლით; იჯარის ხანგრძლივობა - 5 წელი.

8. ფართის ოდენობა - 48,76 კვმ; ფართის განთავსების ადგილი - VI სართული; ფართის დანიშნულება - სამეწარმეო საქმიანობა; ქირის ოდენობა - საწყისი სარეკომენდაციო სასტარტო ფასი - 585 აშშ დოლარის ეკვივალენტი ყოველთვიურად დღგ-ს ჩათვლით; იჯარის ხანგრძლივობა - 5 წელი.

9. ფართის ოდენობა - 50 კვმ; ფართის განთავსების ადგილი - VI სართული; ფართის დანიშნულება - სამეწარმეო საქმიანობა; ქირის ოდენობა - საწყისი სარეკომენდაციო სასტარტო ფასი - 600 აშშ დოლარის ეკვივალენტი ყოველთვიურად დღგ-ს ჩათვლით; იჯარის ხანგრძლივობა - 5 წელი.

10. ფართის ოდენობა - 24 კვმ; ფართის განთავსების ადგილი - VI სართული; ფართის დანიშნულება - სამეწარმეო საქმიანობა; ქირის ოდენობა - საწყისი სარეკომენდაციო სასტარტო ფასი - 432 აშშ დოლარის ეკვივალენტი ყოველთვიურად დღგ-ს ჩათვლით; იჯარის ხანგრძლივობა - 5 წელი.

ფართის იჯარით გაცემის საკონკურსო პირობები:

მოიჯარის მიერ ყოველთვიურად საიჯარო ქირის 100% გადახდა (კომუნალურ გადასახადებთან ერთად);

საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ იჯარით გაცემული ფართი უბრუნდება მეიჯარეს;

ფართის გამოყენება მხოლოდ და მხოლოდ კონკურსში გამოცხადებული მიზნობრივი დანიშნულებისათვის;

საჭიროების შემთხვევაში რემონტის ჩატარება საკუთარი ხარჯებით;

ქირის ოდენობაში მითითებული ფასები შეიცავს დღგ-ს.

განსაკუთრებული პირობა: საწარმოს (მეიჯარის) პრივატიზების შემთხვევაში საწარმოს მყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს სოაწარმოს პრივატიზებამდე საწარმოს ძირითადი საშუალების დროებით სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულებები) ყოველგვარი კომპენსაციისა და ჯარიმების გარეშე.

მოიჯარის სამეწარმეო საქმიანობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს შენობის ფუნქციურ დანიშნულებას.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება წარმოებს კონკურსის ჩატარების თარიღამდე ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში 15-დან 17 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს 17 სააათზე. კონკურსი ჩატარდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ცენტრი"-ს შენობაში 2006 წლის 14 თებერვალს 17 საათზე. მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 31 VII სართული.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;

ბ) ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი ფინანსური წინადადება მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ;

გ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ცენტრი"-ს ა/ანგარიშზე (სსკბ "ბაზისბანკი", ა/ა 134048 კოდი 220101956, საიდენტიფიკაციო კოდი 203825851), "ბე"-ს შეტანის ქვითარი, რომლის ოდენობა შეადგენს საწყისი სარეკომენდაციო ფასის 50%-ს ეროვნულ ვალუტაში;

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები და ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ე) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტების ასლებს.

შენიშვნა: თითოეული კონკურსანტი, კონკურსის ჩატარების დროს, ესწრება მხოლოდ მის მიერ წარმოდგენილი დალუქული კონვერტის გახსნას.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და საიჯარო ქირის მაქსიმალური ოდენობის გადახდა.

*საკონტაქტო ტ. 988690; 988660; მობ. 8(77) 422 790.*

*შპს "საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ცენტრი"-ს ადმინისტრაცია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, ქ. თბილისი, 0105, ლერმონტოვის ქ.N10, 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში მუხლი "სხვა საქონელი და მომსახურება", "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ღია ტენდერს საავტომობილო საწვავის შესასყიდად და გიწვევთ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად შემდეგი სახის საქონლის შესყიდვაზე:

| N | დასახელება | განზომილება | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | ბენზინი АИ [illegible] | ლიტრი | 56700 |

საწვავი უნდა მიეწოდოს ენერგეტიკის სამინისტროს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურებიდან ტალონური სისტემით მოთხოვნისამებრ, ხელშეკრულების დადების დღიდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

3. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად;

4. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 1 თებერვლიდან 6 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქუჩა. N10. მე-4 სართული, სამინისტროს კანცელარია.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. **იურიდიული პირებისათვის**:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება ტენდერში მონაწილე პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ ტენდერში მონაწილე პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილე პირის ხელმძღვანელი ან ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

5.2 **ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ სასამართლის მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

5.3. **როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ცნობა, საგადასახადო ორგანოდან, ბიუჯეტთან ვალდებულების შესახებ.

6. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს მათი შესაბამისობა მოთხოვნილ დოკუმენტაციებთან.

7. სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის თუ პრეტენდენტი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მითითებულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნულ პუნქტში დადგენილ მოთხოვნებს.

8. წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შეფასდება შემდეგი პრიორიტეტულობის კოეფიციენტების მიხედვით:

| N | შეფასების კრიტერიუმები | პრიორიტეტულობის კოეფიციენტები |
|---|---|---|
| 1. | ფასი | 0,60 |
| 2. | ავტოგასამართი სადგურების ქსელი (რაოდენობა) | 0,25 |
| 3. | დამატებითი მომსახურება (რეცხვა, ზეთის შეცვლა, ვულკანიზაცია და სხვა) | 0,15 |
| | | სულ: 1.0 |

9. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მითითებულ შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ შეეძლებათ 13 იანვრიდან 6 თებერვლის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქუჩა N10, მე-3 სართულზე, სატენდერო კომისიის აპარატი.

10. პრეტენდენტის მიერ საავანსო გადახდის მოთხოვნის შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, მისამართზე: საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქუჩა. N10, ქეთი მშვიდობაძე
ტელ: 99-53-10.

12. ტენდერში მონაწილეობის მსურველმა სატენდერო მოსაკრებელი უნდა გადაიხადოს შემდეგ ანგარიშზე ა/ა 200122900 (ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერის მოსაკრებელი). **საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სატენდერო კომისია**

---

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს კონკურსს სოციალური მუშაკის ვაკანტურ თანამდებობაზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იწვევს შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პირებს "ოჯახის თანადგომისა და შვილობილობის" ქვეპროგრამის სოციალური მუშაკის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

პროგრამა ითვალისწინებს მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის ოჯახური გარემოს შექმნას, ბავშვთა სახლების აღსაზრდელთა ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებას, ან მათ ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში განთავსებას (მიმღებ ოჯახებში შვილობილად).

სამუშაო პირობები:

**- სამუშაო ადგილი: თბილისი - 1 ვაკანსია; თელავი - 1 ვაკანსია; ბათუმი - 1 ვაკანსია; ქუთაისი - 2 ვაკანსია.;**

**- თვიური ანაზღაურება - 350 ლარი.**

**- ძირითადი მოვალეობები: სოციალური მუშაკი რჩევას აძლევს და თანადგომას აღმოუჩენს იმ ოჯახებს, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ შვილების ბავშვთა სახლებში ჩაბარება. სოციალური მუშაკი ეხმარება ინსტიტუციებში მცხოვრები ბავშვების დაბრუნებას ბიოლოგიურ ოჯახებში და ცდილობს მოიზიდოს ალტერნატიული ოჯახები, თანადგომა აღმოუჩინოს მათ, რათა იზრუნონ იმ ბავშვებზე, რომლებიც ვერ უბრუნდებიან საკუთარ ოჯახებს.**

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**- უმაღლესი განათლება (სამედიცინო, პედაგოგიური, ფსიქოლოგიური ან იურიდიული);**
**- ბავშვებთან და ოჯახებთან მუშაობის გამოცდილება;**
**- ორგანიზატორული ნიჭი;**
**- ბავშვთა უფლებების კონვენციის ცოდნა;**
**- სასურველია, ჰქონდეს კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება;**
**- სასურველია, ინგლისური ენის ბაზისური ცოდნა.**

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა, წარმოადგინოთ შემდეგი საბუთები:

**- უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი;**
**- ავტობიოგრაფია (Resume/CV);**
**- სამოტივაციო წერილი;**
**- დახასიათება (მიუთითოთ იმ პირთა საკონტაქტო მისამართები, რომლებიც რეკომენდაციას გაგიწევენ).**

**შენიშვნა:** ავტობიოგრაფია **(Resume/CV)** უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს: ბიოგრაფიული მონაცემები (სახელი, გვარი, საკონტაქტო მისამართი, ტელეფონი, დაბადების თარიღი, ოჯახური მდგომარეობა), განათლება, დამატებითი კვალიფიკაცია (ტრეინინგები, გადასამზადებელი კურსები), პროფესიული გამოცდილება (სამუშაო ადგილი, დაკისრებული მოვალეობები), უცხო ენისა და კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა და უნარ-ჩვევები, პირადი ხელმოწერა.

**საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 23 იანვარი.**

საბუთების მიღება წარმოებს მისამართზე: თბილისი, დ. უზნაძის ქ.52 - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საშვთა ბიურო.. **საკონტაქტო პირები: ნანა ყუფუნია,** ტელეფონი: + 995 22 95 92 43 **ეთერ ცხაკაია** ტელეფონი: +995 99 51 48 03, + 995 22 95 99 21.

---

**06.01.2006 ტრენერების შესარჩევი კონკურსი საქართველოს განათლების სისტემაში ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის ფონდი „ირმის ნახტომი" აცხადებს ტრენერების შესარჩევ კონკურსს. კონკურსში გამარჯვებულ ტრენერებს დაევალებათ სხვადასხვა საგნების მასწავლებელთათვის ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების ბაზისური კურსის ჩატარება საქართველოს შემდეგ ქალაქებში: თბილისი, გორი, თელავი, ქუთაისი, ზუგდიდი, ბათუმი, ქობულეთი, ფოთი, ოზურგეთი. ტრენერების შერჩევისას უპირატესობა მიენიჭება ადგილობრივ კადრებს. შერჩევა სამ ტურად განხორციედება: I ტური- წერითი ტესტირება, II- გასაუბრება, III- 8 დღიანი სპეციალური მომზადების კურსი. ბოლო დღეს ჩატარდება გამოცდა. გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში შერჩეული ტრენერები მივლინებულ იქნებიან სკოლებში ტრენინგების ჩასატარებლად. ძირითადი მოვალეობები:**

**პროგრამის ფარგლებში ტრენერი იმუშავებს შემდეგი ამოცანების გადასაჭრელად:**
**- ტრენინგების ჩატარება მასწავლებლებისათვის;**
**- ჩატარებული ტრენინგების ანალიზი და შეფასება;**
**- კვლევების ჩატარება ( დაკვირვება, ინტერვიუ ) და რეკომენდაციების შემუშავება სატრენინგო პროგრამისა და სახელმძღვანელოს გაუმჯობესების მიზნით (საჭიროებისდა მიხედვით);**
**- სატრენინგო მასალების შემდგომი სრულყოფა და განვითარება;**
**- ფონდ „ირმის ნახტომის" გამართულ სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა.**

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
**- უმაღლესი ტექნიკური განათლება;**
**- ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საფუძვლის ცოდნა, მათი აქტიურად გამოყენების და სხვებისთვის გადაცემის უნარი;**
**- სწავლების თანამედროვე მეთოდების ცოდნა;**
**- ტრენინგების ჩატარების გამოცდილება;**
**- სასწავლო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინტეგრირების განვითარებული ხედვა.**

**კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა წარმოადგინოთ პროფესიული ავტობიოგრაფია (CV) ფონდ „ირმის ნახტომში" (ავტობიოგრაფია შეგიძლიათ გამოაგზავნოთ ელ.ფოსტაზე: info@dlf.ge).**

**საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 20 იანვარი, 17:00 საათი.**

**მისამართი: ფონდი „ირმის ნახტომი", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დ.უზნაძის ქ.N52, თბილისი 0102, საქართველო, ოთახი 325. www.dlf.ge ელექტრონული ფოსტა: info@dlf.ge**

---

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის სამსახური (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედეგენის ინტელექტუალური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. შესყიდვა განხორციელდება შემდეგი ლოტების შესაბამისად.

**ლოტი N1** აღმაშენებლის ქუჩიდან (კობალაძისა და შ. ხიმშიაშვილის ქუჩების გავლით) ფიროსმანის ქუჩამდე წყალმომარაგების მაგისტრალის მოწყობის, N2 სატუმბო სადგურის რეაბილიტაციის, ხიმშიაშვილის ქუჩაზე ფეკალური კანალიზაციის სისტემების რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე;

**ლოტი N2** ერისთავის ქუჩის რეკონსტრუქციისა და კობალაძის ქუჩის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე;

**ლოტი N3** ლერმონტოვის, გ. ბრწყინვალესა და შავშეთის ქუჩების სანიაღვრე სისტემების რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე;

**ლოტი N4** სულაბერიძის ქუჩაზე მწვანე გაზონის (განათებითა და გამწვანებით) მოწყობის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე;

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს ერთი თვე.

3. დაინტერესებულმა პირებმა პირველად სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით).

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

ბ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

გ) ლიცენზია შესაბამისი სამუშაოების განხორციელებაზე;

დ) ინფორმაცია ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ.

ე) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

ვ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიობის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე

6. პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირველადი სატენსერო წინადადება ღირებულების გარეშე.

**7. ინსტრუქცია პირველადი სატენდერო წინადადების შედგენის წესის შესახებ:**

პირველადი სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე;

პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონცემებთან ერთად ერთი დახურული კონვერტით;

პირველადი სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი უნდა იქნას ზოგადი მონაცემები საპროექტო სამუშაოების შესახებ (თუ როგორ განახორციელებენ აღნიშნულ საპროექტო სამუშაოებს), რომლის საფუძველზეც შემდგომში შესაძლებელია სატენდერო დოკუმენტაციის და ტექნიკური პირობების დაზუსტება.

8. განაცხადი, პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 6 თებერვლიდან 2006 წლის 7 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25, საქალაქო მეურნეობის სამსახური.

9. სატენდერო კომისიაში შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები საექსპერტო დასკვნისათვის წარედგინება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიას, რომლის დასკვნაც წარმოადგენს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა შერჩევის საფუძველს.

10. სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებით და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბემებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს და იქნება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს დადებითი დასკვნა.

11. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 6 თებერვლამდე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, ბანკის კოდი 220501102, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

12. ტენდერში ლოტების მიხედვით შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

13 დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - არმაზ ვარშალომიძე, ტ. 7-66-40, მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

სატენდერო კომისია

# კულტურული შოკის მზადებაში

სოფო კილასონია

14 იანვარი, ქართული თეატრის დღე ახლოვდება. ამ თარიღისთვის დაგეგმილი რამდენიმე თეატრალური ღონისძიების შესახებ უკვე ცნობილია, მაგრამ ყველაზე გამორჩევით ჩვენს ყურადღებას, ალბათ, ამ ეტაპზე კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის დრამატული თეატრის ასმეოცე დაბადების დღე იქცევს. სოხუმის თეატრის საიუბილეო დღე, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში აღინიშნება. ამ ღონისძიებისთვის სოხუმის დრამატული თეატრის დასზე მეტად, მგონი, ოპერისა და ბალეტის თეატრი ემზადება. ერთი წლის წინ აღებულ მიზანს - გახდეს ქართული თეატრის მედროშე, ფალიაშვილის სახელობის თეატრი და მისი ხელმძღვანელობა არ ივიწყებს და მის მისაღწევად აქტიურ სვლებს აკეთებს.

გუშინ საღამოს ოპერის თეატრში ყველაზე ხშირად მოგონებები ისმოდა, ოღონდაც მათი თემა ყველასთვის ერთი იყო და ეს აფხაზეთი გახლდათ. მისი კურორტები, მეგობრები, მოკლედ დრო, რომელიც საყვარელ სანაპიროებთან გაატარეს. ეს ნოსტალგია განსაკუთრებით მძაფრად მაინც დავით საყვარელიძემ გაგვიზიარა, რომელიც 14 იანვრისთვის განსაკუთრებულად სიამაყით ემზადება.

**- რატომ ტარდება ეს ღონისძიება ოპერისა და ბალეტის თეატრში?**

- იმიტომ, რომ ჩვენ ჩავუდექით ამ საქმეს სათავეში. ამიერიდან ოპერის თეატრი უნდა იყოს ყველა სახელმწიფოებრივ ღონისძიებაში პირველი და მედროშე ჩვენი ქართული თეატრისა. ჩვენ, ყველა აქ მოღვაწე ადამიანმა ეს მყარად გადავწყვიტეთ. თოთხმეტში იქნება მილოცვა, - თეატრის მოღვაწეთა კავშირი გურამ ოდიშარიას პიესაზე თემურ ჩხეიძის მიერ დადგმულ ახალ სპექტაკლს "ზღვა, რომელიც შორია" დააჯილდოვებს. სოხუმის თეატრის დასის რამდენიმე წარმომადგენელი ღირსების ორდენით დაჯილდოვდება. საღამოს წამყვანი და დამდგმელი რეჟისორი ბატონი გოგი ქავთარაძე გახლავთ. მოწვეულები არიან ყველა თეატრის წარმომადგენლები, ასევე სტუმრები რუსეთიდან, აფხაზეთიდან, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მოვიწვიეთ... კონცერტს გამართავენ ჩვენი თეატრის სოლისტები, ისინი, ვისაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა სოხუმის თეატრთან და ზოგადად, თეატრის მოღვაწეთა კავშირთან და ასევე ჩვენი წარმატებული ახალგაზრდა ვოკალისტები. მთავარი აქცენტი ქართულ რეპერტუარზე შევაჩერეთ, თუმცა ახალგაზრდები იტალიურ, პოპულარულ არიებსაც შეგვისრულებენ. ამას გარდა, წარმოდგენილი იქნება ნაწყვეტი თემურ ჩხეიძის ახალი სპექტაკლიდან. ისე კი, მსოფლიომ უნდა გაიგოს, რომ ჩვენ 120 წლის წინ გვქონდა დრამატული თეატრი...

საიუბილეო საღამოში მონაწილეობას სხვა დრამატული თეატრები არ მიიღებენ, მიუხედავად იმისა, რომ მათგან ამის ინიციატივა ყოფილა. დავით საყვარელიძემ სიცილით მითხრა, რომ ოპერის თეატრის დასმა საკუთარი სცენა სხვას არავის დაუთმო და მასპინძლის პრივილეგია ხელიდან არ გაუშვეს. ის ვინც 14 იანვარს ოპერის თეატრში ვერ მოხვდება, კონცერტს თვალს საზოგადოებრივი მაუწყებლობის მეორე არხზე მიადევნებს.


ბიჭვინთა

- ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რას წარმოადგენს სოხუმის დრამატული თეატრის დასი. რამდენიმე წლის წინ მე ვიმუშავე ამ დასთან და ჩემთვის ეს ძალიან დიდი გამოცდილება იყო, ეს უნიკალური და ძალიან ძლიერი დასია. იგი უაღრესად საინტერესოა და მოგეხსენებათ, რომ ძალიან ცნობილ მსახიობებს წარმოადგენს. მათ დღეს ძალიან უჭირთ. სჭირდებათ ადგილი, სადაც სისტემატურად იმუშავებენ. სხვათა შორის, სწორედ ჩვენ ძალიან აქტიურად ჩავერთვებით აფხაზეთის მშვიდობიანი გზით დაბრუნებაში...

**- ეს ნიშნავს, რომ თქვენ სხვა პროექტებიც გაქვთ?**

- რა თქმა უნდა. აფხაზეთის მთავრობასთან ერთად, ჩვენი სამხატვრო ხელმძღვანელის ზაზა აზმაიფარაშვილისა და დირიჟორ გოგი ჭიჭინაძის თაოსნობით დაიბადა იდეა, შექმნილიყო აფხაზეთის კამერული ორკესტრი, მაგრამ ახლა უკვე იქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი, როგორც აფხაზეთის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი. ეს იქნება აფხაზეთის სიმფონიური ორკესტრის გაგრძელება, მაგრამ ახალი სულისკვეთებით. იგი დაიდებს ბინას ჩვენს თეატრში, ჩვენი მუსიკოსები ახალი ორკესტრის წარმომადგენლებს დაეხმარებიან. ჯერჯერობით ოცკაციანი ჯგუფი შეიქმნება, რომელიც 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღეს გამართავს პირველ კონცერტს. ამ საქმეს ძალიან ბევრი ადამიანი გამოეხმაურა - აფხაზეთის კულტურის მინისტრი სალომე კაპანაძე, განსაკუთრებით გულისხმიერად მოეკიდა ირაკლი ალასანია და ჩვენი კულტურის სამინისტროც. კარგი იქნება კულტურული შოკით დავიბრუნოთ აფხაზეთი და ასეც მოვახერხებთ და არავითარ შემთხვევაში იარაღით.


სოხუმის დრამატული თეატრი.

## ბეჟარი დიდ ტურნეს იწყებს

"ბეჟარის ბალეტი ლოზანაში", თავად ქორეოგრაფის მეთაურობით, რომელიც ახლახან 79 წლის გახდა, 2006 წლის პირველ ნახევარში ფართო მასშტაბის მოგზაურობას გეგმავს. დასაწყისისთვის საფრანგეთის ათ ქალაქში გაემგზავრებიან, ტურნე ისევ საფრანგეთის დედაქალაქში დასრულდება და, როგორც გეგმავენ, ვერსალის სასახლეს მრავალფეროვან პროგრამას წარუდგენენ.

საგასტროლო პროგრამაში წარმოდგენილი იქნება მორის ბეჟარის ყველა ცნობილი დადგმა, თუმცა მაინც ახალ დადგმაზე გააკეთებენ აქცენტს. მაგალითისთვის 2005 წლის გაზაფხულზე განხორციელებულ "ცეკვასა და სიყვარულზე". ეს უკანასკნელი ნამდვილი ბესტსელერი გახდა გასული წლის სასცენო წარმოდგენებს შორის. ამას გარდა, თანამედროვე ბალეტის უკვე კლასიკოსის მორის ბეჟარის თაყვანისმცემლები კიდევ ერთხელ გადახედავენ ყველასთვის ცნობილ ისეთ დადგმებს, როგორებიცაა "გაზაფხულის საიდუმლო", "პრესბიტერი", "ბრელი და ბარბარა" და სხვა...

ტურნე დაიწყება 28 და 29 იანვარს და მაისის ბოლომდე გაგრძელდება. ეს მოვლენა ნამდვილად იშვიათი შემთხვევაა, რადგან მორის ბეჟარს "სახლის", ლოზანას დატოვება დიდად არ ხიბლავს.

## ასი წელი მას შემდეგ

2006 წელი მთელი ფრანგული და არა მხოლოდ ფრანგული ხელოვნებისთვის განსაკუთრებულ წელიწადად მოინათლა. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ზუსტად ასი წელი შესრულდა პოლ სეზანის (1839-1906) გარდაცვალებიდან. მისმა მშობლიურმა პროვანსმა გამორჩეული ღონისძიებებით მიაგო პატივი ამ თარიღს, მაგრამ სეზანისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და მანიფესტები თურმე მხოლოდ ახლა იწყება. "2006 წელი, ეს სეზანის წელია", - განაცხადა საფრანგეთის კულტურის მინისტრმა პარიზში, გამოფენის გახსნაზე. ექპოზიციას ეწოდა პირობითი სახელი "სეზანი პროვანსში". საგამოფენო დარბაზში 110 ნამუშევარი გამოიფინა, მათ შორის ზეთითა და აკვარელით შესრულებული ნახატები. იგივე გამოფენა 29 იანვრიდან მსოფლიოს ყველაზე მაღალი დონისა და მასშტაბის რამდენიმე გალერეა-მუზეუმს ესტუმრება. პირველ რიგში კი სეზანის ტილოები პროვანსიდან ვაშინგტონის ნაციონალური ხელოვნების გალერეას დაამშვენებს.

## რობერტ ალტმანს ოსკარს გადასცემენ



ლეგენდარულ რეჟისორს, რობერტ ალტმანს კინემატოგრაფიაში მოღვაწეობისთვის საპატიო ოსკარს გადასცემენ. ალტმანი, რომელიც ახლა 80 წლისაა, ხუთჯერ იყო წარდგენილი ოსკარზე საუკეთესო რეჟისურისთვის, თუმცა ხუთივეჯერ პრიზის გარეშე დარჩა. მის გარდა ასეთ სიტუაციაში კიდევ ოთხი რეჟისორი აღმოჩნდა. ესენი არიან: მარტინ სკორსეზე, ალფრედ ჰიჩკოკი, კლარენს ბრაუნი და კინგ ვიდორი. ფილმები, რომლებმაც ალტმანს ოსკარის ნომინაციები მოუტანა არის: "შორთ ქატი", "გოსფორდ პარკი", "მოთამაშე", "მაში" და "ნეშვილი".

კინოაკადემიის პრეზიდენტმა სიდ გენისმა რობერტ ალტმანს ფილმის ოსტატი უწოდა და განაცხადა, რომ ის ნამდვილად იმსახურებს ამ ჯილდოს. ალტმანმა კარიერა დაიწყო დოკუმენტური და საგანმანათლებლო ფილმების გადაღებით. 1957 წლიდან კი უკვე მხატვრულ ფილმებს იღებს. ასაკოვანი რეჟისორი კიდევ გეგმავს კინოში მოღვაწეობის გაგრძელებას, მომავალ თვეში ის აპირებს დაიწყოს ფილმის გადაღება არტურ მილერის ნაწარმოების მიხედვით. საპატიო ოსკარს ალტმანს 5 მარტს, ოსკარების დაჯილდოების ცერემონიაზე გადასცემენ.

## მაიას ახალი აღმოჩენა

გვატემალაში, ერთ-ერთი პირამიდის გათხრების დროს, 2005 წლის აპრილში აღმოჩენილი იეროგლიფები მხოლოდ ახლა გაშიფრეს. მიხვდნენ, რომ ისინი მაიას უძველესი კულტურის დროინდელია და მათი ასაკი 2300 წელია. საოცარია, რატომ გაუჭირდათ მეცნიერებს ამ დასკვნის გამოტანა, როცა იეროგლიფები სწორედ იქ არის აღმოჩენილი, სადაც ამ კულტურის ფრესკების მთელი გალერეაა.

სხვადასხვა სახის რენტგენოგრამების შემდეგ დადგინდა, რომ წარწერები ბევრად უფრო ძველია, ვიდრე ის მოხატულობა, რომელზეც თითქოს ისინი იყო შესრულებული. თარიღი დააკონკრეტეს. სან-ბარტოლოს პირამიდის კედლებზე ათი იეროგლიფი ჩვ.წ.აღ-მდე II და III საუკუნეების მიჯნაზე შეუსრულებიათ.

მეცნიერებს უჭირთ მკრთალი შავი ხაზებიდან აზრის გამოტანა. ამბობენ, რომ დღეს ეს უკვე შეუძლებელია. თუმცა, გარკვეული ვარაუდები მაინც არის. მაგალითად, აღნიშნავენ, რომ ერთ-ერთი მათგანი "მმართველს", ანდა "უზენაესს" ნიშნავს. კიდევ ერთ მონახაზს ადამიანის ხელს ამსგავსებენ. ვარაუდი კიდევ ბევრია, თუმცა, მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ამ ეტაპზე ამ აღმოჩენას სულ სხვა ისტორიულ-ქრონოლოგიური და კიდევ სხვა, დეტალებზე დასული დატვირთვა აქვს.

სან-ბარტოლოს ინტერიერში აღმოჩენილი ეს იეროგლიფები ეჭვგარეშე მეტყველებენ იმაზე, რომ მაიას დამწერლობა ბევრად უფრო ძველია, ვიდრე ის აქამდე თარიღდებოდა.






# TV5MONDE

**16 იანვარი**

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 01.45(შვეიცარია), 04.00(აფრიკა), **05.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.20** ტელეტურიზმი. **09.25** ტელედილა. **11.30** ბიჭი და გოგო. სერიალი. **12.05** ჩვენი სახლი. **13.15** მოსამართლეები. დოკ. ფილმი. **16.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **17.30** ადამიანის შვილი. ტელესერიალი. **19.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.05** გადაცემა: თვალსაზრისი. 21.30. მხ ფილმი. სიარულის საუკეთესო მანერა. რეჟისორი კლოდ მილერი. 1975. **24.00** ბაქანი N1 ტელესერიალი. **02.15** გადაცემა: ყველას თავს ვერ მოაწონებ.

**17 იანვარი**

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 01.45(შვეიცარია), 04.00(აფრიკა), **05.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.20** ტელეტურიზმი. **09.25** ტელედილა. **07.30** ცის მბრძანებლის საავადმყოფო. დოკ. ფილმი. **11.30** ბიჭი და გოგო. მხ ფილმი. რეჟისორი გი.ა ლეპაჟი. 2004 **12.05** ჩვენი ბაღი. **13.15** მოსამართლეები. დოკ. ფილმი. **16.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **17.30** ზაზი მეტროში. მხ ფილმი. რეჟისორილუი მალე. 1960. **19.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **21.30** ლაგარდერი. მხ ფილმი. რეჟისორი ანრი ელმანი.2003. **24.00** გადაცემა: თალასა. **05.30** ჩვენი ბაღი.

**18 იანვარი**

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 01.45(შვეიცარია), 04.00(აფრიკა), **05.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** ჯუნგლები. დოკ. ფილმი. **08.20** ქრონიკები მთიდან. **09.30** ტელედილა. **11.30** ბიჭი და გოგო. მხ ფილმი. რეჟისორი გი.ა ლეპაჟი. 2004 **12.30** გადაცემა: გურმანი. **13.15** სპორტი და ტელევიზია. დოკ. ფილმი. **16.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **17.30** ყველა მწუხარება მსგავსია. მხ. ფილმი. რეჟისორი ლუკ ბერო. 2001. **19.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **21.30** გადაცემა: ჩვენი პლანეტა თვალის ერთი გადავლებით. **02.20** გოლიათის დაბადება. მხ ფილმი. რეჟისორი ჟან-დანიელ ვერეჰი.2004

**19 იანვარი**

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 01.45(შვეიცარია), 04.00(აფრიკა), **05.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** ჯუნგლები. დოკ. ფილმი. **09.30** ტელედილა. **11.30** ბიჭი და გოგო. მხ ფილმი. რეჟისორი გი.ა ლეპაჟი. 2004 **12.05** ბაღი და დასვენება. **13.15** მსოფლიო ომი. დოკ. ფილმი. **16.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **17.30** ბაქანი N1 ტელესერიალი. **19.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.05** არტ რეპორტაჟი. **21.30** მიწის სიყვარული. მხ ფილმი. რეჟისორი კრისტიან ფორი. 2004. **24.00** ქალი საბანაო კოსტიუმში. მხ ფილმი. რეჟისორი ლიეს ბუხიტინი. 2001. **02.20** გადაცემა: კულტურები და დამოკიდებულებები.

**20 იანვარი**

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 01.45(შვეიცარია), 04.00(აფრიკა), **05.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** ჯუნგლები. დოკ. ფილმი. **09.30** ტელედილა. **11.30** ბიჭი და გოგო. მხ ფილმი. რეჟისორი გი.ა ლეპაჟი. 2004 **12.35** გადაცემა: გურმანი. **13.15** დაკარგული ხელოვნება. დოკ. ფილმი. **16.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **17.30** აკომპანიატორი. მხ ფილმი. რეჟისორი კლოდ მილერი. 1992. **19.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **21.30** ბაქანი N1 ტელესერიალი. **24.00** ალისას სარკე. ტელესერიალი. **02.20** გადაცემა: თვეში ერთხელ.

**21 იანვარი**

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 01.45(შვეიცარია), 04.00(აფრიკა), **05.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **07.50** პატარა ვამპირი. მულტიპლიკაციური ფილმი. **08.05** ის არ არის ჯადოქარი. სერიალი. **11.30** პლანეტის 7 დღე. **12.30** ის არ არის ჯადოქარი. სერიალი. **13.15** მგრძნობიარე ასაკი. სერიალი. **14.15** გადაცემა: გურმანი. **14.40** ციხე-სიმაგრეების ისტორია. **19.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **21.30** ორელიენი.(ლუის არაგონი).მხ ფილმი. რეჟისორიარნო სელინიაკი. 2003. **01.15** გადაცემა: ყველა მასზე ლაპარაკობს. **05.35** სპორტი და ტელევიზია. დოკ. ფილმი.

**22 იანვარი**

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 01.45(შვეიცარია), 04.00(აფრიკა), **05.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.55** პატარა ვამპირი. მულტიპლიკაციური ფილმი. **08.05** ის არ არის ჯადოქარი. სერიალი. **11.30** გადაცემა: აღმოჩენა. **12.30** ის არ არის ჯადოქარი. სერიალი. **13.15** მგრძნობიარე ასაკი. სესიალი. **15.05** ბურლინგერის დღიურები. **17.25** გადაცემა: მხოლოდ კვირა დღეს. **21.35** გადაცემა: შეხვედრა ევროპა I და TV5MONDE. **22.30** ფეხბურთის დღე. 2005/2006 **24.00** მამა გორიო. მხ ფილმი. რეჟისორი ჟან-დანიელ ვერეჰი. 2004. **02.15** ზაზი მეტროში. მხ ფილმი. რეჟისორილუი მალე. 1960. 05.35. მსოფლიო ომი. დოკ. ფილმი.


**კაფე "კალა",** მდებარე თბილისი, ერეკლეს ქუჩა 8/10, რომელიც ფუნქციონირებს 2004 წლის 11 ივნისიდან, გაფრთხილებთ ყველა დაწესებულებას, განთავსებულს საქართველოს ტერიტორიაზე, **"კალა"**-ს სახელწოდებით, უახლოეს მომავალში შეიცვალოთ სახელწოდება **"კალა"**, ვინაიდან დაწყებულია ამ სახელწოდების დაპატენტება. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნულის არშეცვლა გამოიწვევს მთელ რიგ სამართლებრივ შედეგებს.

**კაფე "კალა"-ს ადმინისტრაცია**

**ყურადღება!**

რესტორანი **"დაკარგული სამოთხე"**

რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.

ტელ. 999-207

**გამაჯანსაღებელი ცენტრი**

**ნაუტილუსი**



**გთავაზობთ:**

■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge





**სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"**

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**